


504/1
1940

504/2



国政資料館
National Diet Library

$w = 2$

231



01

509
1940/2

საქართველო აკადემიის საქართველო
ИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР

ინის, ისტორიისა და ზოგადი კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. ჯაფარიძის სახ.
Ин-т языка, истории и матер. культуры им. акад. Н. Я. Марра

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

М А Т Е Р И А Л Ы

П О И С Т О Р И И Г Р У З И И И К А В К А З А

1 9 4 0

საკმეტი II ВЫПУСК

თბილისი

1 9 4 1

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველო
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР

ინის, ისტორიისა და ზოგადი კულტურის ინსტიტუტი ა.ა.ი. ნ. შატოვის სახ.
Ин-т языка, истории и матер. культуры и.м. акад. Н. Я. Марра

504-40/1

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

М А Т Е Р И А Л Ы

П О И С Т О Р И И Г Р У З И И И К А В К А Z A

1 9 4 0

საკვანძო II ВЫПУСК

370



თბილისი
1940

იან. ლორთქიფანიძე

მასალები
საქართველოს ისტორიისათვის
(მე-18 საუკ.)

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
საქართველოს ფილიალის გამგებგულშით

თავმჯდომარე აკად. ნ. მიქსელიძე

რედაქტორი პრ. თ. ს. ჯანაშია

წინასიტყვაობა

1936 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალურ კულტურის ინსტიტუტის მიერ მივლინებული ვიყავი მოსკოვში, იქაურ არქივებში სამეცადინოდ.

მიზნად მქონდა შემეგროვებინა საქართველოს ისტორიის შესახებ ცნობები ერეკლე მეფის მიერ ქართლ-კახეთის შეერთების დროიდან, ე. ი. 1762 წლიდან. პირველად მივმართე გაფკე-ს (ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის სახელმწიფო არქივი), კიდ-ის (გარეშე ქვეყნების საქმეების კოლეგია) ფონდს და შევუდექი 1762-67 წლის მასალების შესწავლას. ამ ეპოქის შესახებ, ბუტკოვის რამდენიმე მოკლე ცნობებს გარდა, არაფერია გამოქვეყნებული. ამ პერიოდის შესწავლამ და ზოგიერთი ქართული საბუთის ასლების გადმოღებამ (რუსული საბუთების ასლები სხვებს გადავადებინე) მოინდომა მთელი მივლინების დრო, რადგან გაფკე-ში მხოლოდ საღამოობით, 4 საათიდან 9 საათამდე, იყო მეცადინეობა. აქ აღმოჩნდა საქმეების 9 შეკვრა: საქმეები 1762 №№ 1,2,3,4,5,6,7,8 და ერთი დიდი ყდიანი შეკვრა 1762—1776 წ.წ. № 4, რომელიც შეიცავს 17 საქმეს. ამ 17 საქმიდან 11 ეხება 1762—1767 წლებს, 6 კი—1769—1773 წლებს. მაშასადამე, აღებულ ხანას ეხება სულ 19 საქმე.

შევადგინე დაწვრილებითი სია ყველა ამ საქმისა და შიგ მოთავსებულ ქალაქებისა, მათის შინაარსის მოკლე აღნუსხვით (იხ. დამატება I) და გადავწერე (ან გადავაწერინე) ზოგიერთი, რასაკვირველია, ჩემთვის საინტერესო საბუთების ასლები¹. ამგვარი ნუსხის შედგენა რუსეთის ყველა არქივიდან სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს, რათა ჩვენ აქვე გვქონდეს კადასტრი იმ მასალისა, რომელიც მოიპოვება რუსეთის არქივებში და ყოველი მკვლევარი იძულებული არ იყოს ხელახლა და თავიდან იწყოს მისთვის საინტერესო საბუთების და ცნობების ძებნა, რასაც მეტად დიდი და ხანგრძლივი დრო უნდება.

¹ საბუთებიდან გადმოღებული ასლები წარდგენილია ე ნ ი მ კ ი-ში.

დღისით ვეცნობოდი საბუთებს სხვა არქივებში: ლენინის სა-
ჯარო სამკითხველოში, საისტორიო მუზეუმში (ყოფი-
ლი ალექსანდრე III-ის მუზეუმი), ლომონოსოვის უნივერსი-
ტეტის გორკის სახელობის სამკითხველოში, სალი-
ტერატურო მუზეუმში და ცვიაში (ცენტრალური სამხედრო
საისტორიო არქივი). ამ არქივებში 1762—67 წლების საბუთები მეტად
მცირე აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ლენინის საჯარო და საის-
ტორიო მუზეუმის სამკითხველოებში მე გავეცანი ამ ეპოქის
(1762—1767 წ.წ.) „მოსკოვის და პეტერბურგის უწყებებს“, გა-
დავთვალაიერე აღებული წლების ყველა ნომერი და ამოვწერე ყვე-
ლა ცნობა, რომელიც ასე თუ ისე შეეხებოდა საქართველოს ან ქარ-
თველებს. ჩემი აზრით, საჭიროა გადახედვა ამ გაზეთებისა მთელი
XVIII საუკუნის მანძილზე, რომ გავიგოთ, რა გამოძახილი ჰქონდა სა-
ქართველოს ამბებს რუსეთსა და ევროპაში. როგორც ქვემოთ და-
ვინახავთ, ამ გაზეთებში 1762—1767 წლ. ცნობები საქართველოზე
თითქმის ყველა მიღებულია ევროპიდან.

გაფკე-ში კიდ-ის ფონდის საქართველოს შესახები საქმე-
ები ცალკეა გამოყოფილი. იმათ ცალკე, თუმცა მეტად ძველი, ნუს-
ხაც აქვთ შედგენილი, ასე რომ მათი განხილვა და შესწავლა სიძნე-
ლეს არ წარმოადგენს. სულ სხვაა დანარჩენი არქივების საქმე. იქ
არავითარი ნუსხა არ არის საქართველოს საქმეებისა, არც ანბანზე
და არც სისტემატური, ამიტომ იქაური საბუთების განხილვა შეი-
ძლება მხოლოდ იმისდამიხედვით, რაც იცის, ან რასაც მოგცემს ამ
არქივის ზედამხედველი, ან მისი თანამშრომელი. ამიტომაც ჩვენ მიერ
ამოკრეფილი დანარჩენი არქივების ცნობები არ წარმოადგენენ
იმგვარად შეკავშირებულ ცნობებს, როგორიც ჩვენ ამოვიღეთ კიდ-ის
ფონდიდან. ამ მხრივ ცოტად თუ ბევრად გამოჩაკლისს შეადგენს
ცვია, სადაც საქართველოს შესახები საბუთების ნაწილი ცალკე
შეკვრებშია, და ისიც იმიტომ, რომ ეს ნაწილი ეკუთვნის ე. წ. პო-
ტიომკინის ფონდს (აღწ. 194), რომელიც ჯერჯერობით არქივის
მიერ განხილული და სისტემაში მოყვანილი არ არის. თითოეული
შეკვრა თითო თვის ქალაღებს შეიცავს, მაგრამ უფრო ხშირად ქა-
ლაღები არეულია.

სალიტერატურო მუზეუმში მხოლოდ პავლე ციციშვილის
1804 წლის 12 წერილის პირებია დაცული: ქაიხოსრო წერეთელს, აზერ-
ბაიჯანის ხანებსა და კანცლერ ვორონცოვისადმი. აქედან 10 წერი-
ლი დაბეჭდილი აღმოჩნდა არქეოგრაფიის კომისიის აქტებში. (ტ. II,
გვ. 357, 591, 592, 636, 661, 696, 750, 771). დანარჩენი ორი წერი-

ლი ყარაყასალის ეფენდის და მეხტი ტარკოვსკის შამხალის მიმართ იმავე რიზიანობის და მრისხანე ხასიათისაა, როგორც აზერბაიჯანის ხანების მიმართ დაბეჭდილი წერილები.

ლენინის სამკითხველს ხელნაწერთა განყოფილებაში ყოფილი რუმინანცევის მუზეუმის არქივი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს განყოფილება ჯერჯერობით სავსებით გაშლილი არ არის, ამიტომ იქ მეცადინეობა შეუძლებელი შეიქნა.

ლომონოსოვის უნივერსიტეტის არქივში აღმოჩნდა მხოლოდ ნუსხა 1796 წლ. გენერლებისა და უფროს ოფიცრებისა (ხელნაწერების ინვენტარი № 238, გვ. 20), რომელთა შორის აღნიშნულია რამდენიმე ქართველიც. იმათ შესახებ ამოვეკრიფე მოკლე ცნობები.

საისტორიო მუზეუმში დაცულია: 1) ეკატერინე 1-ლის წერილები ვახტანგ VI-ისა და რუსუდან დედოფლისადმი 1726-7 წლისა (შეკვრა № 148) 2) მ, მაკაროვის წერილი რუსუდან დედოფლისადმი 1727 წ. (იქვე.)

მეტად ბევრი საბუთია დაცული საქართველოს XVIII საუკუნის ისტორიის შესახებ ცვია-ში. ეს საბუთები მით უფრო საინტერესოა, რომ თითქმის ყველა ორიგინალია და ორიგინალებში ქართულ ენაზე დაწერილებს უკავიათ საკმაო დიდი ადგილი. ამ არქივში მე მომიხდა მუშაობა მხოლოდ უკანასკნელი 12 დღის განმავლობაში, დილაობით, და ამიტომ მოვასწარი გავცნობოდი მხოლოდ პოტიომკინის ფონდს, რომელიც არქივის თანამშრომლებმა მომაწოდეს. პოტიომკინის ფონდი შეიცავს 1782-1791 წლების საბუთებს და ქართული ორიგინალურ წერილებს (ერეკლე მეფის, სოლომონ I-ის, იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის, სოლომონ II-ის, გარს. ქავჭავაძის, ბესარიონ გაბაშვილის, მაქსიმე კათალიკოსის და სხვ.) გარდა, უამრავ ორიგინალ წერილებს ბურნაშოვის, პავლე პოტიომკინისა და სხვებისას. როგორც ეტყობა, ამ არქივით ჩვენს მკვლევრებს ჯერჯერობით არ უსარგებლნიათ. არის მხოლოდ ცნობა, რომ იქ მუშაობდა დუბროვინი. ცაგარლის მიერ გამოცემული ქართული საბუთები არ უდგება ჩვენ მიერ განხილულ საბუთებს, გარდა რამდენიმესი. (იხ. ცავ. № № ქართ. 64 მისი თარგმანი I ტ. 143, ქართ. 170, მისი თარგმანი II ტ. 26; ქართ. 78, მისი თარგმანი II ტ. 39, მარტო თარგმნები II ტ. 6, 46.

¹ Грамоты и др. докум. Цагарели, შემოკლებით ცავ. ქართ. ან რუს.

ცაგარლის გამოცემებში 1782 და 1785 წლ. ქართული საბუთები სრულიად არ არის, რუსული კი 1782 წ. 13 საბუთია, 1785 წლ. — 3, ცვიას არქივში კი ამ წლების მარტო ქართული საბუთები 60-ზე არა ნაკლებია, რუსული ამაზედ მეტად ბევრი.

რაკი მასალა აუარებელი იყო, იმისთვის რომ ერთგვარ საბუთებს გავცნობოდი, მე ამოგკრიფე ცნობები მხოლოდ ზოგიერთი საკითხის შესახებ, ისიც უფრო ქართულ საბუთებიდან, დანარჩენი საბუთების გარჩევა მომავალი და, ვფიქრობ, მეტად საჭირო საქმეა, რადგან ამ წერილებში აუარებელი მასალაა ქართლ-კახეთის და იმერეთის არა მარტო პოლიტიკური და სამხედრო, არამედ მათი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის შესახებაც.

როგორც პოტიომკინის ფონდის საბუთებიდან, ისე დანარჩენი მასალებიდან რამდენიმე ასლი გადმოვიღე. (იხ. დამატება II).

ამგვარად, უმთავრესი მუშაობა მე მომიხდა გაფკე-ში და ცვია-ში.

მოსკოვის საისტორიო არქივები, თავისი უზარმაზარი შენობებით, შიგ მოთავსებული ხელნაწერებითა და საბუთებით, დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ ყოველ მუშაკზე, ვისაც-კი შეძლება ექნება იქ მუშაობისა. მით უმეტეს ჩვენთვის, ქართველებისათვის, არიან ისინი დიდმნიშვნელოვანი, რადგან დროთა სიავემ შედარებით ცოტა დაგვიტოვა საისტორიო ძეგლები XVII და XVIII საუკუნეებისა.

გულწრფელ მადლობას ვუძღვნი ამიტომ მარის სახელობის ინსტიტუტს და მის ხელმძღვანელს პროფ სვ. ჯანაშიას, რომელთა დახმარებით და ყოველგვარი ხელისშეწყობით მომეცა საშუალება ნაწილობრივ მაინც გავცნობოდი მოსკოვის არქივებში დაცულ აუარებელ საბუთებს საქართველოს წარსულ ცხოვრებისას.

წინამდებარე შრომა შეიცავს ხსენებულ არქივებში შეგროვილი მასალების წინასწარ დამუშავებას და მათს შევსებას და შესწორებას სხვა წყაროების მიხედვით.

იან. ლორთქიფანიძე

1937 წ. მარტის 13.

1762—1767 წ.წ. მასალები

გაფკეს 1762—1767 წლ. საქმეები შემდეგია:

საქმე 1762 № 1 ეხება თეიმურაზ II-ის ცხედარისა და ამაღლის გამოგზავნას პეტერბურგიდან საქართველოში.

თეიმურაზ II გარდაიცვალა პეტერბურგში 1762 წ. 8 იანვარს, საღამოს 6 საათზე ¹. მისი სიკვდილის ამბავი იმავე დღეს მოხსენდა ხელმწიფეს, რომელმაც გასცა ბრძანება: 1. დაუყონებლივ გამოგზავნილიყო, როგორც ცხედარი, ისე თეიმურაზის ამაღა საქართველოში; 2. ვაეგზავნათ მთავარ (პრინც) ერეკლესათვის საჩუქრები ფულად 5000 მანეთის და ნივთებად (კონფერენციის შემდეგის მიწერილობით მხოლოდ ძველი „მანერით“) 5000 მანეთი; 3. ამაღა დაკმაყოფილებული ყოფილიყო ხარჯით აღრინდელ შემთხვევათა მიხედვით, მხოლოდ ყველაფერში ყოფილიყო დაცული სასტიკი ეკონომია. (გვ. 2,295).

საქართველოდან თეიმურაზს გაყოლია 69 ² კაცი. ყიზლარში, ასტრახანში, მოსკოვსა და პეტერბურგში ზოგი დაკლებია, ზოგი მომატებია, ასე რომ იმ დროისათვის თეიმურაზის ამაღა შესდგებოდა 71 კაცისაგან (გვ. 43—46,50). ესენი იყვნენ: 1 არქიეპისკოპოსი, 2 დეკანოზი, 4 დიაკონი, 4 უპირველესი თავადი, 4 დიდებული თავადი, 6 თავადი, 12 აზნაური, 37 მოსამსახურე და 1 ასტრახანელი ვაჭარი-კრედიტორი. აქედან პეტერბურგში ყოფილან 68, ასტრახანსა და მოსკოვში 3 (გვ. 50). წამოსვლისას არქიეპისკოპოსს თხოვნა შეუტანია და, ეტყობა, დარჩენილა პეტერბურგში (გვ. 129—130). გზაზე სხვადასხვა ქალაქებში ჩამოშორებია 15 კაცი და ასტრახანში მიმატებია 7 კაცი. (255—61). ყიზლარიდან კი საქართველოში წასულა 65 კაცი. (გვ. 265).

¹ ზოგიერთს ჩვენს მკვლევარს აღნიშნული აქვს, თითქოს თეიმურაზი გარდაცვლილიყოს ასტრახანში (კაკაბაძე—მოკლე ისტ., კველიძე—ქართული ლიტერატურის ისტორია, მ. ჯანაშვილი—საქართველო. ისტ. გამოც. 1894 წლ., რუხაძე—ტფ. უნივ. შრ. V, გვ. 360). ეს, რასაკვირველია, შეცდომაა ბუტკოვიდან დაწყებული (III—გვ. 101).

² ცაგ. I ტ. რუს. № 164.

საჩუქრები ფულად და ნივთებად ერეკლესათვის გადაეცა-
ოთხ უპირველეს თავადს (გვ. 95). ამალას სახარჯოდ დაენიშნა თვე-
ში 400 მანეთი (გვ. 62), ამალის წევრებს ხელში მიეცა თითოს 5
მანეთიდან 300 მანეთამდე, რაზედაც სულ დაიხარჯა 2121 მან. რუ-
სეთში მიმატებულ წევრებს ამალისას ხელში არაფერი მიეცათ,
(გვ. 50).

ეს ფული განაწილებული იყო (გვ. 50) იმისდამიხედვით, თუ
რამდენი მიეცათ 1754 წ. მიტროპოლიტ ათანასეს და თავად მაყა-
შვილს. ამასთანავე, ზოგიერთი პირის დასახელების დროს სიაში აღ-
ნიშნულია, თუ რა მიეცა 1658 წ. თეიმურაზ (I-ის) მეფის პეტერ-
ბურგიდან გამოსტუმრების დროს მის ამალას:

1. იოანეს—რუსთველ არქიეპისკოპოსს 300 მან
1658 წ. მიეცა მიტროპოლიტს ვერცხლის თასი სახურავით,
ატლასი ნახატი და ორი ორმოცი სიასამური.

2. სვიმონს და დიმიტრის—დეკანოზებს თითოს 30 მან., სულ
60 მან.

1658 წ. მიეცათ ილუმენს და ბერს თითოს ორმოცი სია-
სამური.

3. პართენს—იეროდიაკონს 10 მან.

4. შიოს დიაკონს 8 მან.

5. აბრამს და დავითს, პოდიაკონებს, თითოს 5 მან., სულ 10 მან.

უკანასკნელ სამ მუხლში აღნიშნული პირების გასწვრივ წერია:
„1658 წ. მიეცათ ფულად. რაოდენობა აღნიშნული არაა“.

6. ალექსანდრე ციციშვილს—ქართლის სარდალს, იგივე გენე-
რალ-მაიორს, კახეთის თავადებს: დავით გივის ძეს—მოურავს, იგივე
სარდალს (воевода), ქაიხოსრო ჩერქეზიშვილს—იგივე სარდალს, ექვ-
სევი მაჩაბელს ქართლის თავადს, დარბაისელს, იგივე დიდებულს
(дворянин), თითოს 200 მან., სულ 800 მან. „ოთხივე ეს პირი თანაბარ
ხარისხზე ითვლებიან“.

„1658 წ. ექვს დიდებულ თავადს (дворяне) მიეცათ თითოს სია-
სამურის ქურქი. ფასი აღნიშნული არაა“.

7. იაგორ ციციშვილს—თავადს, ნაზირს, იგივე მარშალკს, თა-
ვად შიო ტუსიშვილს—მოლარეთუხუცესს, თავად ზაალ ავალიშვილს—
მეითარს, იგივე უფროსს პირის ფარემს, იგივე უფროსს კამერდი-
ნერს, თავად სულხან ბეგთაბეგიშვილს—მდივანს თითოს 100 მან,
სულ 400 მან.

„ოთხივე ეს პირი თანაბარ ხარისხზე ითვლებიან“.



„1658 წ. მოხელე ხალხს მიეცა თითოს ორმოცი სიასაშუალო ფასი არ არის აღნიშნული“.

8. მეფის მოხელეებს—აზნაურებს: დავით გაბაშვილს—სუფრაჯს, დავით ყორღანაშვილს—მეშობის თითოს 50 მან., სულ . . . 100 მან.

„1658 წ. აზნაურებს მიეცათ ფულად, რაოდენობა არ არის აღნიშნული“.

9. მეფის შინამოსამსახურეებს: თავად სვიმონ ბარათაშვილს, თავად იოსებ გიჟიმყრელს, თავად ნიკოლოზ ბარათაშვილს, თავად იაგორ ფალავანდიშვილს, თავად ივანე ბარათაშვილს, თავად იაგორ ბარათაშვილს თითოს 30 მან., სულ 180 მან.

10. თომა მელვინეთუხუცესს, სარდალ ციციშვილის აზნაურს— 10 მან.

11. ზაალ მელვინეთუხუცესს (მიღებულია პეტერბურგში)— თავად ციციშვილების აზნაურს, ლომი გვარამაძეს—მარშალკის აზნაურს თითოს 8 მან., სულ 16 მან.

12. მეფის მსახურ აზნაურებს: გრიგოლ საგინაშვილს, გივი შანშიაშვილს, პავლე საგინაშვილს, მელქო არეშიშვილს, თითოს 12 მან სულ 48 მან.

აქვე არიან ნაჩვენები აზნაურები: მამუკა ნიჟარაძე, არაზიდი სუმბათაშვილი, გაბრიელ კერვლიშვილი, რომელთაც ფული ხელზე არ მიუღიათ, რადგან ყოფილან მიღებული: ნიჟარაძე—მოსკოვში, სუმბათაშვილი—პეტერბურგში. კერვლიშვილი—ყიზლარში.

13. დაბალ მოსამსახურეებს—არა აზნაურებს: ორ ფარემს, ერთ ყავახს, ერთ აბღარს, ერთ ხაბაზს, ერთ მელვინეს, ერთ დალაქს, ერთ მოლარეს, ერთ შათირს, ერთ მეთეფშეს, ორ მზარეულს, თითოს 6 მანს. სულ 72 მანეთი.

ერთ ხარაზს და ერთ პირს (რომელიც ასტრახანში ყოფილა მიღებული) ხელზე ფული არ მიუღიათ.

14. ერთი ფარეში დატოვებული ყოფილა ასტრახანში—5 მან. ვაჟარ-კრედიტორს სომეხს მელქო დავითაშვილს ხელზე ფული არ მიუღია.

15. მეფის ამალის მოსამსახურეებს: არქიეპისკოპოსისას ერთს, დეკანოზებისას ორს, სარდალ ციციშვილისას—ორს თითოს 5 მან. სულ 25 მან.

16. კახეთის ორი სარდლის ხუთ მოსამსახურეს, თითოს 5 მან. სულ 25 მან.

აქედან ერთი (მოსამსახურე) დატოვებული ყოფილა მოსკოვში.

17. დიდებული თავადების (მოსამსახურეებს): ევსევი მაჩაბლისას ორს, მარშალკი ციციშვილისას ორს, მოლარეთუხუცესის ტუსიშვილისას

ორს, უფროსი პირის ფარემის თავად ავალიშვილისას ერთს, მდივნის თავად ბეგთაბეგიშვილისას ორს (ამათგან ერთი დატოვებული ყოფილა ასტრახანში), სუფრაჯისას (დავით გაბაშვილისას) ერთს, შინამოსამსახურის თავადი ბარათაშვილისას ერთს, შინა მოსამსახურის თავადი გიეიმყრელისას ერთს და ვაჰარსოზხისას ერთს—თითოს 5 მან., სულ 65 მან. სულ 2134 მან. და არა 2121, როგორც შეჯამებულია სიაში. განსხვავება (13) გამოდის იმიტომ, რომ სიაში შეცთომით ზაალ მელვინეთუხუცესს (იხ. მუხლი 11) უწერია 8 მანეთი, როცა მას ფული არ ერგებოდა, რადგან მიღებული ყოფილა პეტერბურგში. აგრეთვე ვაჰარის კაცს (იხ. მუხლი 17) უწერია 5 მან., როცა მასაც ასეთი ფული არ ერგებოდა, რადგან იგი უთუოდ მიღებული იყო ასტრახანში, საიდანაც მოყვებოდა თეიმურაზს თვით ვაჰარი-კრედიტორი.

წვრილმან ხარჯებზე (ცხედრის დაბალზამირება და სხვა) გავიდა 112 მან. 60 კაპ. (გვ. 137). შემანდრად დანიშნულ იქნა ასტრახანამდე პრაპორჩიკი ჩიუფაროვი, რომელსაც მიეცა 60 გამყოლი ჯარისკაცი ერთი ობერ-ოფიცრით. (გვ. 125).

მიუხედავად კანცლერის¹ არაერთგზის მოთხოვნისა—დააჩქარონ ცხედრის და ამალის გაგზავნა (გვ. 73. 100), მათი გასტუმრება პეტერბურგიდან მხოლოდ 20 თებერვალს შესძლეს (გვ. 150). მოსკოვში ჩავიდნენ 26 თებერვალს, გავიდნენ 4 მარტს (გვ. 151,162), ყაზანში ჩავიდნენ 19 მარტს, გავიდნენ 26 აპრილს (გვ. 212,228), როგორც მოწერილობა იყო კიდ-იდან, ყაზანში ცხედარი და ამაღა გადაიყვანეს პატარა გემებზე (суднах) (გვ. 216). ასტრახანში ჩავიდნენ 26 მაისს (გვ. 264). რადგან მგზავრობა მეტად დაგვიანდა, ამაღამ აღძრა შუამდგომლობა, ნება დაერთოთ დაესაფლავებინათ თეიმურაზი ასტრახანის ეკლესიაში, ვახტანგ მეფის გვერდით, რაზედაც მიიღეს თანხმობა (გვ. 155,220). 4 ივნისს თეიმურაზი დაასაფლავეს ასტრახანში, ეკლესიაში, ვახტანგ მეფის გვერდით არა „სამეფო“ წესით, როგორც თხოულობდა ამაღა, არამედ „ჩვეულებრივის“ წესით, ასე ყოფილა მოწერილი კიდ-იდან (გვ. 256). 20 ივნისს ამაღა გავიდა ასტრახანიდან (გვ. 256-61) და ყიზლარში ჩავიდა 23 ივნისს. აქედან კი იგი გაემგზავრა საქართველოსაკენ 23 ივლისს. (გვ. 265).

ამალას თან მიჰქონდა ორი წერილი: კანცლერის მიხეილ ვორონცოვისა და ასტრახანის გუბერნატორის ვასილი ნერონოვისა ერეკლესადმი. (გვ. 87, 262).

¹ მიხეილ ვორონცოვი (იხ. გვ. 219).



ამალამ ორი შუამდგომლობა აღძრა: 1. გადაეხადნა რუსის მთავრობას თეიმურაზის ვალი 13 ათასი მანეთის რაოდენობით, რომელიც მას დასდებია რუსეთში ყოფნის დროს და რომლისთვისაც მას დაყვებოდა თან ვაჭარი-კრედიტორი და 2. მიეცათ თვით ამალისათვის დახმარება ყიზლარიდან საქართველოში გასამგზავრებლად (გვ. 25). ორივე შუამდგომლობა მთავრობამ უარყო (გვ. 56). პირველი იმიტომ, რომ თეიმურაზმა. როცა გადმოვიდა საქართველოდან, განაცხადა, რომ იგი მიდის პეტერბურგში თავის ხარჯით, რომ თაყვანი სცეს რუსეთის დედოფალს, თუმცაო, უმატებდა კიდ-ი, იმპერატორსაც თავის გულკეთილობით შემდეგ მას დაუნიშნა თვეში 100 თუმანიო. მართლაც, რუსის მთავრობამ ჯერ კიდევ ყიზლარში მყოფ თეიმურაზს განუცხადა, რომ თუ იგი თავის ხარჯით ვერ შესძლებს მგზავრობას, უნდა დაბრუნდეს უკან და, თუ რაიმე საქმე აქვს, გადასცეს ყიზლარის კომენდანტს და თვითონ პასუხს მოუცადოს ყიზლარში (აღწ. 140, საქმე 1760 № 1). მაგრამ შემდეგ რუსის მთავრობამ, არა თუ დაუნიშნა სახარჯოდ თვეში 100 თუმანი, არამედ ბინაც მოუწყო და საპატიო ყარაული და მემანდარიც დაუყენა. (გვ. 23, 58, 59, 266, იხ. აგრეთვე ცაგ. I ტ. რუს. № 164). ამალამ გაყიდა ერეკლესათვის საჩუქრად გაგზავნილი ნივთები, პირველი შეფასებით 3680 მანეთისა (გვ. 265) და აღებული ფული და აგრეთვე ნაღდი ფული, იმავე ერეკლესათვის საჩუქრად გაგზავნილი, მოახმარა ამ ვალის გასტუმრებას.

რაც შეეხება მეორე შუამდგომლობას, კიდ-მა განუმარტა, რომ ამალას შეუძლია გზიდანვე შეატყობინოს მეფე ერეკლეს და იგი შემოაგებებს ცხენებს და ურმებსაო. მართლაც ასე მოხდა. ასტრახანიდან ყიზლარამდე მათ საკმაო ურმები უჭირავეს (გვ. 256-61), ყიზლარიდან კი 30 ურემი მისცეს მხოლოდ სახახინო ფასებში. (გვ. 265).

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ორივე შუამდგომლობის უარყოფა, განსაკუთრებით კი მეორის, სრულებით არ შეესაბამებოდა რუსეთში მიღებულ ჩვეულებას. ამ ჩვეულების მიხედვით ყველა ხარჯს, მფარველობის ქვეშ მყოფ ქვეყნების წარმომადგენლებისას, ან იმ ქვეყნების წარმომადგენლებისას, რომელთა მიღება თავის მფარველობის ქვეშ სურდა რუსეთს, ყოველთვის რუსის მთავრობა კისრულობდა.

თუ ყველა ამას მივიღებთ მხედველობაში და აგრეთვე იმას, რომ მეფე თეიმურაზი და მეფე ერეკლე რუსის ოფიციალურ ქაღალდებში იწოდებიან არა „მეფეებად“, არამედ მფლობელებად ან მთა-

ვრებად (პრინცი), გარდა იმ წერილებისა, რომლებიც გამოუგზავნეს ერეკლეს უშუალოდ კანცლერმა და ასტრახანის გუბერნატორმა, გვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ხანებში რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი მეტად შენელებულა. შენელებულა იმიტომ ვამბობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რუსის მთავრობას თითქოს არც კი მიუტოვებია საქართველოს შესახებ ცნობების შეკრება. მაგ., თეიმურაზის ცხედარის და ამაღლის უკანასკნელ მემანდარს მანგოვს დავალებული ჰქონდა საქართველოში ყოფნის დროს შეეკრიბა საიდუმლოდ ცნობები იქაური მდგომარეობის შესახებ. (გვ. 115).

ამავე საქმეში რამდენიმე ცნობაა საყურადღებო:

1. მოსკოვში ცხედრისა და ამაღლის დასასვენებლად, კიდ-ის მიწერილობის გამო, მისმა კონტორამ მიმართა თხოვნით დიმიტრი ციციშვილს ¹, რომ რამდენიმე დღით დაეთმოთ ბაქარ ბატონიშვილის ქვრივის ² სახლი, რომელიც მაშინ თავისუფალი ყოფილა. დიმიტრი ციციშვილმა, ამ სახლის გამგემ, უარი უთხრა და მიზეზად ის დაასახელა, რომ სახლი ძველია და იმის შეკეთება ბაქარის ქვრივმა დამავალაო. (გვ. 124). ამგვარი შეუფერებელი უარი, რასაკვირველია, ადასტურებს როგორც ბაქარის ოჯახის, ისე ციციშვილის უკმაყოფილებას თეიმურაზისა და ერეკლესადმი, რაც ცნობილია სხვა წყაროებიდანაც ³.

ამგვარ უკმაყოფილების ნიშნებს ადგილი ჰქონდა რუსეთში თეიმურაზის შემოსვლის დროსაც. თეიმურაზმა და ერეკლემ წინდაწინვე 1760 წ. წერილები გაუგზავნეს, სხვათა შორის, ბაქარ მეფის ქვრივს და შვილებს—ლეონს და ალექსანდრეს, თხოვნენ დახმარება გაეწიათ თეიმურაზისათვის, როცა იგი პეტერბურგში ჩავიდოდა და სხვადასხვა საკითხებს აოძრავდა. იმის მაგიერ, რომ ეს თხოვნა აღესრულებინათ, ბაქარის ქვრივმა ეს წერილები კანცლერს გადასცა და ისიც დაუმატა, რომ ჩვენ არავითარ ამისთანა „დაფარულ“ საქმეში არ გვინდა გავკრიოთო. (1760 № 1 გვ. 97, 101, 103).

2. პეტერბურგში გაგრძელებული ყოფილა ხმა, ვითომც თეიმურაზი გადმოვიდა რუსეთში, რადგან მასა და ერეკლეს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდაო. (იხ. ზემოხს. საქმე 1760 წ. № 1⁴). ეს ხმა,

¹ ეს დიმიტრი ციციშვილი უნდა იყოს პავლე ციციშვილის მამა, რომელიც დავით ბატონიშვილის სიტყვით (იხ. მისი ისტ. გვ. 63), გადაყვა ვახტანგ მეფეს რუსეთში.

² ანა გიორგი ერისთავის ასული. (კიდ-ი—1724 წ. № 3, აღწ. № 140).

³ დავით ბატონიშვილი, ისტორია, გვ. 63.

⁴ ამას იმეორებენ ბულტოვი (ტ. II. გვ. 24) და მ. ჯანაშვილი. (ისტორია, გამოც. 1894 წლ. გვ. 450).

თითქოს, არ მართლდება. 1760 წ. თეიმურაზთან ერთად ერეკლე-
მაც გაუგზავნა სხვადასხვა პირებს წერილები და სთხოვა დახმარე-
ბოდნენ თეიმურაზს, როცა იგი სხვადასხვა შუამდგომლობას აღძრა-
ვდა მთავრობის წინაშე. შემდეგ, 1761 წ. დეკემბერში, ერეკლე უგზავ-
ნის წერილებს თეიმურაზს და ანტონს. შინაარსი არ ვიცით, სა-
ფიქრებელია მხოლოდ, რომ წერალები საქვეყნო საქმეებს შეეხებო-
და. (გვ. 189). იმავე წლის 29 დეკემბრის თარიღით დარჩენილია
მოხსენება. ეტყობა, ეს მოხსენება შედგენილია იმ კონფერენციაში,
რომელიც იმ ხანებში დაარსებული იყო ხელმწიფის კარზე. (1762 წ.
№ 1 დამატ. გვ. 295). მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მეფე თეიმუ-
რაზი თხოულობს, ნება მისცენ მას საქართველოში დაბრუნებისა და
თან მოაგონებს ადრე აღძრულ შუამდგომლობებს, სხვათა შორის
სთხოვს მფარველობა გაუწიონ და შემწეობა მისცენ როგორც მას,
ისე მის შვილს ერეკლეს. (გვ. 297).

3. 1762 წ. თებერვლის თარიღით ახალციხის უსუფ-ფაშა
სწერს დარუბანდის შამხალს, აღმოსავლური მისალმების შემდეგ, რომ
მისი ცნობებით, საქართველოს მეფე თეიმურაზი მოსკოვს წავიდა,
უნდა იჩივლოს დაღისტნელებზე, რომ ისინი ავიწროებენ და ცარ-
ცვავენ მის ქვეშევრდომებს და უნდა გამოსთხოვოს რუსეთის მთავ-
რობას ჯარი დაღისტნელების წინააღმდეგო. ფაშა სთხოვს შამხალს,
შეიტყოს, მართალია თუ არა ეს ხმა, რას აკეთებს თეიმურაზი მოს-
კოვში, ხომ არ აქვს მას აზრად დაეცეს დაღისტანს და ყველაფერი
ეს აცნობოს მას. (გვ. 237-240).

4. ამავე საქმეში არის ცნობები:

ა) უკვე მოხსენებული იოანე რუსთველ არქივისკოპოსის შესა-
ხებ, რომელიც თავის თხოვნას რუსეთში დარჩენის შესახებ ასაბუ-
თებს იმით, რომ მისი ეპარქია საქართველოში აოხრებულია ლეკე-
ბისაგან, მას იქ ცხოვრება არ შეუძლია, მით უმეტეს, რომ რუსეთი
დახმარებას არ აპირებსო; მიუთითებს პეტრე 1-ი 1713 წლის 15
მაისის ბრძანებაზე, რომლითაც ქართველ ხალხს უფლება აქვს დაუ-
ბრკოლებლად შემოსვლისა და დარჩენისა რუსეთში. ეს თხოვნა
კი დ-ს წარუდგენია სინოდისათვის. (გვ. 129, 130). საფიქრებელია,
იგი დაკმაყოფილებულ იქნა, რადგან 1764—1766 წ. სამეფო დღესასწა-
ულებში პარაკლისებს იხდის ქართველი არქივისკოპოსი იოანე.
(იხ. „მოსკოვის უწყებანი“ 1764 № 77, 1765 № 52, 1766 № 53, 95).

ბ) მანგოვის შესახებ, რომელსაც კი დ-ის წინადადებით ასტ-
რახანის გუბერნატორმა დაავალა თეიმურაზის ცხედარის და ამალის
მემანდრობა ასტრახანიდან და თან ისიც, რომ საქართველოში ყოფ-

ნის დროს მან „საიდუმლოდ“ გაიგოს და გამოარკვიოს იქაური მდგომარეობა. (გვ. 115). ამგვარივე დავალება მას 1761 წელსაც ჰქონია, ხაზინის ფულიც დაუხარჯავს საჩუქრებზე, ამ ხარჯს კი დამტკიცებს.

გ) სულეიმან მამადოვის შესახებ, რომელიც თეიმურაზის ამაღლაში მყოფი შიო მეღვინეთუხუცესის ყმა ყოფილა, პეტერბურგში გაპარულა, თან წაუღია 60 მან. ფულად და ტანისამოსი 30 მანეთისა და 1762 წ. შეუტანია თხოვნა სინოდში ქრისტიანობაზე გადასვლის შესახებ. (გვ. 180, 181). რით გათავდა ეს საქმე, არა ჩანს.

დ) კანცლერის ბრძანება 1762 წლ. 29 იანვრის თარიღით (გვ. 73), რომ არქიმანდრიტი იოანე საჩქაროდ გაიგზავნოს კიევში, სადაც იგი ყოფილა დანიშნული. ეს არქიმანდრიტი თეიმურაზის ამაღლაში არ არის ნაჩვენები, ასე რომ ამ ცნობას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს თეიმურაზის ამაღლასთან.

ე) თეიმურაზის ცხედარის და ამაღლის გაგზავნას პეტერბურგიდან ეკუთვნის ორი პატარა საქმე, მოთავსებული 1762—76 წ. № 4-ს საქმეში.

პირველი საქმე (გვ. 2) შეიცავს თეიმურაზის ამაღლის თხოვნას, რომ დაჯილდოებულ იქნენ სერჟანტი პოსნიკოვი და კაპრალი უმანინი მათი გზაში მომსახურების გამო და კიდ-ის ცნობას, რომ ის ჯარისკაცები, რომლებიც ახლდნენ თეიმურაზის ცხედარს და ამაღას, დაბრუნდნენ პეტერბურგში 1763 წ. იანვარში.

მეორე საქმე (გვ. 9) შეიცავს ცნობას იმის შესახებ, რომ კიდ-ის მოსკოვის კონტორამ მიიღო ყაზანის გუბერნიის კანცელარიიდან 14 მ. 20 კ., რომელიც შემოსულა იმ მარხილების გაყიდვისაგან, რომლებითაც ჩამოიტანეს ყაზანში თეიმურაზის ცხედარი და ჩამოიყვანეს ამაღა.

საქმეები 1762 წლ. № № 3, 5, 6, 8 და 1762-76 № 4 წლის ყდიანი შეკვრისა გვ. 4, 12, 19 შეიცავენ თურქისტანიშვილის, ხოჯაშვილის, კობახიძის, ბარათაშვილის, დათუნოვის და რომანოვის თხოვნას საქართველოში დაბრუნების შესახებ, ხოლო ჯომარჯიძისა—პოლონეთში გასტუმრების თაობაზე.

თურქისტანიშვილი, მისი სიტყვით, თეიმურაზის ამაღლაში ყოფილა; თეიმურაზს ის გაუშვია ყიზლარიდან პოლტავაში, ნათესაეების სანახავად. გზაზე, ორიოლთან, გაუტარცვიათ და დაუქერიათ. იგი მისულა ბელგოროდში იქაურ პოლიცმეისტერთან, ვასილი თურქისტანიშვილთან. იქიდან პოლტავაში იქაურ კომენდანტთან ფრანგისტან თურქისტანიშვილთან, შემდეგ მისულა მოსკოვში, როცა



თეიმურაზი უკვე გარდაცვლილი ყოფილა. თხოულობდა შემწეობას როგორც თეიმურაზის ამალაში მყოფი. თეიმურაზის ამალის სანახილვით გამოირკვა, რომ იგი ამალაში არ ყოფილა. ამიტომ მას შემწეობაზე უარი უთხრეს.

ხოჯაშვილს — ქართველ გუსართა პოლკის ვახანის ტრს — წარუდგენია სამსახურის ატესტატი.

კობახიძე და ბარათაშვილი ჩამოსულან რუსეთში თავის ნათესავების სანახავად; კობახიძის ნათესავი ტყვედ ყოფილა ოსმალეთში და იქიდან გამოქცეულა. ბარათაშვილი ხუთი წლის წინათ ჩამოსულა თავის ძმასთან, რომელიც სამსახურში იყო და რომელიც გარდაცვლილა 1758 წელსო.

დათუნოვი და რომანოვი ტყვედ წაუყვანიათ ლეკებს, შემდეგ ისინი გაუყიდნიათ ყირიმში და იქიდან გამოქცეულან.

ჯომარჯიძის ძმა ტყვედ ყოფილა ოსმალეთში, იქიდან გამოქცეულა, შესულა პოლონეთის ჯარში და იქ პოლკოვნიკობა მიუღია. თვით ჯომარჯიძე ჩამოსულა პეტერბურგში ძმის სანახავად.

როგორც მაშინ წესად ყოფილა, ყველას მოსთხოვეს, წარედგინათ რუსეთის მოქალაქის მოწმობა, რომ მათ არაერთარი ვალი ან (სადაო) საქმე არა აქვთ რუსეთის მოქალაქეებთან და მხოლოდ შემდეგ მისცეს ჩვეულებრივი საგზაო ბარათი ასტრახანამდე, აქედან კი იქაურ გუბერნიის კანცელარიას უნდა გაეგზავნა ისინი საქართველოში ყიზლარის გზით. ჯომარჯიძეს ამგვარი ბარათი მისცეს სმოლენსკის მიმართულებით.


310

საქმეები 1762 № 2 და 1762—76 № 4 ყდიანი შეკვრისა (გვ. 24) შეიცავენ ჩებოტაროვის, ანტონოვისა და მიტროპოლიტი ტიმოთეს თხოვნას რუსეთში შესვლის შესახებ.

ჩებოტაროვი და ანტონოვი ოსმალეთში ყოფილან ტყვედ წაყვანილნი, იქიდან გაქცეულან და იმერეთში მოსულან. რით გადაწყდა მათი თხოვნა, არა ჩანს.

ტიმოთე მიტროპოლიტის¹ შესახებ 1762 წ. ივნისის 24-ს კიდ-ი სწერდა ყიზლარის კომენდანტს: იმპერატორის 1762 წლ. უქანით აკრძალულია საზღვარგარეთელი ბერების, და კერძოდ ქართველი ბერების, შემოსვლა რუსეთში და მონასტრებში იმათი მიღება და ამიტომ, თუ ტიმოთეს არ შეუძლია რაიმე მიზეზის გამო დაბ-

¹ ეს ტიმოთე მიტროპოლიტი უნდა იყოს ცნობილი მოღვაწე და მწერალი ტიმოთე ვაბაშვილი, რომელიც ანტონ კათალიკოსს გაყოლია რუსეთში და გარდაცვლილა ასტრახანში 1764 წ. (კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I გვ. 375).





რუნდეს სამშობლოში, უნდა დარჩეს ყიზლარში, მხოლოდ თავის ხარჯზეო. მაგრამ შემდეგ, ეტყობა, დარჩენის ნებაც მიუღია დაჯერდა მაგირიც დაუნიშნავთ, რადგან 1763 წ. აგვისტოს ასტრახანის გუბერნატორი ბეკეტოვი ატყობინებდა კიდ-ს: ტიმოთე, რომელიც სინოდის განკარგულებით ასტრახანში ცხოვრობს, დანიშნულ ჯამაგირს აქამდე არ ლებულობს და რადგან იგი დიდი სასულიერო ხარისხისაა, მე მივეცი 30 მან. და ვაპირებ მივეცე კიდევ 50 მანეთითა.

საქმეები 1762 № № 4, 7 და 1762—76 № 4 ყდიანი შეიკვრისა (გვ. 29) შეიცავენ აბაზაძის, თ-დი პრემიერ მაიორის თთარ თუმანიშვილისა და პოდპოლკოვნიკის გაბრიელ ნაზაროვის თხოვნებს.

აბაზაძე თხოულობდა—დაეტოვებინათ იგი ავადმყოფობის გამო მოსამსახურედ კიდ-ში და არ გაეგზავნათ ასტრახანს გუბერნატორთან ქართულ საქმეებში დასახმარებლად, რაც დაკმაყოფილებულ იქნა სტატსკანტორის მიერ.

თუმანიშვილი და ნაზაროვი თხოულობდნენ დაჯილდოებას. თუმანიშვილი, მისი სიტყვით, ასრულებდა 1754 წლიდან საიდუმლო და საპასუხმგებლო დავალებებს საქართველოს შესახებ. ნაზაროვის მამა, დავით, გამოყოლია მეფე ვახტანგს რუსეთში და გაგზავნილი ყოფილა 1725 წ. ვახტანგის მიერ სპარსეთში ოსმალების წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. ეს ფაქტი მტკიცდება საქმეში მოთავსებული საბუთებით: 1) თამაზ შაჰის 1726 წლ. ფირმანით მამედ რიზა-ხანზე, დაეხმაროს ვახტანგ მეფეს, რომლის რწმუნებულმა დავით ბეგმა აღძრა შაჰის წინაშე ამის შესახებ შუამდგომლობა; 2) ყიზლარის კომენდანტის კროპოტოვის თხოვნით, დაუბრუნდეს მას ის ფული, რომელიც მან მთავრობის ნებართვით მისცა თავის ჯიბიდან ვახტანგ მეფის მიერ სპარსეთში გაგზავნილ დავით ნაზაროვს, რადგან ასტრახანში ვახტანგის გადასახლების გამო, ვახტანგისათვის მიჩენილი სახაზინო ფული მას არა ჰქონდა (იქვე) ¹.

რით გათავდა თუმანიშვილის და ნაზაროვის საქმეები, არა ჩანს. საქმე 1762-76 № 74 (გვ. 65) ეხება სარაფანიკოვის აბრეშუმის ქარხანაზე მიწერილი ქართველების და სომხების თხოვნას 1764 წ., მისცემოდათ მათ ნება მოზღოკში გადასახლებულიყვნენ. მთავრობამ ამ თხოვნაზე უარი უთხრა.

¹ რომ რუსეთი ვახტანგის მიერ გადადგმული ნაბიჯის წინააღმდეგი არ იყო, ეს ჩანს როგორც კროპოტოვის ზემოხსენებული საქმიდან, ისე იმით, რომ რუსეთის 1732 წლ. ტრაქტატით სპარსეთს დაევალა, როცა იგი საქართველოს დაიბრუნებდა, ტახტი ვახტანგისათვის გადაეცა. (ბუტკოვი, 1 გვ. 113).



საქმე 1752—76 №4 (გვ. 154—174) ეხება იესე შეილის შვილი-
 ქვრივს, მარიამ ერასტის (Аристовой) ასულს.

1766 წ. იგი ყიზლარიდან ითხოვს, რომ მას და მის შვილი-
 შვილს მიეცეს ნება წავიდნენ მათ ნათესავ გიორგი ბატონიშვილ-
 თან მოსკოვში, სადაც აპირებდნენ დარჩენას და, თუ ეს არ შეიძ-
 ლებოდა, მიეცათ ნება ასტრახანში გადასახლებულიყვნენ, რომ ჰქონო-
 დათ საშუალება, როგორც კათოლიკეს, ეკლესიაში ევლოთ. ეს საკით-
 ზი გამოსარკვევად კიდ-მა მიანდო აბაზაძეს¹, რომელმაც ვრცელი
 წარწერა გაუკეთა მარიამის თხოვნას. აბაზაძე ამბობს: იესე, ვახტანგ
 მეფის ძმა, ყმაწვილობიდანვე იზრდებოდა სპარსეთში შაჰის კარზე,
 მაჰმადის რჯულზე. ვახტანგი რომ სპარსეთში წავიდა, იესეს მოხერ-
 ტებით ვახტანგს ქართლი ჩამოართვეს და მისცეს იესეს. შვიდი წლის
 შემდეგ უკვე გამაჰმადიანებულ ვახტანგს დაუბრუნეს ტახტი, გადას-
 ცეს მას დაქვრივი იესე, ვახტანგმა იგი მალე გაათავისუფლა და
 დანიშნა ქართლის მდივანბეგად. როცა ვახტანგი რუსეთში გადმო-
 ვიდა, იესე მიემხრო ოსმალებს, მიიღო ფაშობა და დანიშნა ქართ-
 ლის გამგედ. ცოლად აიყვანა (საფიქრებელია, ტექსტის მიხედვით,
 1724 წლ. შემდეგ) ერეკლეს ქალი, თეიმურაზის და ბეგუმი, რომელ-
 ზედაც იქორწინა ჯერ მაჰმადის, მერე ფარულად ქრისტიანიული წე-
 სით. ბეგუმი საყოველთაოდ ცნობილი იყო, როგორც კანონიერი
 ცოლი და იმისგან იესეს ყავდა შვილი, შემდეგ ანტონ კათალიკოსი.
 იესეს სიკვდილის შემდეგ ბეგუმი მონაზვნად შედგა, მოვიდა რუსე-
 თში და ცხოვრობდა ბაქარ ბატონიშვილის სახლში, სადაც გარდა-
 იცვალა. მარიამ ერასტის ასული არ შეიძლება იესეს კანონიერ ცო-
 ლად ჩაირიცხოს. მართალია, იგი დიდებული ქართველი თავადის
 ასულია, მაგრამ მას უკვე ორი ქმარი ჰყავდა. პირველი ქმარი, თავის
 ცუდი ყოფაქცევების გამო, მიატოვა და მისთხოვდა მეორეს; ამას კი
 იესემ, მისი სილამაზით გატაცებულმა, მოსტაცა იგი და ჰყავდა რო-
 გორც არა სჯულღიერი ცოლი (იქნებო, უმატებს აბაზაძე, მაჰმადის
 სჯულის მიხედვით კანონიერადაც თვლიდა). ამ ქალს არავინა სცნო-
 ბდა როგორც დედოფალს და უწოდებდნენ მას მხოლოდ როგორც
 „მდივანბეგის ქალს მარიამს“. მისგან იესეს შვილი არა ჰყოლია.

ამ მოხსენების გამო პანინმა,² კიდ-ის უფროსმა, განმარტა,
 რომ მარიამ ერასტის ასული, როგორც იესეს არაკანონიერი ცოლი,
 მოსკოვში არ შეიძლება შეწევბულ იქნესო, მხოლოდ, როგორც ქრი-

¹ საფიქრებელია, ეს ის აბაზაძე იყოს, რომელიც მოხსენებულია ზემოთ.
² პანინი ნიკიტა ივანეს ძე (Брокгауз).

სტიანეს, შეუძლია დასახლდეს ყიზლარში ან ასტრახანშიო. მაშინ ამ საქმეში ჩაერთა ათანასე ბატონიშვილი, მოსკოვის ობერ-კომენდანტი,¹ რომელმაც აუწყა პანინს წერილით: დიდებულ გვართავან ქალის ხასად აყვანა ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ მაჰმადის სჯულის თანახმად მარიამი მეორე კანონიერი ცოლი იყო იესესი და რომ იგი კათოლიკეთა სარწმუნოებისაა იმ მიზეზის გამო, რომელიც მე თქვენ სიტყვიერად მოგახსენეთო. დაბრუნება საქართველოში მას არ შეუძლია, არ შეუშვებენ, შეუძლია მხოლოდ სპარსეთში წავიდეს, მაგრამ ეს საშიშოა, შესაძლებელია მისი შვილიშვილი მაჰმადიანად აქციონო. არც ამ განმარტებამ გასჭრა და ხელმწიფის უქაზით მარიამს გამოეცხადა იგივე, რაც პანინის განკარგულებაშია ნათქვამი. არ გასულა ერთი თვე, ასტრახანის გუბერნატორმა მოახსენა კიდეს, რომ მან მარიამ ერასტის ასულის შვილიშვილი დიმიტრი იაგორი-შვილი, მისი თხოვნისამებრ, გაუშვა მოსკოვში ნათესავებთან, ხოლო ბებია მარიამი დარჩა ასტრახანშიო. კიდევ ერთი თვის შემდეგ დიმიტრი იაგორიშვილმა აღძრა შუამდგომლობა, რომ მის ბებიასაც მიეცეს ნება მოვიდეს მოსკოვს, რაც იმპერატრიცისაგან დაკმაყოფილებულ იქნა 1767 წ. 16 ივლისს. მას თითონ მიეცა ნება შესულიყო ჯარში სათანადო ხარისხით².

¹ იხ. ქვემოთ „მოსკოვის და პეტერბურგის უწყებათა“ ცნობები.

² აბაზაძის მოხსენება მარიამის შესახებ არ ეთანხმება სენია ჩხეიძის ცნობებს. მისი სიტყვებით, იესემ პირველად ცოლად შეირთო სწორედ მარიამ მდივანბეგის, ერასტი ყაფლანიშვილის ქალი. ეს მოხდა 1714 წ. მაგრამ რადგან იესეს წინათ ნათხოვი ყავდა ერეკლეს (ნახარალი-ხანის) ასული ბეგუმი და მისი მიტოვება არ შეიძლებოდა, იესემ როგორც მაჰმადიანმა, შეირთო ბეგუმიცო. ამის შემდეგ, საფიქრებელია, პირველ ცოლად მიჩნეული იყო ერეკლეს ქალი ბეგუმი, მეორედ—მარიამი. მარიამისაგან იესეს ყვოლა შვილი გიორგი. მარიამი იხსენიება როგორც „ბატონის რძალი“ და ბატონიშვილი გიორგის დედა 1736 წლ. სიგელში (სიძვ. II, № 342), რომელსაც ხელს აწერენ 23 ქართველი თავად-ახანური და სამღვდლო პირები. ამგვართვე იგი იხსენიება 1733 სიგელში (სიძვ. I—82). ამგვარად, კლერიკალური ქრისტიანობის თვალსაზრისითაც მარიამი იესეს უკანონო ცოლად არ ყოფილა მიჩნეული, თუმცა ავტორი (თეიმურაზ ბატონიშვილი, პროფ. თაყაი-შვილის განმარტებით) „უწყებისა მცირისა ქართველთა მწერალთათვის“ „ძველი საქართველო“ ტ. 1 მას უწოდებს „მხევალს“.

რაც შეეხება მარიამის შვილიშვილს დიმიტრი იაგორის ძე ბაგრატიონს—ეს დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონია, ცნობილი მწერალი; მისი გადასახლება რუსეთში მომხდარა 1766 წ. და არა 1724 წ. ვახტანგ მეფის ამაღლაში, როგორც აქამდე ფიქრობდნენ („კომუნისტი“ 1937 წ. № 41 წერილი რუხაძისა). 1724 წ. იგი დაბადებულიც არ ყოფილა, რადგან იგი 1820 წ. უწოდებს თავის თავს „ოთხმოც წელს გარდახდომილად“ (პროფ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. II, გვ. 457). სწორი არ უნდა იყოს პროფ. კეკელიძის მოსაზრებაც, თითქოს დიმიტრი ბაგრატიონი იყოს იესე მეფის შთამომავალი, შვილიშვილი ქაიხოსროსი, იესეს ძისა (ქართ. ლიტერ. ისტ. II გვ. 457). თვით იმ საბუთში, რომელსაც უჩვენებს პატიცემული პროფესორი („მცირე უწყ. ქართვ. მწერალთათვის“), დიმიტრი ნაჩვენებია იესეს შვილიშვილად.



საქმე 1762—76 № 4 (გვ. 177—190) ეხება ზაქარია მღვდელს გაბაშვილს.

1767 წ. ოქტომბრის თარიღით ერეკლე მეფე და კათალიკოსი ანტონი ატყობინებენ ყიზლარის კომენდანტს, რომ 1764 წ. 18 ოქტომბერს თბილისში მღვდელი ზაქარია გაბაშვილი, როგორც ცბიერი და უკეთური, კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მიერ შეჩვენებულ იქნაო, მას შემდეგ კიდევ უფრო მეტი არაწმინდებანი ჩაუდენია მეფისა და კათალიკოსის მიმართ და ამიტომ იგი 1767 წ. გაუძევებიათ საქართველოდან და ისიც მისულა ყიზლარში. მეფე და კათალიკოსი აფრთხილებენ კომენდანტს, მღვდელი ზაქარია ქრისტიანედ არ ჩასთვალონ და არ მისცენ მღვდელმსახურების უფლებაო. ეს წერილები კომენდანტს ასტრახანის ეპისკოპოსისათვის გაუგზავნია, ეპისკოპოსს ზაქარია მღვდელი გამოუხშია, რომელსაც ვრცელი და რუსულად დაწერილი მოხსენება მიუერთებია. მოხსენებაში ზაქარია მღვდელი სწერდა, რომ ანტონ კათალიკოსმა, როცა იგი განაგებდა ვლადიმირის ეპარქიას, გამოგზავნა საქართველოში მის მიერ შედგენილი წიგნი განმარტებით, საიდანაც ჩანს, რომ მას ბევრი შრომა და ჯაფა გაუწევია მე-50-ე ფსალმუნის („მიწყალეს“) განმარტებისათვის; აღწერია კათოლიკობა და პაპის შესახებ ცრუმორწმუნეობა დიდის მიკერძოებითა და ცალმხრივად. ანტონი ამბობსო, —წერს ზაქარია, —რომ ერთად-ერთი სამოციქულო და დედა-ეკლესია არის კათოლიკეთა ეკლესია, ქრისტეს სარძლო. არ არის ახლა აღარც იერუსალიმის, აღარც კონსტანტინეპოლის და აღარც ალექსანდრიის ეკლესია, არის მხოლოდ რომის ეკლესია და მის პაპს ყველა სამეფო ემორჩილებაო. გარდა ამისა, როცა იესო ქრისტე ამაღლდა, მისი სხეული მესამე ცაზე დარჩაო. წერილში ისიცაა ნათქვამი, რომ იესო ქრისტე, ქერუბიმების ტახტზე რომ ზის, იესო ქრისტე არ არისო. ამისი რწმენა ყოვლად შეუძლებელიაო. ანტონი ბევრ ადგილას მრუდედ განმარტავს ლათინთა რჯულს და მოწმედ მოყავს იოანე დამასკელი, ათანასე დიდი, გრიგოლ ნემესიელიო. ჩვენთა წმინდანთა შესახებ კი ბევრს საწინააღმდეგოსა სწერს, კომენდანტისადმი მირთმეულ მოხსენებაში ზაქარია მღვდელი იმასაც ამბობდა, რომ ანტონ კათალიკოსის განმარტებით სული წმინდა გამოვალს მამისაგან და ძისაგანო. (Filio qve).

1. ეს წიგნით, —განაგრძობს ზაქარია მღვდელი ეპისკოპოსის მიმართ მიმართულ მოხსენებაში, —ანტონ კათალიკოსმა აწ გარდაცვალებულ მეფე თეიმურაზს გამოუგზავნა, თხოულობდა — ქართველმა ახალგაზრდობამ იგი გადაწეროს და გაავრცელოსო. მკოდნე კაცებმა რომ განიხილეს, ბევრი მწვალებლობა აღმოაჩინეს, იმიტომ

დამალეს იგიო. როცა თეიმურაზი გარდაიცვალა, ერეკლე მეფემ განი-
მოიხზო რუსეთიდან ანტონი, შეყარა თბილისში სასულიერო კრება-
კრებამ ჩემზე ჩემ დაუკითხავად დადგენილება გამოიტანა: სამი წე-
ლიწადი ზიარება არ მალირსეს, ეზო და სახლი წამართვესო.

2. იოსებ კათალიკოსმა, როცა იგი რუსეთში ანტონ კათალიკო-
სის ყოფნის დროს საქართველოს ეკლესიას მართავდა, ყველა ის პირი,
ვინც ეს წიგნი შეიწყნარა, შეაჩვენა, ამიტომ დიდი უთანხმოება
ჩამოვარდა. ეს წიგნი არ მიიღეს და ხელი არ მოაწერეს იოსებ კათა-
ლიკოსმა, ალავერდის მიტროპოლიტმა ზინონმა, მე მოძღვარმა, იე-
რომონაზონმა არკადიმ, მღვდელმა იოსებმა, მღვდელმა დავითმა,
იოსებ დიაკონმა, ჩემმა შევილმა გრამატიკოსმა ისაკიმ და სხვა ზოგი-
ერთმა სასულიერო პირმა. ხშირად იკრიბებოდნენ, პაექრობდნენ,
ხან ძალით, ხან მოფერებით გვთხოვდნენ, რომ ის წიგნი შეგვესწო-
რებინა და მიგველო, მაგრამ ეს არ მოხდა. მოპირდაპირენი გაი-
თიშნენ და გაგზავნეს იოსებ კათალიკოსი მეტეხში, ალავერდელი
ზინონი — უდაბნოში, მე — ქიზიყში, დანარჩენები სხვადასხვანაირად
დასაჯეს.

3. რვა თვე ვიყავი საპყრობილეში დამწყვედელი, ხშირად მი-
გზავნიდნენ კაცებს, მირჩევდნენ დავთანხმებოდი, მაგრამ ვერ დამი-
ყოლიეს. შემდეგ მომიყვანეს თბილისში, მომიგზავნეს ერთი ეპისკო-
პოზი და ერთი კარის მღვდელი და წმ. სამებით გვეფიცებოდნენ,
რომ იმ წიგნს და აპოლოგიას არას დროს არ შეგვასრულებთო,
ორივეს შენ მოგცემთო, გინდა დაწვი, ან რაც გინდა ის უყავიო.
ჩვენ ვერწმუნეთ მათს საშინელს ფიცს, აპოლოგია მოგვცეს, ჩვენ ის
დავწვიოთ, ხოლო ზემოხსენებული წიგნის შესახებ კი დაგვპირდნენ
მოგცემთო. დიდი სიხარული შეგვექმა, მაგრამ ისინი თურმე
ცბიერობით ამბობდნენ ამას. ცოტა ხნის შემდეგ მივედი ანტონ კა-
თალიკოსთან და მან მითხრა: იმ წიგნში მე მართლმადიდებლობის
გარდა არაფერი არ დამიწერიო, ამიტომ უნდა მივიღოთ იგიო. ეს
ძლიერ მეწყინა და ვუპასუხე: ის საქმე უკვე მორჩა, ამაზე ნუ ლა-
პარაკობთ-მეთქი, ავდექი და გამოვედი.

4. დავეთხოვე მეფე ერეკლეს და კათალიკოსს ანტონს, წავედი
მთებში. კათალიკოსმა მღევარი დამადგენა, დამიჭირეს, ორი თვე
საპყრობილეში მამყოფეს. მეფე ერეკლემ მოიწვია იმერეთის მეფე სო-
ლომონი და იმერეთის რამდენიმე ეპისკოპოზი, მიმიყვანეს და გამოი-
ტანეს ის წიგნი, რომლის მოცემას დაგვპირდნენ, ხელახლავ დაა-
დასტურეს და მეც წინადადება მომცეს, მიიღე და შეგვირიგდიო.
მე არ დავთანხმდი. მაშინ კათალიკოსმა შეჰყარა თავისი მომხრე ეპის-



კობოზები, მიგვიყვანეს სამივე: მე, ჩემი შვილი იოსები და დიპლომატი ისაკი, ხელებ-შეკრულები. კათალიკოსმა, მეტად გაჯავრებულმა, დამიძახა: ოი, შე ბოროტო! მოითხოვა ამფორი და სხვა სამღვდელ-მთავრო შესამოსელი, დადგა მუხლებზე და თქვა: თუ ამ წიგნში რაიმე მწვალებლობა იყოს, მე ვიყო შეჩვენებული, თუ არა—მღვდელი ზაქარია, იოსები და ისაკიო. მე დავიყვირე: შენ ნაწერს და წიგნს მე არ ვირწმუნებ-მეთქი. ჩემ შვილს და ისაკს არც კი ათქმევინეს რამე. მიგვეცეს საერო კაცებს, რომლებმაც შეუბრალებლად გვეცემეს, შეგვაქრეს თმა და წვერი, დაგვადგეს ბორკილები და ჩავყარეს საპყრობილეში. მრავალჯერ კაცები გამოგვიგზავნეს, რომ დავთანხმებულიყავით, მაგრამ ჩვენ უარზე ვიდექით.

5. ამის შემდეგ, რაც რაიმე მქონდა ან მამულ-დედული, ან პირადად შენაძენი, აგრეთვე საეკლესიო ქურჭელი, სულ წამართვეს, ცოლი, შვილები და მთელი ჯალაბი სიღარიბეში ჩაავდეს, ასე რომ კარდაკარ დადიოდნენ და მოწყალებას თხოულობდნენ. თექვსმეტი თვე ვიჯექი საპყრობილეში, ბოლოს კათალიკოსმა უბრძანა ყარაულს: საპყრობილეს მოშორდით, სადაც უნდა, იქ წავიდესო. მეც გავედი, მივედი ჯალაბთან, რომელიც ოცი სულისგან შესდგებოდა, მათ შორის ჩემი შვილების და ძმების 9 ბავშვი იყო. კათალიკოსი ქადაგობდა: ვინც მათ მოწყალებას მისცემს—ეკლესიაში არ შეეუშვებო. გავიდა ერთი წელიწადი და ჩვენ უარესი დაგვემართა: მოაყვანიდა ჩემი უფროსი შვილი და ისე სასტიკად სცემეს, რომ ერთი კვირა ავადმყოფი იწვა. გამოგზავნა ესაულები, რომლებმაც რაც დარჩენილიყო: წმინდა ხატები, წიგნები და წმ. ნაწილები, ისიც წაიღეს.

6. კიდევ გამომიგზავნეს კაცები, შევერთდეთ, თორემ რუსეთში გაგყრიან ყველასო. მე არ დავთანხმდი. ივნისში, როცა მეტად ცხელოდა, უფროსი შვილები ცალცალკე საპყრობილეში ჩასვეს, მე, ჩემი ცოლი და ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი დაგვსვეს ურემზე და მთებში გაგვგზავნეს, საშინელ ადგილებში გაგვატარეს. მზრუნავი არავენ მოგვეცეს, ფიქრობდნენ—ამით დავიმორჩილებთო. მერე იქიდან ცოლი და ბავშვები წამართვეს, მე კი ექვს მთიელ კაცს მიმცეს, რომლებმაც ორმოცი დღე საპყრობილეში მამყოფეს, 8 შვილი წამართვეს, 2 დიაკანი და დანარჩენი საერო პირები. ბევრი ვთხოვე, ერთი შვილი მაინც მომეცით, კაცს ამდენ ცხვარსაც არ წაართმევენ-მეთქი, მით უმეტეს, რომ ისინი თქვენი ნაჩუქარი კი არა, ღვთისაგან მოცემულია-მეთქი, მარა არ ისმინეს.



7. მოვიდა მეფე ერეკლესა და ანტონ კათალიკოსის ბრძანებანი: გახადეთ, გაჩხრიკეთ, რასაც ნახავთ—წაართვით, რომ არავინ დაინახოს. ნაწერი არ გაატანოთო, მეორეჯერ საზღვარზე გაჩხრიკეთო. იმავე წამს ტანისამოსი გაგვხადეს, გაგვჩხრიკეს, მაგრამ ჩვენ არაფერი აღმოგვაჩნდა, მოგვცეს ერთი გზის მაჩვენებელი ოსეთამდე, სადაც არიან ბერები, იქიდან მოვედი ყიზლარში. აქაც არ დამაყენეს და აქაც მოიწერეს სიბოროტით და შურით სავსე წერილები. ახლა კი თქვენის წყალობით აქ მოვედი. გთხოვთ მიმილოთ, შემიწყალოთ. ხუთი წელიწადია, რაც ანტონ კათალიკოსმა ქრისტეს განხორციელება დაჰგმო, ზიარება არ მომცა, მართლმადიდებლობა შეიძულა. ის წიგნი მე აქ მაქვს, განიხილეთ ჩემი საქმე, მეტად მოხუცებული ვარ, ვკვდები უაღსარებოდ და უზიარებოდ. ეს მაღირსეთ, სხვას არაფერსა გთხოვთ. კერპთაყვანისმცემლებს ნათლავთ, ურწმუნოს წყალობით ეპყრობით. მე ყოვლად ცოდვილი და უღირსი, მხოლოდ თქვენი წმინდა სარწმუნოების სავსებით აღმასრულებელი კაცი ვარო.

ზაქარიას ეს მოხსენება ასტრახანის ეპისკოპოსს გაუგზავნია სინოდში, რომელმაც 1868 14/VIII მიიღო მხედველობაში, რომ 1) ზაქარია მღვდლის განმარტებით, მისი შეჩვენება და განდევნა მოხდა იმიტომ, რომ იგი წინაღუდგა ანტონ კათალიკოსის წიგნს, რომელშიაც ბევრი უმართებულობაა ჩაწერილი და რომ ამით საქართველოში მწვალებლობას შეუძლია მოიკიდოს ფეხი და რომ 2) ზაქარია მღვდელმა მიმართა ხელმწიფის მოწყალებას და მფარველობასაო და დაადგინა:

მეწეროს: 1. კიდ-ს, რომ ა) გამოითხოვოს მეფე ერეკლესაგან ცნობები: რა დანაშაული მიუძღვის ზაქარია მღვდელს მეფის წინააღმდეგ, ბ) ანტონ კათალიკოსს ჰკითხოზნ—რა ბოროტი და უმსგავსო საქმეები ჩაიდინა მან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რა მიზეზების გამოა იგი შეჩვენებული, გაკრეჭილი და საქართველოდან გაძევებული, და მართალია თუ არა, რომ ანტონ კათალიკოსის წიგნში არის იმგვარი შინაარსის ადგილები, როგორსაც უჩვენებს ზაქარია მღვდელი; 2. ასტრახანის ეპისკოპოსს: უბრძანოს ზაქარია მღვდელს, რათა ის ადგილები ანტონ კათალიკოსის წიგნისა, რომლებსაც იგი მართლმადიდებლობის წინააღმდეგად რაცხს, გადათარგმნოს რუსულად, შემდეგ თვით წიგნიც გადათარგმნონ (ალბად ეპისკოპოსის მოხელეებმა) და ყველაფერი ეს წარმოუდგინონ სინოდს. იმავე დროს ყურადღება მიექცეს იმას, მართლა კეთილმორწმუნეა ზაქარია მღვდელი, და თუ რაიმე იქვს იწვევს, თუ იგი მართლაც მართლმადიდებლად მოველინება საჯაროდ ეპისკოპოსს და დანარჩენ სამღვდლოე-

ზას, მაშინ, სანამ მისი საქმე გაირჩეოდეს, მოათავსონ იგი მონასტერში სათანადო ზედამხედველობის ქვეშ, რომ არსად წავიდეს და მხოლოდ იმ შემთხვევაში ათქმევინონ აღსარება და აზიარონ, თუ მომაკვდავი გახდა.

ამაზედ კიდ-ი არ დაეთანხმა. (იხ. მისი მოხს. 1768 წ. 26/XII). თავის მოხსენებაში, რომელიც ხელმოწერილია პანინისა და გოლიცინის¹ მიერ, კიდ-ი სწერს, რომ საჭიროა მხოლოდ არსებული მასალებით ვისარგებლოთ, რადგან ერეკლე მეფისა და ანტონ კათალიკოსისაგან უკვე მიღებულია განმარტება და ახლა უხერხულია მათგან ხელმეორედ განმარტების მოთხოვნა, მით უმეტეს, რომ ისინი მოქმედებენ თავის ქვეყანაში, ჩვენი ქვეშევრდომები არ არიან და ამგვარი მიმართვა გამოიწვევს მათ უკმაყოფილებას და, შესაძლებელია, პასუხიც არ მოგვცენო².

ამით თავდება კიდ-ის საქმეებში ზაქარია მღვდლის შესახებ ცნობები.

ამგვარია ის ცნობები, რომელიც ჩვენ შევკრიბეთ მოსკოვის არქივებში ანტონ კათალიკოსსა და მღვდელ ზაქარია გაბაშვილს შორის განხეთქილების შესახებ. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ზაქარია მღვდლის წერილებსა და ერეკლე მეფის და ანტონ კათალიკოსის წერილებს შორის მთავარი ღერძი განხეთქილებისა, ორივე ჯგუფის წყაროების მიხედვით, ერთი და იგივეა. ეს არის ანტონ კათალიკოსის მიერ ვლადიმერში შედგენილი განმარტება

¹ გოლიცინი უნდა იყოს ალექსანდრე მიხეილის ძე ფელდმარშალი (Еркс-рая).

² პანინისა და გოლიცინის განმარტება, რომ მეფე ერეკლე და ანტონ კათალიკოსი მოქმედებდნენ თავიანთ ქვეყანაში, რომ ისინი რუსეთის ქვეშევრდომები არ არიან და ამიტომ უხერხულია ხელმეორედ ცნობების მოთხოვნაო, რასაკვირველია, სწორი აზრია, მაგრამ პანინი და გოლიცინი ამით არ ხელმძღვანელობდნენ. ამის მაგალითია ვინმე ვაჭრის ალამალოვის საქმე, რომელმაც ერეკლეს პირობა არ შეუსრულა და რომელსაც ერეკლემ ამიტომ ნება არ მისცა საქართველოში საქმეების გაჩაღებისა. ალამალოვის საკითხის შესახებ პანინი 1774/5 წელს რამდენჯერმე დაქინებით მოითხოვდა დაეშვათ ალამალოვი საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე ამის წინააღმდეგი იყო. (კიდ-ის საქმე 1774—1804 წლ. № 18).

თუ ზაქარია მღვდლის საქმეში კიდ-ი ზემოხსენებულ გზას დაადგა, იმიტომ დაადგა, რომ სწორეთ იმ წელს რუსეთმა წინადადება მისცა მეფე სოლომონს და მეფე ერეკლეს—მონაწილეობა მიეღოთ რუსეთ-ოსმალეთის ომში, და ამ დროს კი მათი შეწუხება ვილაც უბრალო მღვდლის გამო ყოვლად შეუწყნარებელი იყო. ალამალოვის საქმე კი 1774/5 წლ. წარმოებდა, ე. ი. შემდეგ, რაც რუსეთ-ოსმალეთის ომი გათავდა და ერეკლეს მომადლიერება უკვე საჭირო აღარ იყო.

ფსალმუნის მე-50 მუხლისა („მოწყალესი“) და მისივე აპოლოგია რომლებშიაც, მღვდელ ზაქარიას სიტყვით, ჩანს ანტონ კათალიკოსის მიდრეკილება კათოლიკობისადმი და კათოლიკე ეკლესიის მოძღვრების აღიარება, როგორც ერთად-ერთ, ნამდვილ საქრისტიანო მოძღვრებისა.

სამწუხაროდ, თბილისში ჩვენს წიგნთსაცავებში არ აღმოჩნდა ანტონ კათალიკოსის არც ფსალმუნის მე-50 მუხლის განმარტება, არც მისი აპოლოგია. როგორც ზაქარია მღვდლის 1769 წლის თხოვნიდან ჩანს (სახ. მუზეუმი № 3182), ორივე წიგნი, როგორც მე-50 მუხლის განმარტება, ისე აპოლოგია მას ასტრახანის ეპისკოპოსისათვის წარუდგენია. ამ ეპისკოპოსს, სინოდის მოწერილობით, ისინი უნდა წარედგინა სინოდისათვის. ამიტომ, ეჭვს გარეშეა, რომ ორივე წიგნი (მე-50 მუხლის განმარტება და აპოლოგია), დაცული უნდა იყოს ყოფილი სინოდის არქივში, რომელიც ახლა ლენინგრადშია.

ამ წყაროების დაწვრილებით შესწავლა მომავალის საქმეა და თან მეტად საჭიროც, რადგან ანტონ კათალიკოსსა და ზაქარია მღვდელს შორის განხეთქილებას, როგორც ეტყობა, დიდი არეულობა ჩამოუგდია საქართველოს მაშინდელ ცხოვრებაში. ძნელი დასაჯერებელია მხოლოდ, რომ ანტონ კათალიკოსს, მაშინ ვლადიმირის ეპარქიის არქივისკოპოსს, რომელმაც ამდენი ტანჯვა განიცადა კათოლიკე ეკლესიისადმი მიდრეკილების გამო, და რომელმაც რუსეთში გადასვლის შემდეგ სინოდის წინაშე გააქარწყლა ეს ბრალდება, აღიარა მართლმადიდებლობა და რომელიც უდანაშაულოდ იქნა ცნობილი სინოდის მიერ, დაეწერა ისეთი წიგნი, სადაც მხოლოდ კათოლიკე ეკლესიას სცნობდა ქრისტეს ერთად-ერთ ეკლესიად და სცნობდა აგრეთვე ამ ეკლესიის ცნობილ თეზისს (Filioque).

მეორე მხრივ, ზაქარია მღვდელი ცნობილია, როგორც მეტად განათლებული და ნიჭიერი პიროვნება. აქაც ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი ხელმეორედ ამხედრებულიყო ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ იმის შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი სინოდის მიერ გამართლებულ იქნა. ამიტომ უნებლიეთ იზადება ეჭვი, ამ ბრძოლას, გარდა სარწმუნოებრივი საკითხების წინააღმდეგობისა, სხვა სარჩული ხომ არ ედვა.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქართველ სამღვდელოებაში დარჩენილი ტრადიციით, მე-50 ფსალმუნის განმარტება ანტონ კათალიკოსმა დასწერა საქართველოდან რუსეთში გადასახლებამდე. მხოლოდ „აპოლოგია“ კი რუსეთში დასწერა სინოდის წინაშე თავის გასამართლებლად.

საქმე 1762—76 № 4 (გვ. 90—151) ეხება ბატონიშვილს
ალექსანდრე ბაქარის ძეს.

1766 წ. სექტემბრის 5-ს ყიზლარის კომენდანტი ატყობინებს ასტრახანის გუბერნატორს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი (ამ საქმეში ალექსანდრე მუდამ იხსენიება როგორც თავადი (князь), რომელიც ამას წინათ აქ ჩამოიყვანეს, და რომელსაც ახადეს გვარდის კაპიტნის ხარისხი და გაუშვეს საქართველოში¹, წასულა ყუბანში და იქიდან აპირებს წასვლას პოლონეთშიო, რაც მტკიცდება მისივე ორი წერილით დედისა და ცოლის სახელზეო. ეს წერილები გამოუგზავნია ბატონიშვილს პოდპოლკოვნიკ ალექსანდრე ბატონიშვილისათვისო². კომენდანტის მოხსენებას დართული აქვს წერილები ერთი ქართულად — ალექსანდრეს დედის სახელზე, მეორე რუსულად — ცოლის სახელზე. ამ წერილებში ალექსანდრე მართლაც იტყობინება, რომ ახლა ყუბანში ვარ, იქაური მებატონეები ძალიან მემსახურებიან და აქედან პოლონეთში ვაპირებ წასვლასო. (გვ. 90—95). იმავე სექტემბრის 15 იგივე კომენდანტი იტყობინება, რომ ალექსანდრე პოლონეთში არ წასულა, არამედ ყუბანიდან გადმოიარა დიდი და პატარა ყაბარდო³, იყო ბრაგუნში⁴, შემდეგ პატარა ყაბარდოს მებატონის როსლანბეკის ტავსულტანოვის და ბრაგუნის მებატონის კუჩუკ ბამატოვის თანხლებით აქსაიში — ამ სოფლის მებატონე ადიღირეი ალბეგოვთან, აქედან კუჩუკი ავადმყოფობის გამო დაბრუნდა თავის სახლში, როსლანბეკი კი გაყვა ალექსანდრეს ანდრეევსკაიას სოფელში, სადაც იგი ინახულა კომენდანტის მიერ ვითომ სხვა საქმეზე გაგზავნილმა ოფიცერმა. ამ ოფიცერს ალექსანდრემ უთხრა, ყაბარდოდან ბეშტაუს⁵ მთებში ვაპირებ წასვლასო. მაგრამ ჩემი და ჩემის მხლებლების

¹ ბუტკოვს (II, გვ. 144) არა აქვს ნათქვამი, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში გაესტუმრებინოსო.

² საფიქრებელია, ეს იყოს ვახტანგ VI-ს ძმის იესეს შვილი, რომელიც იხსენიება 1751 წლ. სიგელში (საქ. მუხ. ახალი ფონდი № 217). 1760 წ. იგი სთხოვს რუსეთის მთავრობას მიიღონ სამსახურში (კი დი, 1760 № 3). ეს თხოვნა დაკმაყოფილებული ყოფილა (ბუტკოვი I, გვ. 137). 1762 წ. ალექსანდრე ბატონიშვილი, ქართველ გუსართა ესკადრონის პოდპოლკოვნიკი ყიზლიარის კომენდანტის საშუალებით ითხოვს ნება მიეცეს, როგორც მან სამსახურში შესვლის დროს იკისრა, სანამ გუსართა პოლკების მომავალი შტატები განიხილებოდეს (იხ. ქვემოთ), შეაგროვოს ქართველებისა და სომხებისაგან 200 ჯარისკაცი. (ცვი ა, აღწ. 121, შეკვრა I, № 502). რით გათავდა ეს უშამდგომლობა, არა ჩანს.

³ დიდი და პატარა — ყაბარდო — მხარეები ჩრდილო-კავკასიაში.

⁴ ბრაგუნი, აქსაი, ანდრეევსკაია — სოფლები ჩრდილო-კავკასიაში.

⁵ ბეშტაუ — მთა პიატიგორსკისთან.



ავადმყოფობის გამო დაებრუნდიო. თუ რა მიზეზით დადის ასე, არც მას და არც როსლან ბეკს არაფერი უთქვამთ. მხოლოდ სხვა ხალხიდან გაიგო ოფიცერმა, რომ ბატონიშვილი აპირებს ანდრეევსკაიას სოფლიდან, კოსტეკის¹, ტარკის, დარუბანდის, შამახიის და განჯის გზით წავიდეს სპარსეთში, მაგრამ თუ რა მიზნით მიდის ის სპარსეთში, არ უთქვამსო. (გვ. 103). 4 და 5 ოქტომბერს კომენდანტი იტყობინება, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი კოსტეკში არ ყოფილა, ანდრეევსკაიას სოფლიდან იგი პირდაპირ ტარკში წავიდა, ტარკიდან შამხალ მურტაზალისთან ბუინაკში, აქედან ტარკის მემატონემ ბამატოვმა და როსლანბეკმა იგი გაისტუმრეს დარუბანდში, როსლანბეკი კი დაბრუნდა უკან. როსლან ბეკის სიტყვით, ალექსანდრე აპირებდა თბილისში წასვლას, მაგრამ რუსის კომენდანტის აგენტის ცნობით, ალექსანდრეს ეშინია პირდაპირ თბილისში წავიდეს და ამიტომ რჩება დარუბანდშიო. (გვ. 109).

ამის შემდეგ 1771 წლამდე არავითარი ცალკე საბუთი ამ საქმის შესახებ არ არის კიდ-ის საქმეებში, მხოლოდ შენიშვნაა კიდ-ის, რომ 1767 წ. აპრილის 30-ს ალექსანდრეს შესახებ მიეწერა ასტრახანის გუბერნატორს და სპარსეთში მყოფ კონსულს და რომ უკანასკნელისაგან მან მიიღო ორი მოხსენება 1766 წ. დეკემბრის 5-ის თარიღით. (გვ. 15). არის აგრეთვე ცნობა, რომ 1767 წ. ერეკლე მეფეს გაუგზავნია რუსეთში წერილი ალექსანდრეს შესახებ არქიმანდრიტი პორფირის ხელით, მაგრამ თუ რა შინაარსისა იყო ეს წერილი, არა ჩანს, რადგან ამ საქმისა დარჩენილია მხოლოდ გარეკანი. (აღწ. № 140, 1767 წლ.).

1771 ნოემბრის 16-ს, სპარსეთში მყოფი კონსული ატყობინებს ასტრახანის გუბერნატორს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი შეტად ბევრ ვალს იღებს მოსკოვში მყოფ დედის ხარჯზე, ფულს სესხულობს 50%-ით, მისმა კრედიტორმა ბაღდან შაგანოვმა უკვე მიმართა კონსულს თხოვნით, მისცეს მას პასპორტი მოსკოვში წასასვლელად, რაც მან, კონსულმა, განგებ არ დააკმაყოფილა და ის მოიმიზეზა, რომ შაგანოვი ოსმალეთის ქვეშევრდომია და მე არ ვიცი, რა და რაგვარი ცნობების შეკრება უნდა მასო. მაგრამ, უმატებს კონსული, შაგანოვს იმედი აქვს ბუხარის გზით მოახერხოს მოსკოვში წასვლაო. კონსული სთხოვს გუბერნატორს, რომ მან და ორენბურგის გუბერნატორმა არც ერთი სომეხი, ოსმალეთის ქვეშევრდომი, არ შეუშვან რუსეთში, თუ მას კონსულის პასპორტი არ ექნებაო. ეს საქიროა,

¹ კოსტეკი, ტარკი, ბუინაკი—სოფლები ჩრდილო-კავკასიაში.

რომ არ გადატაკდეს ალექსანდრეს მოსკოველი ჯალაბიო. ამ ცნობაზე მინაწერია კი დი-ს: „ამის შესახებ გაცემულია რესკრიპტი თავადის სახელზე“. (გვ. 111). რა რესკრიპტია და ვინაა ეს თავადი, მინაწერიდან არა ჩანს. ასტრახანის გებერნატორად მაშინ იყო ბეკეტოვი, არა თავადი (ბუტკ. 1—524). ამის შემდეგაც საქმეებში არაფერია 1782 წლამდის.

1782 აგვისტოს 6-ს ერეკლე მეფე ატყობინებს მოზდოკის¹ კომენდანტს, რომ იგი და სოლომონ მეფე შერიგდნენ და ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც აქამდე იმერეთის მეფესთან იყო, ახლა წავიდა რუსეთისაკენ. ერეკლე სთხოვს კომენდანტს—არ მიუშვან ალექსანდრე ბატონიშვილი იქაურ (ჩრდილო-კავკასიის) მებატონეებთან, თორემ შესაძლებელია ქრისტიანობას დიდი ზარალი მოუვიდესო. (გვ. 113). ერეკლესთან შერიგებას და ალექსანდრეს რუსეთისაკენ გამგზავრებას იტყობინება მეფე სოლომონიც. (ც ვ ი ა, 1782 წ. შეკვრა 121, გვ. 3). ყიზლარის კომენდანტს ასტრახანის გუბერნატორის განკარგულების გამო გაუგზავნია ოფიცერი ბატირევი ამ საქმის გასაცნობად და თან მიუწერია მეზობელ მებატონეებისათვის, რომ ალექსანდრეს დახმარება არ გაუწიონ. ბატირევის 5 სექტემბრის მოხსენებიდან ჩანს, რომ ალექსანდრე იმერეთიდან გადმოსულა რვა კაციტ, უთხოვნია ყაზბარდოს მებატონეებისათვის დახმარება ერეკლეს ჩამოსაგდებად და მისი, ალექსანდრეს გასამეფებლად. მებატონეებს უარი უთქვამთ და ის წასულა ბრავუნში, იქაურ მებატონე კუჩუკ ბამატოვთან, სადაც ერთი დღედაღამე დაუყვია, აქედან აქსაიში, იქაურ მებატონე აჯი ალბეგოვთან, იქაც ერთი დღედაღამე დარჩენილა, იქიდან იქაური აზნაურის (უზდენ) სოკურ თახაის თანხლებით ხამთარკალინის² სოფელში, იქაურ აზნაურთან იბრაიმ ნარიმანოვთან, სადაც დარჩენილა ერთი დღედაღამე, იქიდან თვით იბრაიმის თანხლებით ტარკში, სადაც ჩამომხტარა იქაურ აზნაურთან ჯანახო ემინოვთან და სამი დღედაღამე დარჩენილა. ორჯერ უთხოვნია შამხალ მურტაზალი-სათვის შემწობა ერეკლეს წინააღმდეგ და უთქვამს, რომ მას დახმარებას დაპირდნენ იმერეთის მეფე სოლომონი, მისი, ალექსანდრეს, ხელქვეითები, რომლებიც ახლა ერეკლეს ქვეშევრდომნი არიან და რომლებსგანაც მას საიდუმლო წერილებიც აქვს, და აგრეთვე მთიელები და მათ შორის ჭარებლები, გარდა ავარიის ხანისა³. ალექსან-

¹ ასეა საბუთში, უნდა იყოს „ყიზლარის“.

² ხამთარკალინის სოფელი, საფიქრებელია, უნდა ყოფილიყო ჩრდილო-კავკასიაში.

³ ავარია—სამფლობელო დაღესტანში.

დრე დაჰპირებია მურტაზალს, როცა შამხალის ჯარი ალაზანს მიადგება, თითო კაცზე შამხალი მიიღებს 50 მან. უთქვამს, რომ მერე ერეკლე უთუოდ მას დაუთმობს თბილისს უბრძოლველად და მაშინ შამხალი თითო კაცზე კიდევ მიიღებს 50 მანეთს, მაგრამ თუ მეფე ერეკლემ თავის ნებით არ დაუთმო თბილისი, მაშინ იგი, ალექსანდრე, ქრისტიანე ტყვეებს გაათავისუფლებს გამოყიდვით, მაგრამ რა ფასში გაიყიდება ეს ტყვეები, არც ალექსანდრეს და არც მურტაზალს არაფერი გადაუწყვეტიათ. შამხალმა უპასუხა, ფეთხალი-ხანის მიწვევით იგი დღესასწაულის (ყურბანის) შემდეგ უნდა წავიდეს დარუბანდში და იქ მოელაპარაკება ფეთხალი-ხანს ალექსანდრეს შესახებაც. მანამდე მე, შამხალი, ვერაფერს გადავწყვეტო. 27 აგვისტოს, ალექსანდრე წავიდა შამხალისაგან, გაიარა ბუინაკი და ხაიდაკი¹ და ჩამოხტა დარუბანდში ტარკის აზნაურ ჯაილასთან. უნდოდა მიემართნა ამგვარივე თხოვნით ფეთხალი-ხანისათვის. ბუინაკის მებატონესა და ხაიდაკის უცმისთან აღძრა თუ არა ალექსანდრემ რაიმე თხოვნა, ბატირევეს ვერ გაუგია, ვერც ის გაუგია, რატომ იყო ალექსანდრე ბრაგუნის და აქსაის სოფლებში.

იმავე წლის ოქტომბრის 5 ყიზლარის კომენდანტი ატყობინებს ასტრახანის გუბერნატორს, რომ ბრაგუნით და აქსაით ალექსანდრე ბატონიშვილი მივიდა შამხალთან, მაგრამ რა მიზნით, ვერ გავიგეო. ალექსანდრე ახლა დარუბანდშია და სთხოვს იქაურ ხანს დახმარებას ერეკლეს წინააღმდეგ. ამის გამო დარუბანდის ხანმა მოიწვია ხაიდაკის და ბუინაკის მებატონეები, ტარკის შამხალი და დანარჩენი მებატონეები სათათბიროდ, თუ რა ზომები უნდა მიეღოთ ალექსანდრეს თხოვნის შესახებ. ხანის შეკითხვაზე ალექსანდრემ მიუგო: აქამდე ხელმწიფის კარზე ვმსახურებდი, სამსახურს დავეთხოვე ჩემი ნებით და ვცდილობ ჩამოვაგდო მეფე ერეკლე და თვითონ გავმეფდე. იმიტომ რომ მე უფრო ნამდვილი მემკვიდრე ვარ (ქართლის სამეფოსი), ვიდრე ერეკლეო. ხანის შეკითხვაზე: აქვს თუ არა მას (რუსის) ხელმწიფის დასტური, ალექსანდრე გაჯავრდა, რაზედაც ხანმა უთხრა: ხელმწიფის ნებადაურთველად ჯარის მოცემა არ შემოიძლიაო. რომ გავგო, თუ რას გადასწყვეტდნენ დარუბანდის ხანთან შეკრებილი მებატონეები, კომენდანტმა გაგზავნა თითქოს² გაქცეული ხალხის დასაბრუნებლად, ბატირევეი და ტეზიკი³ კირაკოზოვი.

¹ ხაიდაკი—კარაკატაიკის უცმის სოფელი დაღისტანში.

² ეს ცხადად ჩანს გუბერნატორის 10 ნოემბრის მოხსენებიდან (ცაგ. რუს. II, № 13), რომელზედაც ქვემოთ არის ლაპარაკი.

³ ტეზიკს უწოდებენ სპარსელ ვაჭრებს. (ბუტკ. III, გვ. 559).

პირველს დაევალა ყური ეგლო ალექსანდრეს მოქმედებისათვის და მებატონების განზრახვისათვის, ხოლო მეორეს—მიელო ზომები, რომ ალექსანდრე სპარსეთში არ გაეშვა და დაებრუნებინა იგი თავის სამშობლოში. ამის შესახებ კომენდანტმა წერილებიც კი გაუგზავნა გზაში მყოფ მებატონებს და განსაკუთრებით კი დარუბანდის ხანს. ამას კომენდანტი უმატებდა, რომ თუ ეს მოხდაო, ყოველ ღონეს ვიღონებ ალექსანდრე ჩავივლო ხელშიო. (გვ. 119).

იმავე თვის დამლევეს (31) ბატირევემა ვრცელი მოხსენება წარუდგინა კომენდანტს, სადაც ამბობს: ტარკის შამხალი და ბუინაკის მებატონე ბამატი თავიანთ საბატონოებში არ იყვნენ. ხაიდაკის უცმისთან რომ მივედით, იქ დავვიხვდნენ ტაბასარანის¹ მებატონე ყადი და ქენგუტენის მებატონის ალი სოლტანის ძმა ზაუზანი. ქენგუტენის მებატონისადმი წერილი გადაეცემა მის ძმას ზაუზანს, ყადის და უცმის—თვით მათ ჩავაბარე. (აქვე იხსენიება მაჰმად-ხანი, რომლისთვისაც წერილი უნდა გადაეცათ. მაგრამ ტექსტის შებლაღვის გამო გამოურკვეველია, ვინ არის ეს მაჰმად-ხანი და რა უყო ბატირევემა მაჰმადისადმი გაგზავნილ წერილს). ხაიდაკის და ტაბასარანის მებატონებმა წაიკითხეს ეს წერილები და დაპირდნენ, თუ გაქცეულები აღმოჩნდებიან—დავიჭერთ და გადმოგცემთო. როცა ყადი და ზაუზანი გარეთ გავიდნენ, ორივემ უცმის ვუთხარიო, ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ჯარი არ მიეცა და არც რაიმე დახმარება გაეწია ერეკლეს წინააღმდეგ, პირიქით, ალექსანდრე დაეჭირა და რუსეთისათვის გადაეცა, რისთვისაც, იმედი უნდა იქონიოს, მიიღებს ხელმწიფისაგან მოწყალებას. ამაზედ უცმიმ² უპასუხა: თქვენი მოსვლის ოთხი დღის წინ დარუბანდის და ყუბის ფეთხალი-ხანი, ალექსანდრე ბატონიშვილის თხოვნით, მიიღო რა თანხმობა ნუხის აჯი ყაზირ-ხანისაგან, ხოის³ ახმეტ-ხანისაგან, თევრიჯის ნაჯიბ ყულუ-ხანისაგან, ურუმისა იმად-ხანისაგან, თალიშის არასლან და იკარა ხანებისაგან, ტარკის შამხალისაგან და ბუინაკის მებატონე ბამატისაგან, მოვიდა დარუბანდის და უცმის სამფლობელოს შუა მდებარე მინდორზე, სადაც იყვნენ უცმის ხანი, ტაბასარანის ყადი, ქენგუტენის მებატონის ალი სოლტანის ძმა და მრავალი სხვა მთიელი მამასახლისი და საპატიო პირები. ყველამ ერთხმად შეჰფიცეს: დღესასწაული ყურბანი

¹ ტაბასარანი, ქენგუტენი—სამფლობელოები დაღისტანში.

² ეს უნდა იყოს ყარააიიტაკის უცმი ემირუმზე, რომელმაც აკადემიკოსი გმელინი დაატყვევა (ბუტტ. II. გვ. 13—16) 1774 წელს.

³ ხოი, ურუმია, თალიში—სამფლობელოები ახერბაიჯანში, თევრიჯი—თავრიზი (ბუტტ. III).



რომ გათავდებოდა, ერთი კვირის შემდეგ შეერთებულიყვნენ და გაელაშქრათ ერეკლეს წინააღმდეგ, მაგრამ თუ ამგვარად ვაღიარებთ რუსის ხელმწიფის საწინააღმდეგოდ იქმნა ცნობილი, მე, უცმი-ხანი უარს ვაცხადებ ვალაშქრებაზეო, რადგან ისედაც საქმაოდ ვარ დასჯილი¹ და არ მსურს ხელმეორედ განვიცადო ეს სასჯელიო. ბატირევემა და კირაკოზოვმა სთხოვეს — თქვენი ხელქვეითებიც შეაკავეთ, რაიმე დახმარება არ გაუწიონ ალექსანდრესო. უცმიმ აღუთქვა და თან დაუმატა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი თუ ჩავიგდებ ხელში, დავიქერ და რუსებს გადავცემო. მერე ურჩია, რაც შეიძლება მალე წადით დარუბანდში, რადგან ფეთხალი-ხანი აპირებს ყუბაში წასვლასო. ბატირევე და კირაკოზოვი დარუბანდში რომ ჩავიდნენ, ფეთხალი-ხანი არ დახვდათ, ყუბაში წასულიყო, შამხალი და ბუინაკის მებატონე ბამატი უკან დაბრუნებულიყვნენ. დარუბანდში იმათ ბინა ალექსანდრე ბატონიშვილის ბინის მეზობლად მისცეს. მეორე დღეს, როგორც ძველი ნაცნობი, ბატირევე წავიდა ალექსანდრე ბატონიშვილის სანახავად. მაშინვე ალექსანდრესთან შემოვიდა ზაუხანი, რომელიც მოსულიყო ხაიდაკიდან. ალექსანდრეს შეკითხვაზე, თუ რატომ ჩამოვიდა ბატირევე, უკანასკნელმა მიუგო: გამოქცეული ხალხის უკან დასაბრუნებლადო. კარგი იქნება შენც ისარგებლებდე ამ უქაზით და დაბრუნდებოდე უკანო, რაზედაც ზაუხანმა სთქვა: გაქცეული ხალხის შესახებ კი არ არის ჩამოსული, არამედ იმისთვის, რომ შენ არ დაგვხმაროთო, ამისი წერილიც ვნახე უცმისთანო. ამას დაუმატა: კარგი იქნება შენი საქმე ასრულდესო. ბატირევემა ურჩია: ამ ველური ხალხის დახმარების მაგიერ უკეთესი იქნება, ხელმწიფის მფარველობას მიენდო, იმისაგან დიდი მოწყალების იმედი უნდა გქონდესო, ერეკლე მეფე კიდევაც რომ გადაავდო, შენ მეფედ მაინც ვერ იქნები და მხოლოდ ქრისტიანე ხალხს ააოხრებო. იქვე მყოფმა ალექსანდრე ამილახერიშვილმა² თქვა, რუსეთში არაფრის გაკეთება შეიძლება, აქამდის პეტერბურგში ვიყავი, რაც ნივთები მქონდა და ფულად 100 თუმანი დაეხარჯე და ვალებში ჩავვარდიო. ალექსანდრე ბატონიშვილმა კი დაუმატა: ამილახერიშვილი ხუთი თვეა, რაც (რუსეთიდან) გამოიქცაო. იქვე იყო ამილახერიშვილის ძმა რევაზი, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილს გამოჰკოლოდა

¹ იფულისხმება რუსეთის ვალაშქრება უცმის წინააღმდეგ 1774/5 წელს გმე-ლინის დატყვევების გამო. (ბუტკ. II, გვ. 19).

² ეს ის ალექსანდრე ამილახერიშვილია, რომელიც იღებდა მონაწილეობა პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში და რომელსაც სასამართლოს განჩინების თანხმად მოკვდნის ცხვირი. (დავით ბატონიშვილი, ისტ. გვ. 14).



იმერეთიდან. ალექსანდრე ბატონიშვილმა უთხრა ბატირეევს, ფეთხალი-ხანთან რომ მიხვალ, უთხარი ის, რაც მე გითხარი და ჰკითხე რჩევა, როგორ მოვიქცეთო, რასაც იგი გადასწყვეტს, მომწეროს წერილით, ან საგანგებოდ კაცი გამოგზავნოსო. ბატირეევმა აჩვენა ალექსანდრე ბატონიშვილს წერილი, წარწერით გერმანულ ენაზე. ეს წერილი მისთვის მიეცა დოქტორ რეინეგს¹, მხოლოდ წერილი არ გადასცა, უთხრა: გადმოგცემ, როცა ფეთხალი-ხანიდან დავბრუნდებიო. ასე იმიტომ მოვიქცეიო, — ამბობს ბატირეევი — რომ მეშინოდა, ამ წერილმა უფრო არ წააქეზოს ალექსანდრე სპარსეთში წასასვლელადო.

ორი დღის შემდეგ ბატირეევი და კირაკოზოვი ყუბაში წავიდნენ. როცა ფეთხალი-ხანმა კომენდანტის წერილი წაიკითხა, თქვა: ვინ არის ჩემს საბატონოში რუსეთიდან გამოქცეული ხალხი, არ ვიცი, მაგრამ გავცემ განკარგულებას, ყველას შევავროვებ და გადავცემ რუსეთსო. იმ დღეს ხანი გუნებაზე არ იყო, ამიტომ ბატირეევი და კირაკოზოვი წავიდნენ. როცა მეორე დღეს მივიდნენ, იქ დახვდათ თალიშის ყარახანის შვილი მუსტაფა, ყარასლან-ხანის² ძმა აჰმეტი. ფეთხალი-ხანმა ორივე ისინი დაითხოვა, შეეკითხა ბატირეევს და კირაკოზოვს, კიდევ ხომ არაფერი გაქვთ სათქმელიო? ამაზე ბატირეევმა მოახსენა: ალექსანდრე ბატონიშვილი ენაზე და იგი გთხოვთ გადაწყვიტოთ, დაბრუნდეს იგი რუსეთში თუ არა? ამაზე ხანმა თქვა, სიმართლეს არ ამბობს ალექსანდრე, ხანმა კარგად იცის, რომ ალექსანდრეს ასე ადვილად არ შეუძლია დაბრუნდეს რუსეთშიო. ბატირეევი და კირაკოზოვი შეეკითხნენ თალიშის ხანებს: მალე გაილაშქრებთო? დადგენილი იყო გაელაშქრნათ დღესასწაულ ყურბანის შემდეგო. ამაზე იმათ უპასუხეს, რომ შეთანხმდნენ ამ ხანების ერთის შამა და მეორის ძმა, ნუხის, ხოის, თევრიჯის, კურემინის (ურემიას) ხანები, ხაიდაკის, ბუინაკის მებატონეები, ტარკის შამხალი პირველად შუშის ხანის წინააღმდეგ გაელაშქრნათ, (შემდეგ) ერეკლე მეფის, იმიტომ, რომ ზემოხსენებულმა ხანმა და ერეკლე მეფემ დაიპყრეს სპარსეთის ქალაქები განჯა და ხრდაულელი³. მეფე მართლა ფლობს ამ მხარეებს, იბრაჰიმ ხანს კი ამ მხარეების ხანები დაქვრივნილი ჰყავს, ილაშქრებენ იმიტომ, რომ

¹ დოქტორი რეინეგსი—თავადი პოტიომკინის მისიონერი ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეებთან (ბუტკ. III).

² შესაძლებელია, ყარასლან-ხანი იგივე იყოს, რაც არასლან ხანი (იხ. ზემოთ).

³ ხრდაულელის მდგომარეობა გამოურკვეველია.



ისინი გაათავისუფლონ, მხარეები დაუბრუნონ თავიანთ ხანებს და უმეტესად კი იმიტომ, რომ ერეკლე დაეტიოს თავის საქართველოში და სპარსეთში არ შედიოდესო. ამას ზედ დაერთო ალექსანდრე ბატონიშვილის მოსვლაცო. ბატირეევმა და კირაკოზოვმა მოახსენეს ფეთხალი-ხანს, რომ ერეკლე მეფეზე გალაშქრება წინააღმდეგი იქნება რუსთ ხელმწიფისაო, და სთხოვეს: ამ საქმისათვის თავი დაენებებინა და ალექსანდრე გაეგზავნა რუსეთში. ხანმა ამაზე უპასუხა, თუ ეს საქმე საწინააღმდეგო იქნება ხელმწიფისა, მისწერონ მეფე ერეკლეს, ნუ შედის სპარსეთის ქვეყნებში და ნუ ერევა სპარსეთის საქმეებშიო. ამისათვის, შარშან აზრუმის ფაშამ საჩუქრები და წერილები გამოუგზავნა სპარსელ ხანებს—ურემიანის მონღულ-ხანს, ხოისის ახმეტ-ხანს, ჩეთევრიძის (თევრიჯის) ნაჯიფ ყული-ხანს და მას, ფეთხალი-ხანს, რომ შეერთებული ძალით წავიდნენ და ააოხრონ მეფე ერეკლეო. ყველა ხანმა მიიღო საჩუქრები და ასრულება აღუთქვეს, მხოლოდ მან, ფეთხალი-ხანმა, ყველაფერზე უარი თქვა და განუცხადა, რომ ხელმწიფის ამ საწინააღმდეგო საქმეში მე მონაწილეობის მიღება არ შემიძლიანო.

როდის იქნება ეს გალაშქრება, არ ვიციო. ალექსანდრე ბატონიშვილს მაშინვე გავგზავნი, როგორც კი მივიღებ რეზოლუციას ჩემს წარდგენაზეო. ეს წარდგენა იქვე ჩადვა ქისაში, დაბეჭდა და გადასცა ბატირეევს. შემიძლია, განაგრძო ფეთხალი-ხანმა, ალექსანდრე ბატონიშვილი ახლავე გადმოგკეთ, მაგრამ იმედი არა მაქვს, რომ ბატირეევმა და კირაკოზოვმა შესძლოთ ის ხმელეთით მიიყვანოთ დანიშნულ ადგილას, რადგან გზაში ან გაგეჰცევათ, ან და, უფრო შესაძლებელია, მოგტაცონ. საუკეთესოა მისი ზღვით გაგზავნა, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ მე რაიმე უბედურება, ან უსიამოვნება შემემთხვა ალექსანდრეს მომხრეებისაგან, რუსეთმა დამიცვასო. ამას გარდა, მე ამ ლაშქრობის სამზადისში დავარიგე 20.000 მანეთი და თუ ეს ლაშქრობა აკრძალულია, ჩემი დანახარჯი უნდა ამინაზლაურდეს, რადგან დარიგებული თანხის უკან დაბრუნება ყოველად შეუძლებელიაო. ბატირეევს და კირაკოზოვს მართლაც უნახავთ, რომ ბევრი მთიელი ბრუნდებოდა დარუბანდიდან საქონლით დატვირთული ცხენებით. წამოსვლისას ხანმა წინადადება მისცა ბატირეევს და კირაკოზოვს, ურჩიონ ალექსანდრე ბატონიშვილს დაბრუნდეს რუსეთში. იმისთვის, რომ ალექსანდრეს ცუდი რამ არ შეემთხვეს, მე, უცმი, და ტარკის შამხალი უმაღლეს კარის წინაშე შუამდგომლობას აღვძრავთ მოწყალებით მიიღონ იგი. მაგრამ თუ ალექსანდრე უარზე იქნება, ხანი მისწერს დარუბანდში ნაიბს. ალექსანდრე ბატონიშვილი, ორივე



ამილახერიშვილი და ერთიც მსახური დაიჭირონ და ჩასვან დარბაზში ბანდის ნარიყალას ციხეში და იქიდან არ გამოუშვან, სანამ გამოვა რეზოლუცია ხანის წარდგინებაზე, თან გადასცა წერილები ასტრახანის გუბერნატორის და ყიზლარის კომენდანტის სახელზე.

დარუბანდში რომ დაბრუნდნენ ბატირევეი და კირაკოზოვი, ალექსანდრე ბატონიშვილმა მოისმინა ფეთხალი-ხანის რჩევა და განაცხადა, რომ რუსეთში წასვლა არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია, რადგან ჩემთან ერთი წრიდან გამოსული პირები, რომელთაც სამსახურში უმდაბლესი ხარისხი ჰქონდათ, ახლა დიდად დაწინაურებულები არიან და მე არ შემიძლია მათი ქვეითი ვიყო. ჩემის ოჯახის წინააღმდეგაც ვერ წავალ, რადგან ბევრი ვიმოგზაურე, მაგრამ ვერაფერი ვერ გავაკეთე, ალექსანდრე ამილახერიშვილიც არ ურჩევდა რუსეთში წასვლას. ბატირევემა გადასცა მას წერილი, რომელსაც ჰქონდა გერმანულ ენაზე წარწერა. ალექსანდრე ბატონიშვილმა რომ წაიკითხა, თქვა: ამასვე მწერენ ჩემი შვილები ალექსანდრე და იაგორიო. მათი წერილი ალექსანდრემ ბატირევეს გადასცა წასაკითხავად. შვილები სწერდნენ: უთუოდ დაბრუნდი რუსეთშიო და თუ არ დაბრუნდები, საქართველოს წინააღმდეგ ნურაფერს იმოქმედებ, რადგან ეს ჩვენ დაგვატყდება თავზეო. იმავე კონვერტში იყო გერმანულ ენაზე დაწერილი წერილი დოქტორ რეინეგისა. ალექსანდრე ბატონიშვილმა რომ წაიკითხა რეინეგის წერილი, თქვა, რომ რეინეგსი იწერება, რომ იგი დანიშნულია რეზიდენტად საქართველოში, ურჩევს ალექსანდრეს ჩამოვიდეს საქართველოში და იგი მოახერხებს შეარიგოს მეფე ერეკლესთან და სოლომონთან და კარგადაც მოაწყობს. ბატირევეს და კირაკოზოვის არაერთგზის რჩევის შემდეგ ალექსანდრემ თქვა: საქართველოში ვერ წავალ, რადგან იქ უკვე იციან ჩემი განზრახვა, რუსეთში კიდევ ზემოხსენებული მიზეზების გამო ვერ წავალ და რაც იქნება, იქნებაო. ალექსანდრე ამილახერიშვილიც არ ურჩევდა რუსეთში წასვლას. უკან დაბრუნებისას ბატირევემა და კირაკოზოვმა გადასცეს კომენდანტის წერილები შამხალს და ბამატს და გაუგზავნეს სანდო ყაზანიშეველ¹ კაცის ხელით იქაურ მებატონეს ყაზბულატს. უცმიმ, შამხალმა და ბამატმა განაცხადეს, რომ რადგან ალექსანდრე ბატონიშვილის საქმეზე ხელმწიფის ნება არ გამოსულა, ისინი, რასაკვირველია, უარს ეტყვიან ალექსანდრეს და ყოველ ღონეს იღონებენ არაფერი მოხდესო.

¹ ყაზანიში—სოფელი ტარკის შამხალის სამფლობელოში.



უცმომ და შამხალმა ამ შინაარსის წერილებიც მისწერეს ასტრახანის გუბერნატორს და ყიზლარის კომენდანტს. ეს წერილები დაბეჭდილი ბატირეევმა წარუდგინა კომენდანტს. შამხალმა მითხრაო, — უმატებს ბატირეევი, — გავიგონეო, რომ გილანის გელატხანს ნავი და ათი ათასის აბრეშუმი შეუსყიდია და აპირობს საქართველოზე გადმოსვლას, რაზედაც ბატირეევი შეეცოთხა: რა მიზანი აქვს გილანის ხანსაო? შამხალს უპასუხნია, რომ თუ გილანის ხანი მოინდომებს გადმოსვლას, უთუოდ რუსეთის ან მის შამხალის წინააღმდეგ გადმოვა, თორემ სხვა მიზანი არ ექნებაო. (გვ. 136, 138, 141).

ამ მოხსენების მოკლე შინაარსი, ფეთხალი-ხანის და დანარჩენი ხანების წერილები თარგმანით ასტრახანის გუბერნატორმა 10 ნოემბერს წარუდგინა კი დ-ს. თარგმნის დროს აღმოჩნდა, რომ ერთი წერილი უცმისაგან კი არ ყოფილა გამოგზავნილი, არამედ ხაზისაგან¹. ფეთხალი-ხანის წარდგენაში იგივე მოსაზრებებია მოყვანილი, რაც მას უთქვამს ბატირეევისათვის (იხ. ზემოთ), მხოლოდ შიგ უფრო გარკვეულად და ნათლად არის ხაზგასმული ის გარემოება, რომ მთიელი ხალხი ერეკლეზე გალაშქრების დროს ლამობდა თბილისის გაცარცვით ბევრი ნადავლი შეეძინათ. გუბერნატორის მოხსენება და ფეთხალი-ხანის წერილი დაბეჭდილია ცაგარლის გამოცემებში. (ტ. II №№ 13, 14)².

გუბერნატორის მოხსენებაში მხოლოდ ის არის საყურადღებო, რომ მას მიუცია ბრძანება ყიზლარის კომენდანტისათვის, სანამ კი დ-ის ბრძანება არ მოვა, ნუ ცდილობთ ალექსანდრე ბატონი-შვილი უკან დაბრუნდესო³.

¹ ცაგარლის (II საძიებელი) განმარტებით ხაზი—დალისტნელი მამასახლისია, მაგრამ საიდან ამოიღო ეს ცნობა პროფესორმა, არა ჩანს.

² ორივე საბუთი სწორადაა დაბეჭდილი, მხოლოდ გუბერნატორის მოხსენებაში ერთი შეცდომაა, რომელიც სრულიად ამახინჯებს აზრს. იქ სწერია: ფეთხალი-ხანმა, უცმომ და შამხალმა გამოგვიგზავნა მე და ყიზლარის კომენდანტს წერილები და სამ-სამი ცხენიო. მაშინ როდესაც დედანშია ნათქვამი: „მე და ყიზლარის კომენდანტს ფეთხალი-ხანმა, უცმომ და შამხალმა გამოგვიგზავნა წერილები და სამ-სამი ასლი (копии)—იგულისხმება იმ წერილებისა, რომლებიც მოხსენებულმა ხანებმა გაუგზავნეს ხელმწიფეს, ასტრახანის გუბერნატორს და კომენდანტს).

³ საფიქრებელია, ამგვარი დიამეტრალური შეცვლა რუსეთის პოლიტიკისა აიხსნება იმით, რომ მაშინ დაიწყო მეფე ერეკლესა და რუსეთის კარის მოლაპარაკება ტრაქტატის დადების შესახებ და რუსეთის სამეფო კარს უნდოდა ძნელ პირობებში ჩაეყენებინა ერეკლე, რომ ამით იგი დაეთანხმებინა რუსეთისათვის უფრო მისაღებ პირობებზე. რომ ჩვენი მოსაზრება სწორი უნდა იყოს, მტკიცდება იმით რომ ერთი წლის შემდეგ, 1783 წლ. ნოემბერში, ე. ი. ტრაქტატის შეკვრის შემდეგ, რუსეთი არა თუ არ ცდილობდა, რომ ალექსანდრე სპარსეთში წასულიყო, არამედ გამოიყიდა იგი და ამილახვარიშვილი ფეთხალი-ხანისაგან 500 ოქროს მანეთად და ოქროსავე სათუთუნეთი და გაგზავნა ალექსანდრე ბატონიშვილი სმოლენსკში, ხოლო ამილახვარიშვილი—ვიბორგში. (ბუტჯ. II, გვ. 133/4).

უკანასკნელად, 1782 წ., იმავე თვის 22-ს ასტრახანის გუბერნატორი იტყობინება, რომ კერძო აგენტის ცნობებით, ალექსანდრე ბატონიშვილი ფეთხალი-ხანს დაუჭერია, ფეხებზე ბორკილები დაუდვია და ჩაუსვამთ ნარიყალას ციხეშიო. (კიდ-ის საქმე 1762/76 წლ. № 4, გვ. 150).

ამ საქმის გარდა, მოსკოვის არქივებში შენახულა რამდენიმე ცნობა, რომლებიც ცოტად თუ ბევრად აშუქებენ ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრებას. ცვია-ში დატულია იზმაილოვის პოლკის ოფიცრების სამსახურის მსვლელობის ნუსხა (აღწ. 119, მოხსენებები ხარისხის მიცემისა და სამსახურიდან დათხოვნის 1741—1762 წლებში, გვ. 85, 171, 220, 348, 363). იქ აღნიშნულია, რომ ბატონიშვილები ლეონი და ალექსანდრე ბაქარის ძენი პოლკში ჩაირიცხნენ 1741 წ. სერჟანტებად; 1749 ისინი ინიშნებიან პრაპორშჩიკებად, თუ კი არ გაყვებიან მამას საქართველოში¹, 1750 წ. ისინი პოდპორუჩიკები არიან, 1758 წ. კაპიტან პორუჩიკები, 1761 წ. კაპიტნები. 1762 წ. კაპიტნად მხოლოდ ალექსანდრეა აღნიშნული. კიდ-ის საქმეებიდან ჩანს, რომ 1762 წ. ალექსანდრე ცხოვრობდა პეტერბურგში ინგლისის ქუჩაზე თავის სახლში. (იხ. ზემოთ კობახიძის საქმე 1762 № 6) 1760 წ. ალექსანდრეს სწერენ (კიდ-ი 1760 № 1 გვ. 101, 113, 111): საქართველოდან, როგორც მოვიხსენიეთ, ერეკლე და თეიმურაზი² ყიზლარიდან—ვინმე პაპუნა გაბაშვილი. ეს უკანასკნელი ურჩევს ალექსანდრეს დაბრუნდეს საქართველოში, რადგან თეიმურაზს და მეფე ერეკლეს დაუდგენიათ: „თუ ღვთის ნება იქნება და ალექსანდრე ხელმწიფისაგან მომართვის ხელს იშოვისო, თავის ქართლს ხელი მოჰკიდოსო და უბატონოსო, ამის წიგნიც დაუწერიათ და დაუბეჭდიათო და ეს წიგნი მე მაქვსო“. გამოურკვეველია, ვინ არის ეს პაპუნა გაბაშვილი და საიდან მოიგონა ასეთი მტკნარი სიცრუე, რომელსაც ეწინააღმდეგება თეიმურაზის და ერეკლეს მთელი პოლიტიკა.

თუ მოვისურვებთ ალექსანდრე ბატონიშვილის შესახები ცნობების შეკრებას, შესაძლებელია სხვა წყაროებიდან დაეფუძნოთ შემდეგი: ალექსანდრეს ცოლად ყავდა თ-დ მენშიკოვის ქალი (ბუტკ. I—500). 1750 წ. ალექსანდრემ აღძრა შუამდგომლობა: არ გაეშვათ საქართველოში ბაქარ მეფის შემდეგ დარჩენილი მემკვიდრეობის მეთვალყუ-

¹ ამ წელში ბაქარმა აღძრა შუამდგომლობა, მისცნენ ნება საქართველოში წასვლისა. რომ დაიჭიროს ქართლის ტახტი. ნება დართეს, მაგრამ ბაქარი მაინც იქ დარჩენილა (იხ. ქვემოთ)

² ტექსტში: Сигелов живет на Английской ул. в вдове принца Александра Грузинского.

რენი, სანამ ისინი ანგარიშს არ წარმოადგენენო (ბუტკ. III გვ. 87).
1757—58 წ.წ. ბატონიშვილი ალექსანდრე ეხმარებოდა ანტონ
კათალიკოსს რუსეთში ვლადიმირის ეპარქიის მიღებაში (დავით ბა-
ტონიშვილის და მისი ძმების სახელით ცნობილი ისტ., გამოც.
მ. ჯანაშვილისა, გვ. 9). 1763 წ. დანიშნულია საჯარო გაყიდვა ალექ-
სანდრე ბატონიშვილის და მისი დედის ქვედა ნოვგოროდში მდებარე
მამულებისა—მეფე ბაქარის 35 ათასის მანეთის ვალების გასასტუმ-
რებლად. (მოსკ. უწყ. 1763 № 32. ბუტკ. I გვ. 432). 1766 წ. ალექსან-
დრე ჩამოიყვანეს ყიზლარში, ახადეს ხარისხი და გააძევეს რუ-
სეთიდან მოუსვენარი ხასიათისა და იმპერატორ პეტრე მესამისადმი
თანაგრძნობის გამო. (ბუტკ. II, გვ. 114). 1771—78 წ.წ. იგი იყო ქია-
რიმ-ხანთან სპარსეთში, რომელსაც თხოვდა დახმარებას ერეკლეს
წინააღმდეგ. (იხ. ზემოთ დავ. ბატონ. და მისი ძმების ისტ. გვ. 26;
ბუტკ. II, გვ. 114). 1779 წ. ბესარიონ გაბაშვილმა, მეფე სოლომონ-
ის დავალებით, ჩამოიყვანა სპარსეთიდან იმერეთში ალექსანდრე
ბატონიშვილი (იხ. ზემოთ დავ. ბატონიშვილის და მისი ძმების ისტ.
გვ. 26., ბუტკ. III, გვ. 150). იმერეთში ყოფნის დროს ალექსანდრე
ბატონიშვილი მეფე სოლომონის დახმარებით, ანტონ კათალიკოსის
მიერ მხარის დაჭერით და ლეკის ჯარით იმერეთიდან არბევდა
ქართლს, რისთვისაც ერეკლემ სასტიკად დასაჯა ანტონ კათალიკო-
სი (ბუტკ. II გვ. 115). 1781 წ. გაზაფხულზე ალექსანდრე ბატონიშვი-
ლი ახალციხეს მიდის ერეკლე მეფის წინააღმდეგ შემწყობის გა-
მოსათხოვნელად, მაგრამ შემწყობას ვერ ღებულობს და იმავე წლის
აგვისტოში ბრუნდება იმერეთში. (ბუტკ. III, გვ. 157/8). 1783 ნოემ-
ბერში, როგორც უკვე მოხსენებული იყო, ალექსანდრე ბატონიშვილი
და ალექსანდრე ამილახვრიშვილი რუსეთმა გამოიყიდა ფეთხალი-
ხანისაგან და გაგზავნა ბატონიშვილი სმოლენსკში, ამილახვრიშვილი—
ვიბორგში. (იხ. ზემოთ დავ. ბატონიშვილის და მისი ძმების ისტ. გვ.
26, ბუტკ. III, გვ. 177). პირველს დაენიშნა ჯამაგირი წელიწადში
1200 მან., მიიცვალა სმოლენსკში, მეორეს დაენიშნა 300 მან. 1801 წ.
განთავისუფლებული გამოემგზავრა საქართველოსაკენ, მაგრამ ასტრა-
ხანში გარდაიცვალა. (ბუტკ. II, 133.).

ბუტკოვის ცნობა, რომ ალექსანდრე მეფე სოლომონის დახმა-
რებით და ანტონ კათალიკოსის მხრით მხარის დაჭერით არბევდა ქარ-
თლის მხარეებსაო, საეჭვოა, რადგან არსად არც ერთ იმ დროინ-
დელ წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი და ძნელი წარმო-
სადგენიცაა, რომ ანტონ კათალიკოსს, მას შემდეგ რაც მეფე ერე-
კლემ ასეთი სიყვარულით დააბრუნა რუსეთიდან და დახმარებას უწყე-

და მას (მაგ. ზაქარია გაბაშვილის საქმეში), მხარი დაეჭირა
სანდრე ბატონიშვილისათვის!



ყოველ შემთხვევაში, ჩრდილოეთ კავკასიაში 1782 წ. მგზავრობის გარდა, მხოლოდ ამგვარი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები გვაქვს ერეკლეს ამ დაუცხრომელი მტრის შესახებ, რომელიც 17 წლის განმავლობაში იბრძოდა ქართლის ტახტზე ასასვლელად და რომელმაც ყველა მეზობელი ხალხი შემოიარა ამ მიზნისათვის. ამ ნაკლის შევსება ნაწილობრივ მაინც შეიძლება პოტიომკინის ფონდის მეორე ნაწილით და იზმაილოვის პოლკის არქივით, რომლებიც ინახებიან ლენინგრადის სახელმწიფო არქივში. მოსკოვში კი პოტიომკინის ფონდიდან ნაწილია დარჩენილი, იზმაილოვის პოლკის არქივიდან შემთხვევით შენახულა მხოლოდ ზემოთმოყვანილი ცნობები.

ალექსანდრე ბატონიშვილის ამავე საქმეში (1762—76 № 4, გვ. 86-88) ჩაკერებულია სვიმონ ბატონიშვილის ქვრივის ანნას¹ თხოვნა გააგვიდან 1744 წლ. თარიღით კანცლერ ალექსანდრე პეტრეს ძისადმი². ამ თხოვნას არავითარი კავშირი აქვს ალექსანდრე ბატონიშვილთან და არც ქრონოლოგიურად ეკუთვნის ალექსანდრე ბატონიშვილის მოქმედების ხანას. ქვრივი ანნა წერს: ხელმწიფის ნებართვით ჰოლანდიაში წაველი ჩემი ავადმყოფი უმცროსი შვილის სანახავად, მაგრამ, საუბედუროდ, ცოცხალს ვერ ჩავუხწარი. ამ მგზავრობამ მეტად ბევრი ხარჯები გამოიწვია, სიღარიბეში ჩავვარდი და საშუალება არა მაქვს მე და ჩემი შვილი რუსეთში დავბრუნდეთო. გრაფი გოლოვინის³ საშუალებით მე თვითონ უქაზი მომივიდა დაბრუნებისა. ახლა გთხოვთ, ჩემს უფროსს შვილსაც მიეცეს ამგვარი ნებაო. ერთად-ერთი ეს ქალაღია საქმეში ამ საკითხის შესახებ.

ამ 1762-67 წლ. პერიოდის შესახებ ცვია-შიაც არის ორი საბუთი: ერთი შეიცავს მოხსენებას გუსართა პოლკების სერბიელების, უნგრელების, მოლდაველებისა და ქართველების ესკადრონების მდგომარეობის შესახებ. იქ ნათქვა-

¹ ვახტანგ მეფის ამალის სიებში აღნიშნულია სვიმონ ბატონიშვილის მეუღლე პაატა ამილახურის ქალი ანნა და შვილი,—1724 წლ. სიაში—ბერი, 1725 წ. იაში ნიკოლოზი. (კი დ ი 1724 წ. № 3, 1725 № 7).

² ბესტუჟევი-რუმინი (Брокс).

³ უნდა იყოს ნიკოლოზ თეოდორეს ძე, ადმირალი, (Брокс).

მია, რომ პრუსიასთან ომის დაწყებამდის შედგენილი იყო ეს ესკა-
დრონები იმ აზრით, რომ მხოლოდ ამ ერთა ხალხია გამოსადეგნი
გუსართა სამსახურისათვისო. შემდეგ შედგენილი იყო ყვითელი
(შერეული) ესკადრონი, უმეტესად ყაზახებისაგან. თუმცა ბევრი სხვა-
დასხვა კანონი იყო გამოცემული, მაგრამ ეს კანონები შეთანხმე-
ბული არ იყო და ამიტომ ბევრმა უხერხულობამ იჩინა თავი. ხა-
ზინასაც დიდი ზარალი მიეცა, უწესოება იყო ჯარისკაცების ჯანაგი-
რის გაცემაში, რამაც გამოიწვია მათი საჩივრები ოფიცრებზე. ხალ-
ხი ბევრი იყო, მაგრამ სურვილი ცოტა, აგრეთვე უწესობა იყო იმ
საქონლის ფასების აწევაში, მცხოვრებლებს რომ ერთმეოდა. ამიტომ
შემდეგი ღონისძიებაა საჭირო: დაწესდეს მხოლოდ 4 პოლკი: სერბი-
ელების, უნგრელების, მოლდაველების და ქართველების 8 ესკად-
რონით. ყვითელი პოლკი, რომელშიაც თითქმის მთელი კომპლექტია,
შეუერთდეს ქართველთა პოლკს, რომელსაც ბევრი აკლია და მის
უფროსად დაინიშნოს, თუ კი იგი ამას მოისურვებს, ქვატხინი პო-
ლკოვნიკის ხარისხით, რადგან მხოლოდ იმის მეცადინეობით არის
ყვითელი პოლკი შემდგარი, და რადგან ქართველთა პოლკში ახლა
პოლკოვნიკი არ არის. ამასთანავე თანდართულია შტატი, რომლი-
თაც გათვალისწინებულია საჭირო ხარჯები: ჯანაგირის, სურსა-
თის, ცხენებისა და ამუნციის. ეს პოლკები უნდა შეივსებოდეს
ყველა ერის მხოლოდ თავისუფალ პირებისაგან და არა ყმებისაგან.
ქართველთა პოლკი უნდა შეივსებოდეს ფინლანდიაში, ინგერმანლან-
დიაში, პეტერბურგს, მოსკოვსა და ასტრახანში. (ცვია, აღწ. 194
№ 127, აპრილი 1763 წ., გვ. 186).

მეორე საბუთი შეიცავს ალექსანდრე ბატონიშვილის
იესეს ძის თხოვნას 200 ჯარისკაცის შეგროვების შესახებ, რაზედაც
ზემოთ იყო ნათქვამი.

მოსკოვისა და კათაკობის უწყებანი

(საისტორიო მუზეუმისა და ლენინის საჯარო სამკითხველოები)

ეს გაზეთები გამოდიოდა კვირაში ორჯერ, 16—24 გვერდის რაოდენობით, განიყოფოდა ორ ნაწილად—პირველში მოქცეული იყო ცნობები, მეორეში ოფიციალური განცხადებანი, უმეტესად მამულეების საჯარო გაყიდვის შეახებ. შინაური ცნობები ცოტა იყო, ისიც ეხებოდნენ სახელმწიფო და საეკლესიო დღესასწაულებში წირვებისა და პარაკლისების გადახდას და ხელმწიფის მიერ ჯილდოების და ხარისხების ვაცემას. 1762—1767 წლ. განმავლობაში ქართველთაგან იხსენიებიან: 1762 წ. ბატონიშვილი ათანასე მოსკოვის კომენდანტი, 1764 წ.—იგივე მოსკოვის ობერ-კომენდანტი, ამილახვრები: 1763 წ.—პოლკოვნიკი, 1764 სტატსკი სოვეტნიკი, სასამართლოს მესამე დეპარტამენტის მოხელე და სხვ. უფრო მეტი ცნობებია ქართველ ეპისკოპოსებზე. შესამჩნევია ამ ეპისკოპოსების სიმრავლე. მაგ. 1766 წ. ერთ დღეს სამეფო დღესასწაულზე პარაკლისს იხდიან სხადასხვა ეკლესიებში სამი მიტროპოლიტი: ნიკოლოზი, ათანასე და ქრისტეფორე და ერთი არქიეპისკოპოზი—იოანე თავისი შესაფერი კრებულთ: არქიმანდრიტებით და დანარჩენი სასულიერო პირებით.

სამაგიეროდ, მეტად ბევრი ცნობებია უცხოეთიდან მიღებული, ალბათ იქაური კონსულებისაგან, ერეკლე მეფისა და საქართველოს შესახებ. უმთავრესად ცნობები მიღებულია სტამბოლიდან, რამდენიმე ცნობაა ინგლისიდან, ლივორნოდან (იტალიიდან) და ვენეციიდან.¹ საჭიროა, რომ ამგვარი ამონაწერები ვიქონიოთ მთელი XVIII საუკუნის რუსული გაზეთებიდან, თუმცა მასში მოყვანილი ცნობების შეუმოწმებლად მიღება შეუძლებელია, რადგან ისინი ხშირად მეტად გაზვიადებულად გვეჩვენება, საფიქრებელია აგრეთვე, რომ ზოგიერთი

¹ ენი მკი-ს ნებადართვით ყველა ეს ცნობა დაბეჭდილია სახელმწიფო მუზეუმის მიერ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში.



ცნობა, რომელიც შეეხება ერეკლეს, გულისხმობს არა ოსმალეთთან ბრძოლას, არამედ ლეკებთან და სხვა მთიელებთან, ან ამიერკავკასიის მუსულმანებთან. ეს მით უფრო საგულვებელია, რომ ქართული წყაროები ოსმალებთან ერეკლეს ბრძოლის შესახებ ამ ხანაში არაფერს გადმოგვცემენ. უფრო შესაძლებელია, როგორც ამაზე მიგვიჩივებთ ანხ. ნ. ბერძენიშვილმა, რომ ყველა ეს ცნობა გულისხმობდა სოლომონ I-ის ბრძოლას ოსმალეთთან, ხოლო ევროპაში იგი მიუკუთვნებიათ უკვე სახელგანთქმულ ერეკლესათვის. მიუხედავად ამ შენიშვნისა, ეს მასალა იმით არის საინტერესო, რომ გვაძლევს წარმოდგენას იმისას, თუ რა გამოძახილი ჰქონდა უცხოეთში საქართველოს ბრძოლას თავისუფლებისათვის.



ც ვ ი ა - ს მ ა ს ა ლ ე ბ ი


სამხედრო არქივიდან (ც ვ ი ა) ამოღებული მასალები¹ და ცნობები ეხება:

1) იმერეთის მეფეების დავით გიორგის ძის და დავით არჩილის ძის (სოლომონ II-ის) ერთმანეთში ბრძოლას; 2) საქართველოს მეფეებისა და მთავრების ურთიერთობას; 3) საქართველოს ურთიერთობას მეზობელ ხალხებთან; 4) საქართველოს ურთიერთობას რუსეთთან. ყველა ამ ცნობას, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ეპიზოდური ხასიათი აქვს, და შიგადაშიგ მეტად ბევრი ხარვეზია.

1. იმერეთის მეფეები დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე, იგივე სოლომონ II.

1784 წ. 23 აპრილს უეცრად გარდაიცვალა უშვილოდ მეფე სოლომონ I. მემკვიდრედ მას ჰყოლია აყვანილი ერეკლე მეფის შვილიშვილი დავით არჩილის ძე, სოლომონის ძმისწული, მაგრამ თავადებსა და სამღვდელოებს მეფედ აურჩევიათ არა დავით არჩილის ძე, არამედ დავით გიორგის ძე, სოლომონის ბიძაშვილი¹, ხოლო მისთვის პირობა ანუ აღთქმა (როგორც იგი იწოდება 21 ივნისის საბუთში) ჩამოურთმევიათ ფიცს ქვეშ, დაუბეჭდიათ იგი პირობა და დაუდვიათ გელათის მონასტერში ხახულის ღვთისმშობლის ხატის წინაშე. პირობა არ შენახულა და ამიტომ მისი შინაარსი არ ვიცით.

¹ ამ ორი მეფის (დავით გიორგის ძის და დავით არჩილის ძის) გენეალოგია შემდეგია:





ზურაბ წერეთლის სიტყვით, რომელიც მოთავსებულია მის მიერ იმერეთის მთავრობისადმი 1785 წლის 8 ივლისს მირთმეულ მოხსენებაში, თავადები, და განსაკუთრებით პაპუნა წერეთელი, წინააღმდეგნი გამხდარან დავით გიორგის ძე გამეფებულყო, სანამ მან არ შეჰფიცა, რომ იგი ერთგული იქნებოდა რუსეთისაო.

რამდენად მართალია ზურაბ წერეთლის სიტყვები, გამოურკვეველია.

ამ გამეფების და მასზედ მოყოლებული ამბების შესახებ შემდეგი საბუთები და ცნობებია დარჩენილი ცვი ა-ში:

7 მაისს ერეკლე მეფე სწერს ბურნაშევს¹. სოლომონ I გარდაიცვალა, იმერეთის მეფის მემკვიდრედ სოლომონის მიერ აყვანილი იყო ჩემი შვილიშვილი დავით არჩილის ძე, მაგრამ ახლა მეფედ აურჩევიათ დავით გიორგის ძე, სოლომონის ბიძაშვილი. პროტესტი არ განვაცხადე, რადგან დავით არჩილის ძე მცირეწლოვანია, სამეფოს გაძლოლა არ შეუძლიანო. (ცვი ა, 1784 წ. მაისი. აღწ. 194. შეკვრა 111 გვ. 327).

8 მაისს ერეკლე მეფე ამასვე სწერს პ. პოტიომკინს² და უმატებს: პროტესტი არ განვაცხადე იმ მოსზრებითაც, რომ ოსმალეთი არ ჩარეულიყო იმერეთის საქმეებში და ამას არ გამოეწვია არეულობა და რუსეთის უკმაყოფილებაო, შემდეგ კი, როცა დავით არჩილის ძე სრულწლოვანი გახდება, ისე მოვიქცევი, როგორც რუსეთის მთავრობა გადაწყვეტსო. (იქვე, გვ. 323).

12 მაისს ერეკლე მეფე ხელმეორედ სწერს ბურნაშევს: დავით გიორგის ძემ თავის მხრითაც უნდა შეასრულოს მისი, ერეკლეს, მოთხოვნილებანი, დაუბრუნოს დავით არჩილის ძეს მისი მამულები (ეტყობა, დავით გიორგის ძეს წაურთმევია დავით არჩილის ძისათვის მამულები), მისცეს მას ყველა ის მამული, რომელიც ჰქონდა მამუკა ბატონიშვილს, იყოლიოს იგი თავის მემკვიდრედ და გადასცეს მას სამი ციხე ყოველგვარი მოწყობილობით და მამულებითო. თუ ასე იქნებაო, უმატებს ერეკლე მეფე, მე არა თუ არავითარი საწინააღმდეგო არ შექნება, პირიქით, ვეცდები კიდევ შეემატოო. (იქვე, 1784, შეკვრა 111 გვ. 379).

¹ ბურნაშევი სტეფანე, თქვი პოტიომკინის კომისიონერი ერეკლე მეფესა და იმერეთის მეფეებთან 1788 წ. აპრილიდან. (ბუტკოვი, II, გვ. 122).

² პოტიომკინი პავლე—1784 წ. თებერვლიდან სარატოვის და კავკასიის მხარეთა გენერალ-გუბერნატორი. (ბუტკ. II, გვ. 165).



24 მაისს ერეკლე მეფე სწერს ტომარას¹: იმერეთში მშვიდობა და ბიანობა ჩამოვარდა, მაგრამ საბოლოოდ დასამშვიდებლად მეგობრულად გზავნე მიტროპოლიტი მაქსიმეო. (იქვე, იენისი, გვ. 396).

როგორც ქვემოთ საბუთებიდან დავინახავთ, და როგორც ბუტკოვის ცნობიდანაც ჩანს (II ტ. გვ. 137), მაქსიმე მიტროპოლიტთან² ერთად იმერეთში გამგზავრებულია ბურნაშევიც.

მაისის 28-ს მეფე დავით გიორგის ძე (ცვია, 1784 წ. შეკვრა 111 გვ. 463) ერთი მხრით, მეორე მხრით თავადები და სამღვდელთა (ბეჭდებს აკრავენ: გენათელი მიტროპოლიტი ევთიმე, ქსნის ერისთავი ელიზბარი, მათი სიმაღლის სრულიად იმერეთის მეფის დავითის სარდალი ბოქალთუხუცესი მოურავი წულუკიძე ბერი, მათის უგანათლებულესობის სპასპეტი ერთგული წერეთელი პაპუნა) ატყობინებენ ბურნაშევს, რომ 23 აპრილს სოლომონ I გარდაიცვალა და მეფედ არჩეულ იქნა დავით გიორგის ძე, რომლისთვისაც ითხოვენ რუსეთის მფარველობას და დახმარებას. (იქვე, აღწ. 194 შეკვრა 111, 1784 წ. აგვისტო).

იენისის 21 იმერეთის მეფე დავით გიორგის ძე და თავადები აძლევენ ერთმანეთს, მაქსიმე კათალიკოსის და ბურნაშევის თავდებობით, საფიცრის სიგელებს. დავით მეფე პირობას აძლევს თავადებს (ტექსტში ჩამოთვლილია: „სარდალ-მოურავი და ბოქალთუხუცესი წულუკიძე ბერი, მეფის სიძე სარდალი, მოლარეთუხუცესი წერეთელი პაპუნა, სარდალი წულუკიძე გიორგი, სარდალი ქეშიკუხუცესი აგიაშვილი ქაიხოსრო, სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, მდივანბეგი კნიაზი დავით³ და სხვა ჩვენი მოხელენი და მოურავნი“), რომ იგი უცვლელად დაიცავს მისი ამორჩევის და გამეფების დროს ფიცით მიცემულ აღთქმას (რომელიც დაბეჭდილი ყოფილა და შემ-

¹ ტომარა (იგივე ტამარა) ვასილი. 1783 წ. ჩამოიტანა იმავე წელში დაღებული ტრაქტატის პროექტი, 1784 წ.—ჩამოუტანა ერეკლე მეფეს ეკატერინე II-ის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები. (ბუტკ. II. გვ. 121, 132).

² ამ ცნობაში ბუტკოვი მაქსიმეს იხსენიებს იმერეთის კათალიკოსად. ამგვარათვე იწოდება მაქსიმე ასტრახანის გუბერნატორის იაკობის 1779 წლ. ოფიციალურ ქაღალდში. (ბუტკ. III, გვ. 148). ჩვენ დავტოვეთ ერეკლე მეფის მიერ ნაზმარი ხარისხი მაქსიმეს „მიტროპოლიტი“, რადგან იგი იმ დროს ცხოვრობდა თბილისში „განმარტოებული“ (в уединении ბუტკ. II, გვ. 137). საფიქრებელია, ეს „მარტოობა“ გამოწვეული ყოფილიყო მაქსიმესა და სოლომონ I-ს შორის რაიმე უთანხმოებით, ამიტომ იგი უკვე იმერეთის კათალიკოსად არ ითვლებოდა, თორემ გაუგებარი იქნებოდა, რატომ უწოდებდა ერეკლე მეფე მას მიტროპოლიტს.

³ მდივანბეგი დავით კვინიხიძე (ვაგ. რუს. № 31).

დღე დადებული გელათში ხახულის ღვთისმშობლის ხატის წინაშე¹ /
თუ ისინი (თავადები) მისი მეფობის მდომელნი იქნებიან, მისი საქმი
მის და სიტყვის რიგიანობის მიმღებელნი და აღმსრულებელნი, მისი
მეფობის გაძლიერების და სარგებლობის გამგებელნი და წარმმართვე-
ბელნი და სხვა საკეთილო და ქვეყნის შესამატებელ საქმეში მიჰყვე-
ბიან, სიმტკიცე ექნეს გელათში დადებულ პირობას და როგორი-
თაც პატივით, სახელოებით ან კაისყმობით, ან სითამამით, ან სიმდი-
დრით, ან კადნიერებით მეფე სოლომონთან იყავით და ყოფილხართ,
აგრეთვე მსგავსად მოუშლელის პირობით იმყოფებოდეთ და მისგან
არაფერი მოგეშალოსთო, თქვენს შემატებას და სიკეთეს ვეცადოთ და
არც ხერხით, არც მტრობით ურიგო და უსამართლო საქმე თქვენზე
არ განვიზრახოთ და არც გიმტყუნოთ ამიერთაგანო. (იქვე, 1784 წ.
აგვისტო, შეკვრა 111, გვ. 468).

მეორე მხრით, თავადები (მოხსენებულნი არიან თვით ტექსტში:
სარდალი მოურავი ბოქაულთუხუცესი წულუკიძე ბერი, სიძე მეფისა
სარდალი პაპუნა, სარდალი წულუკიძე გიორგი, სახლთუხუცესი წე-
რეთელი ზურაბ, მდივანბეგი კნიაზი დავითი და ყოველნი მოურავნი
და განმგენი) უცხადებენ მეფეს თავის ერთგულებას, თუ უკანასკნელი
სამართლიანი იქნება, მეფე სოლომონივით მოწყალებას არ მოაკლებს,
ქვეყნის სამჯობინაროს საქმისათვის სიტყვას მოუსმენს და მათ რიგს
არ მოაკლებს, სახელოების და ოჯახის დამდაბლებას არ განიზრახავს,
მათ ებრძანოს, რასაც მეფე ნაკლუვანებასა და ურიგოს დაინახავს და
ქვეყნის ყოვლისა შენებისა, შემატებისა და დაკლების საქმეს უიმა-
თოდ არ აღასრულებდეს. (იქვე, გვ. 469).

ამის შემდეგ მეფე დავით გიორგის ძე სწერს ეკატერინე II-ეს,
რომ სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტზე ავედი
და ვთხოვ მიმიღოთ მფარველობაში, როგორც მიღებულია ერეკლე
მეფეო. ვგზავნი დესპანებს მაქსიმე კათალიკოსს, სიძეს ზურაბ წე-
რეთელს და მდივანბეგს დავითსო. (იქვე, ქართ. წერ. 1788—91 წ.წ.
გვ. 20).

ამავე ხანში უნდა იყოს დაწერილი იმერეთის თავადებისა და
სამღვდელოების წერალი პავლე პოტიომკინისადმი, სადაც ისინი
ატყობინებენ დავით გიორგის ძის გამეფებას და სთხოვენ მფარვე-
ლობას და დახმარებას. ხელს აწერენ: ქუთაისის მიტროპოლიტი

¹ ეკლესია-მონასტრებში ამგვარი აქტების დადება ძველ დროში საყოველთა-
ოდ ყოფილა გავრცელებული. როგორც ცნობილია, ინგლისის ერთ-ერთი ძირითადი
კანონის, იოანე უმიწაწყლასა და ინგლისის დიდებულთა შორის დადებული პირო-
ბის Magna charta libertatum-ის დედანი აღმოჩენილ იქნა ლინკოლნის დიდ ეკ-
ლესიაში.

დოსითეოსი, გენათელი ეფთვიმე, არქიეპისკოპოსი იოანე, ქსნის ერის-
თავი ელიზბარი, წულუკიძე ბერი, სარდალი წერეთელი პაპუნა,
წულუკიძე გიორგი, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, ავაშვილი
სარდალი ქაიხოსრო, მაჩაბელი ზურაბ, მდივანბეგი თ-დი დავითი,
მდივანი—საიდუმლო მრჩეველი გაბაშვილი ბესარიონ. (იქვე, აღწ. 194
1784 წ. მაისი, შეკვრა 111 გვ. 313)¹.

იმავე წლის 15 სექტემბრის თარიღით დაწერილია ბატონიშვი-
ლის დავით არჩილის ძის, თავადებისა და სამღვდელოების წერილი
ეკატერინესადმი (ხელს აწერენ: „მე ყოვლის საიმერეთოს უფლის-
წული დავითი“; ბეჭდებს უსვამენ: დავითი, იმერეთის ბატონიშვილის
არჩილის შვილი ალექსანდრე, კათალიკოსი მაქსიმე, ქუთაისის მიტ-
როპოლიტი დოსითეოსი, გელათის მიტროპოლიტი ეფთვიმე, ხონის
არქიეპისკოპოსი ანტონი, თავადი გრიგოლ წულუკიძე, ქსნის ერის-
თავი ელიზბარი, წერეთელი პაპუნა, წულუკიძე ბერი) იმავე შინაარ-
სისა. აქაც ატყობინებენ დავით გიორგის ძის გამეფებას და ითხო-
ვენ მფარველობას და დახმარებას, გზავნიან დესპანებს: მაქსიმე კა-
თალიკოსს, ზურაბ წერეთელს და მდივანბეგ დავითს. ამ წერილის
დედანი ცვია-ში არ არის. იგი დაბეჭდილია ცაგარლ. Грамоты-ში
(ქართული № 171, რუსული № 27). ცაგარელს იგი აღნიშნული აქვს
ორივე ტექსტში, როგორც იმერეთის მეფის დავითის, თავადების და
სამღვდელოების წერილი და დათარიღებულია მის მიერ ქართული
ტექსტი 15 სექტემბრით, ხოლო რუსული თარგმანი—აპრილით
(ურიცხვოდ). ამგვარად აღნიშვნა ამ საბუთისა მიუღებელია: დავით
მეფეს თავისი ცალკე წერილი დაუმზადებია ეკატერინე II-სადმი და

¹ ეს წერილები დათარიღებულია: დავით მეფის ეკატერინესადმი: ცვია-ში
1784 წლ. 26 აპრილით, ცაგარლის Грамоты-ში ქართული (№ 170) მაისით
(ურიცხვოდ) და რუსული (№ 26) აპრილით (ურიცხვოდ). თავადების წერილი
პ. პოტიომკინისადმი ცვია-ში 1 მაისით, ცაგარლის Грамоты-ში ეს წერილი არ
არის. ამ თარიღების მიღება შეუძლებელია: 1) საბოლოო დამყარება მშვიდობი-
ანობისა დავით გიორგის ძესა და დავით არჩილის ძეს შორის, როგორც ქვემოთ
დავინახავთ, მოხდა 21 ივნისის შემდეგ (როცა დავით გიორგის ძე და თავადები
ერთმანეთს პირობით შეეკრნენ) 15 სექტემბრამდე,—მანამდე კი ამგვარი წე-
რილების გაგზავნა, როგორც ზემოხსენებული ორი წერილია, უხერხული იქნებოდა.
მით უმეტეს, რომ ამ მოლაპარაკებასა და შეთანხმებაში ჩარეული იყო რუსეთის
წარმომადგენელი ბურნაშევი; 2) იმ ხანებში მაქსიმე მიტროპოლიტი თბილისში
ცხოვრობდა და მაისის დამლევამდე იმერეთს ვერ ჩავიდოდა, მისი კათალიკოსად
ხელახლავ მიღება და დესპანების არჩევაც ვერ მოხდებოდა. შესაძლებელია მხო-
ლოდ დავეუშვათ, რომ თუმცა წერილები დაწერილი იყო 21 ივნისის შემდეგ 15
სექტემბრამდე, მაგრამ თარიღი დაუსვეს აპრილისა და მაისის, როგორც დავით
გიორგის ძის გამეფების ახლო თვეებისა.



კიდევაც გაუგზავნია (იხ. ხემოთ), ამიტომ იმის ხელის მოწერა ბატონიშვილ დავით არჩილის ძესთან, თავადებთან და სამღვდელთაგანთან უხერხული თუ არა, ზედმეტი მაინც იქნებოდა. შემდეგ, საბუთს პირველად ხელს აწერს ბატონიშვილი დავით არჩილის ძე (რუსულ თარგმანში იგი სრულიად გამოტოვებულია) და მხოლოდ შემდეგ თითქოს ბეჭედს ასვამს დავით მეფე. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მეფის ხელის მოწერა, ან მისი ბეჭდის დასმა ყოველთვის წინ უძღოდა სხვების ხელის მოწერას, ან ბეჭდის დასმას. განსვენებულ პროფესორს ტექსტი პირდაპირ კი არ აქვს გადმოღებული, არამედ თავის განმარტებით. ასე, მაგ. ალექსანდრე ბატონიშვილის ბეჭედზე ნათქვამი აქვს: „იმერეთის ბატონიშვილის არჩილის შვილი ალექსანდრე“, მაშინ როდესაც შთამომავლობის ასეთი დიდი წარწერა ბეჭედზე მიღებული არ იყო. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ჩვენთვის საინტერესო ბეჭედზე წარწერა იყო „დავითი“ რაიმე სხვა დამატებით და იგი ეკუთვნოდა დავით არჩილის ძეს ბატონიშვილს, და არა დავით მეფეს.

ყველა ზემოხსენებულის თანახმად, ამ საბუთის ავტორად უნდა მიჩნეულ იქნენ ბატონიშვილი დავით არჩილის ძე, თავადები და სამღვდელოება. და ეს გასაგებიცაა, რადგან რუსეთის მფარველობისათვის გასაგზავნად უფრო მიზანშეწონილი იყო, რომ დავით ბატონიშვილს, თავადებს და სამღვდელოებას ცალკე გაეგზავნათ წერილი და ამით ეცნობებინათ, რომ ისინი სრულიად თანახმანი და კმაყოფილნი არიან დავით გიორგის ძის გამეფებით.

რაც შეეხება თარიღს, იგი უთუოდ 15 სექტემბრისა უნდა იყოს და არა აპრილის, როგორც ცაგარელს აქვს ნაჩვენები რუსულ თარგმანში. ამას ადასტურებენ: 1) კაცია დადიანის წერილი 2 სექტემბრის თარიღით, რომელიც გაგზავნილია ეკატერინესადმი მაქსიმე კათალიკოსის ხელით (იქვე, გვ. 25) და 2) ის გარემოება, რომ იმერეთის მეფის დესპანები ჩასულან პეტერბურგში დეკემბრის ოციან რიცხვებში (იხ. ცაგ. რუს. №№ 30, 31), რაც სრულიად ეთანხმება მგზავრობის საკირო დროს იმერეთიდან პეტერბურგამდე.

ამგვარად, იმერეთის საქმეების ამ ხანის მიმდინარეობა ასე გვეხატება:

23 აპრილს უეცრად გარდაიცვალა სოლომონ I. მის მაგიერ არჩეულ იქნა დავით გიორგის ძე, რომელსაც თავადებმა პირობა ჩამოართვეს ფიცის ქვეშ. შემდეგ ეს პირობა დაბეჭდეს და დადვეს გელათის მონასტერში. ეს ამბავი რომ შეიტყო ერეკლე მეფემ, 7—12 მაისს წერილები დაუგზავნა ბურნაშევს და პავლე პოტიომკინს, სა-

დაც ატყობინებდა იმ პირობებს, რომლებზედაც ის თანახმაა დავით გიორგის ძის გამეფებაზე დავით არჩილის ძის, სოლომონ I-ის შემდეგ მემკვიდრედ აყვანილის მაგიერ. საბოლოოდ საქმის მოსაგვარებლად მან გაგზავნა იმერეთში მიტროპოლიტი მაქსიმე. მაქსიმესთან ერთად იმერეთში წავიდა ბურნაშევი. 28 მაისს დავით მეფე, სამღვდელოება და თავადები ოფიციალურად ატყობინებენ ბურნაშევს დავით გიორგის ძის არჩევას და სთხოვენ დახმარებას.

ჩასვლისთანავე მიტროპოლიტ მაქსიმეს ხელახლა დაუბრუნდა ხარისხი იმერეთის და აფხაზეთის კათალიკოსისა. 21 ივნისს დავით მეფე და თავადები, მაქსიმე კათალიკოსისა და ბურნაშევის მონაწილეობით, საფიცრის წიგნებს აძლევენ ერთმანეთს. 15 სექტემბერს, ან მანამდე, დავით გიორგის ძის გამეფების შესახებ თავადები და სამღვდელოება პავლე პოტიომკინს სწერენ, 15 სექტემბერს ამგვარსავე წერილებს სწერენ ეკატერინე II-ს ერთი მხრით დავით მეფე, მეორე მხრით — დავით ბატონიშვილი (არჩილის ძე), სამღვდელოება და თავადები. ამნაირად ირკვევა, რომ მოლაპარაკება დავით გიორგის ძესა და დავით არჩილის ძეს შორის გაგრძელებულა თითქმის ოთხი თვე. ეკატერინესადმი მიწერილ წერილებში დავით მეფე, დავით ბატონიშვილი, სამღვდელოება და თავადები დესპანებად ასახელებენ მაქსიმე კათალიკოსს, ზურაბ წერეთელს და მდივანბევს დავით კვინიხიძეს.

პირობა მალე დაშალეს და მშვიდობიანობა დაირღვა.

1785 წლის 25 აპრილს მეფე ერეკლე სწერს უცნობ პირს (საფიქრებელია, პ. პოტიომკინს): იმერეთში დიდი არეულობაა მეფესა და თავადებს შორის, გლეხებიც ლელავენ, გადასახადებს არ იხდიან, მივეცი წინადადება ორივე მხარეს, საზღვარზე მოვიდნენ სურამში, შესაძლებელია, რაიმე ვიღონოთ მათ შესარიგებლად. (ცვია, შეკვრა 121, 1785 წ. გვ. 16).

1785 წ. 14 მაისს ბურნაშევს სწერენ (იქვე, აღწ. 194, შეკვრა 113):

1. ბატონიშვილი დავით არჩილის ძე: მეფე დავით გიორგის ძემ მეფე სოლომონის ქვრივი და შვილიშვილი დაიჭირა, მე მამულებიდან გამომაგდო და წამართვა, ვცხოვრობ წერეთელთან, სოლომონ I-ის მოკეთენი გაგდებული არიან. დადიანის ჯარი ქვეყანას აოხრებს.

2. გიორგი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი: რადგან თქვენ ხელმწიფისაგან დადგენილი ხართ და თავდებობაც მიიღეთ, გთხოვთ გავგვსაჯოთ. ჩვენი გაჭრობა უნდა მეფე დავითს.

3. მეფე დავითი: რასაც მე გწერ, თავადებიც ადასტურებენ თავაზნი თქვენის თანდასწრებით პირობა შევკარით, მის მერმე ვინ არ დამისჯია, მამული არ წამირთმევია. ეფრემი აქ რომ იყო, ნახა, როგორ შეურაცხყოფას მაყენებდნენ. ისეთ სიღარიბეში ჩავარდი, რომ არც ღომი შქონდა და არც ღვინო. როცა მე უარი ვთქვი, რომ აღმასხან ბატონიშვილს ან დავით ბატონიშვილს ცოლად შეერთო წულუკიძის ქალი, მე ვიცოდი, რომ თუ ასე მოხდებოდა, იგი უთუოდ ამბოხებას მოაწყობდა. მაგრამ მერე დავთანხმდი მეფე ერეკლეს, კათალიკოსისა და თქვენი სურვილისამებრ¹. წულუკიძეს და წერეთელს უნდათ დაანგრიონ ჩვენი სამეფო, წავგართვეს ჩვენი ძმა დავითი (არჩილისძე) და ცხადად არღვევენ პირობას. ჩვენ აქამდე ვითმინეთ, ვთქვრობდით, თქვენი დარიგებით ხელახლავ შევრიგდებოდით. ყოველ შემთხვევაში, არავის არ მივცემ ნებას, სამეფო წამართვან, ან ძმას წამკიდონ, იგი ჩემი მემკვიდრეა. და ვინც იმას მართმევს, უნდა სამეფო დააქციოს. წულუკიძემ შოინდომა რაქაში აზნაურები და გლეხები თავის ქვეშევრდომებად გაეხადნა, დაეფიცებინა, რომ ჩვენი არ ისმინონ, მაგრამ იმათ ეს არ მიიღეს, ჩვენ შეგვატყობინეს. მაშინ ჩვენ ისინი, ე. ი. აზნაურები და გლეხები დავაფიცეთ ჩვენს ერთგულებაზე. როტმისტრი ეფრემი იქ იყო, შეგიძლიათ კითხვით, რაქაში წულუკიძემ ღალატით დაიკავა ჩვენი ციხე: ჩიდრუეთი², შევუთვალე ციხე დაებრუნებინა, მან ჩვენი კაცები გამოორეკა, „ციხე ჩემიაო, მოდი წაილეო“, გზები ყველა შეკრულია, თითქმის მთელი სამეფო უჭირავთ, რამდენჯერმე გავგზავნე კაცები, წინადადება მივეცი, არეულობა მიატოვონ, შევრიგდეთ, მაგრამ არ მიიღეს. ბევრ თავადს და აზნაურს შეპირდნენ სოფლებს და საჩუქრებს. ახლა ჩვენ ძმასთან (დავით არჩილის ძესთან) მივიდნენ. ოთხი ტყვე ახალციხეში გავგზავნეს, ითხოვენ ოსმალეთის და ლეკების ჯარს. ამას ჩვენ ვერ მოვიტმინეთ, ზომებს მივიღებთ. გიგზავნით თქვენ და მეფე ერეკლეს აზნ. ბუჭუა მასხარაშვილს, რომ მეორე მხარემ ტყუილით არ შეგაცდინოსთ.

4. მეფე დავით II წერილში ატყობინებს ბურნაშევს. წერეთელმა და წულუკიძემ დაიკავეს ორი ჩვენი ციხეო. უგზავნის იმერეთის თავადების წერილს წერეთლისადმი. (იხ. ქვემოთ).

¹ ეტყობა, ეს განზრახვა არ შესრულდებულა. წულუკიძის ქალი ერეკლე მეფის არც ერთ შთამომავალს არ ჰყოლია ცოლად. იოანე გიორგის ძეს ჰყავდა ცოლად ზურაბ წერეთლის ქალი ქეთევანი. 1785 წ. იოანე 15 წლისა იყო.

² აზნ. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ციხე „ჭიდროთა“.



იმავე რიცხვებში იმერეთის თავადები და სამღვდლოება (იქვე) სწერენ: 1) მეფე ერეკლეს—მეფე დავითმა დადიანთან კავშირი შეკრა, ეს კავშირი ბურნაშევმა დაბეჭდა, ამის შემდეგ მეფე წულუკიძეს და სხვა თავადებს მოწყალებას არ აკლებდა, მაგრამ სატანას ხასიათი ქრისტიანებში ყოველთვის არეულობას ახდენს. გასამართლებელი წულუკიძეს და წერეთელს არაფერი აქვთ. ასე რომ, მეფემ რომ ბრძანოს მათი ამოწყვეტა, სიმართლე აქვს. საყვარელი ძმა წაართვა, რა უქნეს არ ვიცით. იმათ ურჩიეს ბატონიშვილს დავითს პასუხი მოეცა ჩვენ წერილზე¹; 2) წულუკიძეს და წერეთელს:—დაემორჩილეთ მეფეს, ნუ ღუპავთ ქვეყანას, შენ (წერეთლის) ოჯახს, შენ აღრინდელ ნამოქმედარს, მეფე სოლომონის ქრისტიანული სისხლით მოპოებულს იმერეთს ნუ ანგრევ, დარწმუნებული ვართ, თუ შენ, წერეთელო, მოისურვებ, წულუკიძეც დაგეთანხმება და ყველაფერი ისე გაკეთდება, რასაც მეფე და ჩვენ ნოვითხოვთ. ამას გარდა, ცუდი არ იქნება, თუ წულუკიძე თავს გაიმართლებს და მისი ძმის მიერ დაკავებულ ციხეებს დააბრუნებს, ღმერთია მოწმე, თუ წულუკიძე ასე მოიქცა, არავითარი საშიშროება მას არ მოეწივს და თუ ორი ციხისათვის ჩვენ და იმერეთს არ შეიბრალებს, ჩვენ სიყვარულს და მეგობრობას დაივიწყებ, ჩვენ მეფის ერთგულობისათვის მის ბრძანებას ავასრულებთ და ჩვენგან არაფითარ კეთილ მოქმედებას ადგილი არ ექნება. ჩვენ ვიცით, რომ თუ რომ მოისურვებ, ყველაფერის გაკეთება შეგიძლია. მეტს აღარ გწერთ. ქრისტიანების სისხლს ნუ ანთხევთ, რადგან პასუხს ღვთის წინაშე აგებთ.

იმავე რიცხვებში ბატონიშვილი დავით არჩილის ძე სწერს იმერეთის თავადებს: მოახსენეთ ჩემ ძმას, რომ, როცა სოლომონ მეფემ საქართველოდან დამიბარა, მან დავით გიორგის ძეს მისცა მისი წილი და უთხრა, რომ ამის მეტი იმერეთში შენ მონაწილეობა არა გაქვსო. მე მის შვილად და მემკვიდრედ ვიყავი აყვანილი. მაგრამ, სამწუხაროდ, სოლომონ უცბად გარდაიცვალა და ჩემის მცირეწლოვანობის გამო მეფედ დავით გიორგის ძე ამოირჩიეს, მხოლოდ პირობა დადვა ფიცის ქვეშ, რომ მე იმერეთში მონაწილეობა მექნებოდა. მხოლოდ ამას ვთხოვლობ ახლა და აგრეთვე იმას, რომ იმერეთის დიდებულები საშიშროების გარეშე იყვნენ, როგორც წინათ. გარდა ამისა, მე წინააღმდეგი ვარ იმერეთის და რაჭის მამულების გაცემისა, რადგან ეს ჩვენი ოჯახისათვის საზიანოა. დარჩა კიდევ სოლომონის ქვრივი და ობოლი, რომელიც თქვენ უნდა შეინახოთ.

¹ თავადების წერილი დავით არჩილის ძისადმი საბუთებში არა ჩანს. დავით არჩილის ძის პასუხი იხ. ქვემოთ.



1785 წ., 23/V ბურნაშევმა მოხსენებული წერილები 14-¹⁵ კვანძების სისა გაუგზავნა პ. პოტიომკინს (იქვე) და თან დაუმატა, რომ წერეთლის და წულუკიძის გამოგზავნილმა კაცმა სიტყვიერად გადმომცა იმათი ნათქვამი: თუ იმათს სიცოცხლეს საშიშროება მიადგება რამე, ისინი ოსმალებს მიმართავენო. მართლაც, განმარტავს ბურნაშევი, სულეიმან ფაშამ ტყვეები და საჩუქრები რომ მიიღო, სურამში როგორც შევიტყვე, ის ტყვეები იყვნენ განჯელი ებრაელები, ბერი წულუკიძისაგან გაგზავნილი. დავით არჩილის ძეს მიეწერეო, — ატყობინებდა ბურნაშევი, — რომ უმჯობესია იგი აქ მის პაპასთან ჩამოვიდეს; წულუკიძისა და წერეთლის კაცს ვუბრძანე მათთვის გადაეცა, რომ ოსმალეთთან საქმის დაჭერა მთლად დალუბავს იმათ. მის უმაღლესობას მეფე დავით გიორგის ძეს კი ვთხოვე, შეაჩეროს თავის სამართლიანი რისხვა მისი დესპანების პეტერბურგიდან დაბრუნებამდე. ყველაფერი ეს მის უმაღლესობას მეფე ერეკლეს მოგახსენე და იმან ინება კურიერის გაგზავნა მის სიძე ციციშვილთან, რომელიც იმერეთისკენ მიდიოდა, რომ წინადადება მისცეს ორივე მხარეს, დადიანს და ყველა დანარჩენ მონაწილეს, ამ მოკლე ხანში შეიკრიბონ სურამში შეთანხმების მოსაგვარებლად და თვით მისი უმაღლესობაც, ე. ი. ერეკლე მეფეც, აპირებს მაშინ იქით წასვლასო.

19 აგვისტოს ბურნაშევი, სხვათა შორის, ატყობინებს პ. პოტიომკინს — იმერეთში შეთანხმება მოხდა მის მიერ გაგზავნილ პორუჩიკი კრასინსკის გავლენით, თუმცა არეულობა გრძელდება, გლეხები თვითნებობენ, არავის უჯერებენ, გადასახადებს არ იხდიან, წულუკიძემ და წერეთელმა უარი განაცხადეს თავის სახელოებზე, შეძლებული აზნაურები განზე დგანან, არც ერთ მხარეს არ ეკედლებიან; ყველაფერს განაგებს ელიზბარ ერისთავი; მეფემ წერა-კითხვა არ იცის და უჯერებს, ვინც რას ეტყვის, ყველაფერში ენდობა დადიანს, რომელსაც მისცა 400 კომლი. დადიანს განზრახვა აქვს იმერეთის ანგარიშზე გაძლიერდეს და ამიტომ ჰბადებს მხარეებს შორის განხეთქილებას. წერეთელი ახლა მთებში წავიდა, რომ ჯარი იშოვოს ოსებში და სხვა ხალხში. ინახულა გედევანიშვილი, რომელიც მეთაურობდა ჯარს სურამზე ბრძოლის დროს (ცვია, 1785 ოქტომბრის აღწ. 194 შეკვრა 113, გვ. 385—387).

იმავე წლის ოქტომბრის ქალაქებში მოთავსებულია უთარილო ორი წერილი ელიზბარ ერისთავისა და ზაალ აბაშიძის. პირველ წერილში ისინი მოახსენებენ ახალციხის ფაშას სულეიმანს დავით არჩილის ძის თხოვნას, რომ ფაშამ დასრულოს ის, რაც მას ბატონიშვილმა თხოვა ფაზლოვის პირითო. ატყობინებს, რომ მათ დაიკა-

ვეს რაქა, აიღეს ხადის-კარი და ვინც არ დაემორჩილა, დაარბიეს. მეორე წერილში, რომელსაც ისინი უწოდებენ „საიდუმლოს“, ბინებენ იმავე ფაშას: ჩვენ, როგორც შეგპირდით, ავაშენებთ ოთხ ციხეს, თუ ხონთქრისაგან გამოიტანთ ფირმანს თქვენი შვილისათვის (ე. ი. დავით არჩილიძისათვის), დავაყენებთ მთაში თქვენ მეციხოვნეებს და თქვენ საკუთრად მოგართმევთ 100 ტყვეს და 40 ქისაფულს. ამას უმატებენ: წერეთელს ჰქონდა მოლაპარაკება ტყევი კოხტას ძმისწულთან—ადრი მამასთან და ლეკების სხვა ბელადებთან და დაასაჩუქრა ისინი (შემდეგ გაუგებარია). ქიტეხას მოელიან თედრიჯში, სათილო გამოგზავნილია თბილისიდან ერეკლესაგან.

1786 წ. 19 თებერვალს დავით მეფე ატყობინებს პ. პოტიომკინს: რაც ამასწინათ მოგახსენეთ პოლკოვნიკის (ბურნაშევის) საშუალებით, უკვე გამართლდა. 15 იანვარს წულუკიძემ (ბერმა) და წერეთელმა პაპუნამ თათრის და ლეკის ჯარი ჩამოიყვანეს, დაეცნენ რაქას, ბევრი ტყვე და საქონელი გარეკეს, მაგრამ ჩვენ ჩვენის და ოდიშის ჯარით შევებენით და ზოგი სრულად ამოვწყვიტეთ, ცოცხლები კი დავატყვევეთ. დაქერილთა შორის არის ერთი წერეთელი და ახალციხის ფაშის უპირველესი დიდი კაცი ქაბუჩ ქაპია იბრაჰიმ ბეგი ჯაყელი. ამ საქმეს დაესწრო ივან დავიდიჩი, რომელსაც თქვენდა მოსახსენებლად ამასთანავე ვგზავნი. (ცვია, თებერვალი და მარტი, 114 შეკვრა, 1786 წ. გვ. 150).

იმავე შეკვრაში დავით მეფის პატარა წერილია უცნობი პირისადმი. უთარილო, სადაც იგი უგზავნის პაპუნა წერეთლის წერილს ლეკებისადმი დასთხოვს: თქვენმა „აღმატებულებამ“ გასინჯოს იგიო. პაპუნას წერილი საბუთებში არა ჩანს.

1787 წ. 29/V მეფე დავით გიორგის ძე სწერს პ. პოტიომკინს, სხვათა შორის (იქვე, ივლისი): თქვენგან შემწეობა არ მიგვიღია, მეზობლები ამიტომ დავგციინიან, მაგრამ შინაური მტრები მაინც დავიმორჩილეთ, ზოგიერთი მათგანი მეფე ერეკლესთან წავიდა, მაგრამ არ მგონია, რომ ერეკლემ მათ მხარი დაუჭიროსო. ითხოვს დახმარებას, რისთვისაც გზავნის „უპირატეს მდივანს ბესარიონ გაბაონელიძეს“ (გაბაშვილს).

ბესარიონის ყოფნა რუსეთში და მისი იქაური მოქმედება იხ. ქვემოთ: „საქართველოს მეფეების ურთიერთობა რუსეთთან“.

ამის შემდეგ იმერეთის შინაური საქმეების შესახებ 1794 წლამდე ქართულ ენაზე საბუთები არა ჩანს, თუმცა 1787 წლიდან დიდი ამბები მოხდა დავით გიორგის ძესა და დავით არჩილის ძეს შორის პოლოს, 1789 წელს, დავით გიორგის ძე იძულებული იყო ახალცი-



ხეში გაქცეულიყო დამარცხებული, დავით არჩილის ძე ავიდა ტახტზე სოლომონ II-ის სახელით, მაგრამ ისიც 1792 წ. რამდენიმე თვით გაძევებული იყო იმერეთიდან და მხოლოდ 1792 წლ. დამლევს ხელმეორედ დაიბრუნა ტახტი. (ბუტკ. II, გვ. 283).

დავით გიორგის ძე თითქოს დაემორჩილა ამ გარემოებას. პერობაც შეკრა სოლომონ II-სთან, რის თავდებად ორივე მხარეს დაუდგნენ ერეკლე მეფე და სულეიმან ფაშა. (იხ. ქვემოთ).

1794 წ. ნოემბრის 29 მეფე სოლომონ II ვრცელ წერილს სწერს გუდოვიჩს იმ ომებისა და ბრძოლების შესახებ, რომლებიც მას გადახდა არა მარტო შინაურ მტრებთან, არამედ უმეტესად იმერეთის ყველა სამთავროსთან, რომელთაც ეხმარებოდნენ ახალციხის ფაშა და ლეკები. იგი წერს: ჩემმა ბიძამ დავითმა, რომ დაგვემოდა, მოიწვია დადიანი, გურიელი და იმერეთიდან გაძევებული აბაშიძე, მრავალი ტყვისა და ფულის დაპირებით დაითანხმა ახალციხის ფაშა, მიუხედავად იმისა, რომ ფაშისა და ერეკლე მეფის თავდებობის ქვეშ მან დასდვა პირობა, მუდამ ერთგული ყოფილიყო ჩვენი და მშვიდობიანობა დაეცვა. ჩვენს შეკითხვაზე დავით გიორგის ძე ფიცით გვარწმუნებდა, რომ ეს სულ ტყუილიაო და ამანათად თავისი შვილიც მოგვცა. ისინი მაინც განაგრძობდნენ მზადებას და როცა ერთმა მათგანმა, დადიანმა¹, ჯარი შეკრიბა, მე თვითონ დავეცი მთავარს, ასე რომ ის აფხაზეთში გაიქცა. მის მაგიერ დადიანად მისი ძმა მანუჩარი დავაყენე. დადიანმა გამოითხოვა ჯარი აფხაზეთიდან და ხელმეორედ დაგვეცა. ჩემმა ბიძამ ლეკების ჯარი მოიწვია, გურიელმა ოსმალეთს მიმართა. შეთანხმდნენ, რომ ერთდროულად დაცემოდნენ ჩემს სატახტო ქალაქს ქუთაისს, ხელახლავ დავეცი დადიანს, დავამარცხე, მრავალი ტყვე წამოვიყვანე. იგი გაიქცა აფხაზეთში. ჩემი ბიძა კი იძულებული იყო, როცა დაინახა დადიანის დამარცხება, გაბრუნებულიყო და თავი დადიანების ტყეში შეეფარებინა. მოვიდომე იმის შეპყრობაც, მაგრამ ადგილის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ იძულებული შევიქნენი შევჩერებულიყავი, სანამ დახმარება არ მომივიდოდა. ჩვენს შორის შუამავლად მეფე ერეკლე იყო და, როცა მან შეიტყო, ჩემმა ბიძამ პირობა შეშალაო, გამოგზავნა თავისი შვილი ალექსანდრე ჯარით და არტილერიით. იგი ჩამოვიდა 24 ოქტომბერს. ამან უფრო გამათამამა, გაიმართა ბრძოლა ზარბაზნებისა და თოფების სროლით. თუმცა სრული გამარჯვება ვერ მივიღე, მაგრამ რომ დაინახეს—ბევრი ხალხი აკლდებოდათ, ჩემმა ბიძამ, აბა-

¹ გრიგოლ (ბუტკ. III, გვ. 501)



შიძემ და მათმა მოხელეებმა უბრალო ხალხი დატოვეს, თვითონვე გაეშურნენ სოხუმისაკენ დახმარების სათხოვნელად. სოხუმის ბეგმა, როცა გაიგო მათი დამარცხება, დახმარებაზე უარი უთხრა და მაშინ ისინი წავიდნენ ფოთს. ლეკების დარჩენილი ჯარი, ჩემი რისხვა რომ თავიდან აეცილებინა, დამნებდა და ახლა იგი მე მყავს. ჩემი მტრები თუმცა დამარცხდნენ, მაგრამ იმედს არ ჰკარგავენ. ერთი მათგანი სტამბოლში აპირებს წასვლას, მეორე დაღისტანში—შემწეობის გამოსათხოვად. დაღიანის ძმასთან (მანუჩართან) კარგი განწყობილება მაქვს. აგრეთვე მთავარ გურიელის ხალხი არა ყველა, არამედ ნაწილი ჩემკენ გადმოვიდა და თვით გურიელი მცირე მომხრეებით თავის თავს თვითონვე აიძულებს ჩემს მორჩილებაში იყოს. (ცვია № 288, გვ. 63—65) ¹.



¹ იმერეთის მეფეების ბრძოლა იმით გათავდა, რომ დამარცხებულმა დავით კორგის ძემ თავი ახალციხეს შეაფარა, სადაც იგი გარდაიცვალა 1795 წელს საწყისში. (ბუტკ. II, გვ. 283—285).

საქართველოს მეფეებისა და მთავრების ურთიერთობა

უკვე გაფტეს მასალებიდან ვიცით, რა ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე მეფეს იმერეთის მეფეებთან. სამოციან და სამოცდაათიან წლებში ერეკლესა და სოლომონ I-ს შორის თითქოს თანხმობა და ერთსულოვნება იყო. 1764 წ., ზაქარია გაბაშვილის საქმის გარჩევის დროს, მოწვეული ყოფილა სოლომონ I. 1773 წ. კურიერად რუსეთში დოლენჯიშვილს აგზავნიან ერეკლე, სოლომონ და რუსეთის წარმომადგენელი ლეოვი (იხ. ქვემოთ), მაგრამ 1778/9 წლიდან 1782 წლამდე სოლომონს თავის კარზე მოწვეული ჰყავს ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც მეტოქეობას უწევდა ერეკლე მეფეს (იხ. ზემოთ). წინათ ერეკლემაც შეიხიზნა სოლომონის შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი, განდევნილი იმერეთიდან მამისაგან, მაგრამ იგი მალე დაბრუნდა მამასთან. (ბუტკ. II, გვ. 138). 1782 წ. ერეკლე და სოლომონი შერიგდნენ, ალექსანდრე ბაქარის ძე რუსეთში გაისტუმრეს. (ცვიია, „საქართველოს საქმეები“ 1782 წლ. შეკვრა 121, გვ. 3, 26. სოლომონის წერილები გენერალ ანშეფისადმი და ერეკლესი—თ-დ ვეზირისადმი, იხ. დავით ბატონიშვილის და მისი ძმების ისტ. გვ. 26). მიუხედავად ამისა, 1783 წ. სოლომონ I თხოვს არა ერეკლე მეფეს, არამედ რუსის მთავრობას, არ მისცეს ნება ერეკლე მეფის ძეს გიორგი ბატონიშვილს ცოლად აიყვანოს სოლომონის ბიძაშვილის თეიმურაზის ქალი, რადგან თეიმურაზი მისი მეტოქეა და იგი მას თვალუბდათხრილი ჰყავს დაჭერილიო. (ცვიია, 1783 წ. თებერვალი, № 2, წერილი პ. პოტიომკინისა)¹.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, რა მონაწილეობა მიიღო ერეკლე მეფემ იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის და ბატონიშვილის დავით არჩილის ძის ბრძოლაში, ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ზემოთ. ამას შეიძლება დაუმატოთ შემდეგი წვრილმანი ფაქტი:

1) როგორც მეფე დავით გიორგის ძის წერილიდან ჩანს, იგი წინააღმდეგი ყოფილა, რომ აღმასხან (იგივე ვახტანგ) ბატონიშვილს

¹ ეტყობა, ეს განხრახვეც არ შესრულებულა. გიორგი ბატონიშვილის პირველი ცოლი იყო პაპუნა ანდრონიკაშვილის ქალი ქეთევანი, მეორე—გიორგი ციციშვილის ქალი მარიამი.



ან დავით ბატონიშვილს ცოლად შეერთო წულუკიძის ქალი, ამით მისი მოწინააღმდეგეები წულუკიძე და წერეთელი უფრო გაძლიერდებოდნენ, მაგრამ შემდეგ დათანხმებულა ერეკლე მეფის, ანტონ კათალიკოსის და ბურნაშვიის სურვილისამებრ. (იხ. ზემოთ).

2) 1787 წ. მეფე დავით გიორგის ძის მტრები ერეკლე მეფესთან წასულან, მაგრამ დავით გიორგის ძე დარწმუნებული ყოფილა, რომ ერეკლე მათ არ მიიღებდა. (ცვია, შეკვრა 121, გვ. 388).

ბრძოლა, როგორც სხვა წყაროებიდანაც ვიცით, დავიდ გიორგის ძის დამარცხებით დამთავრდა 1789 წ. მის მაგიერ არჩეულ იქნა დავით არჩილის ძე, სოლომონ II-ის სახელით. 1792 წ. დავით გიორგის ძემ ხელმეორედ დაიპყრო იმერეთის ტახტი, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ იგი კიდევ იქნა განდევნილი და მეფედ ისევ სოლომონ II გახდა. ერეკლე მეფეს ისინი შეურთებია და ორივე მხრის თავდებად დამდგარა. (ცვია, № 288, გვ. 63—65). რა მონაწილეობას იღებდა ერეკლე მეფე, როგორც 1785 წლიდან 1792 წლამდე, ისე 1792 წლიდან 1794 წლამდე, ჩვენი საბუთებიდან არა ჩანს. 1794 წელს დავით გიორგის ძის, დადიანის და გურიელის შეერთებული ძალის წინააღმდეგ სოლომონ II-ის დასაცავად ერეკლე მეფემ გაგზავნა თავისი შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი ჯარით და არტილერით. ერეკლესა და სოლომონ II-ის ურთიერთობის დასახასიათებლად ისიც საჭიროა მოვიხსენოთ, რომ ალა-მაჰმად-ხანის მიერ ქართლ-კახეთში შემოსევის წინააღმდეგ რუსეთის დახმარებას ერეკლესთან ერთად თხოულობდა სოლომონ II-ც, რომელიც შემდეგ მონაწილეობასაც ღებულობდა თბილისის დაცვაში. (ცვია, საქმე № 288, გვ. 67—74, წერილი გუდოვიჩისა).

იმერეთის დანარჩენ მთავრებთან რა ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე მეფეს, საბუთებიდან არა ჩანს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზემოხსენებულ ვალაშკრებას ალექსანდრე ბატონიშვილისას სოლომონ II-ის დასაცავად, დავით გიორგის ძის, დადიანის და გურიელის წინააღმდეგ. საფიქრებელია, რომ ერეკლე მეფე მონაწილეობას იღებდა არა მარტო საკუთრივ იმერეთის საქმეებში, არამედ დანარჩენ მთავართა შორის ატეხილ უთანხმოებებში. მას დაეალეებული ჰქონია რუსეთის ხელმწიფის მიერ დაეცვა მშვიდობიანობა მთელ იმერეთში. (ცვია, საქმე 1795, № 288 გვ. 61—62 წერილი გუდოვიჩისა). ამას ადასტურებს თვით ერეკლე მეფის წერილიც 1771 წლისა. (ცავ. II, ქართ. № 57). იქ ნათქვამია: „ვინაიდან ბრძანებულ თ. ი. დ., რათამცა იმერეთის მეფისა და დადიანის და სხვათა ურთიერთის დაგებად... რაოდენ ჩვენგან შეიძლებოდა, ვეცადენითო“.

ცვია - ს მასალებში საკმაოდ გაშუქებულია იმერეთის მეფეების და მთავრების ურთიერთობა დავით გიორგის ძის გამეფების შემდეგ 1785 წ. თავადების და სამღვდელთა სიტყვით (იხ. ზემოთ), იმერეთის მეფემ დავით გიორგის ძემ და დადიანმა კავშირი შეკრეს, ფიცის ქვეშ, იმათ წინააღმდეგ, ვინც არეულობას დაიწყებსო, მაგრამ ბატონიშვილის დავით არჩილის ძის (შემდეგ სოლომონ II) სიტყვით, დავით გიორგის ძემ მოიწვია დადიანი, რომელიც იმერეთს არბევსო (იქვე), ამასვე ადასტურებს ბურნაშევი. მისი სიტყვით, იმერეთის მეფის მომხრე დადიანია, რომელსაც მან 400 კომლი გლეხი მისცა და რომელსაც სურს იმერეთის ხარჯზე გაძლიერდეს და ამიტომ ახდენს იქ არეულობას. დადიანი მეტად აშორებს მეფეს რუსეთისაგან, პირიქით, ოსმალეთისაკენ მიჰყავს. სულეიმან ფაშის გამოგზავნილი კაცი მეფემ დადიანთან წაიყვანა და მოლაპარაკება ჰქონიათო. (იქვე).

თუ რა ურთიერთობა იყო სოლომონ II-სა და იმერეთის დანარჩენ მთავრებს შორის, ამას ნათლად გამოხატავს სოლომონის წერილი გუდოვჩისადმი 1794 წლ. 29 ნოემბრის თარიღით, იქ ნათქვამია: დადიანი განაგრძობდა მის წინააღმდეგ დავით გიორგის ძის დახმარებას. უკანასკნელს ეხმარებოდა გურიელიც და, როგორც ეტყობა, აფხაზეთის მთავარიც. მაგრამ მან, სოლომონმა, დაამარცხა ისინი, დადიანი ჩამოაგდო და მის მაგივრად დააყენა დადიანად მისივე ძმა მანუჩარი. სოხუმის ბეგმა, როცა გაიგო რომ სოლომონს ეხმარებოდა ერეკლე მეფის შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი, უარი უთხრა შემწეობაზე. ამას სოლომონი უმატებს: გურიის ხალხის ნაწილი ჩემს მხარეზე გადმოვიდაო და თვით გურიელი, დანარჩენი მცირე მომხრეებით, თავის-თავს თვით აიძულებს ჩემს მორჩილებაში იყოსო.

ყველა ეს ცნობა უფრო ვრცლად მოთავსებულია ზემოთ, თავში „იმერეთის მეფეები—დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე“ (შემდეგ სოლომონ II).

**საქართველოში მიწებისა და მთავრების ურთიერთობა
მეზობელ ხალხებთან**

ერეკლე მეფის ურთიერთობა სპარსეთთან, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე, ჩვენს საბუთებში თითქმის არაფერია აღნიშნული. არის მხოლოდ ცნობა, რომ 1767—1773 წლებში ერეკლე მეფის მეტოქე ალექსანდრე ბატონიშვილი ქიარიმ-ხანთან იყო დახმარების სათხოვნელად. ქიარირი თითქოს კიდევ დაჰპირებია, მაგრამ შემდეგ ფეთხალი-ხანის და შამხალის წინააღმდეგობის გამო და თვით ქიარირ-ხანის სიკვდილის მიზეზით, ეს დაპირება ვერ შესრულებულა. (ბუტკ. II, გვ. 114).

თვით ალა-მაჰმად-ხანი პირველ ხანებში ცდილობდა კავშირი და მეგობრობა შეეკრა ერეკლე მეფესთან და იმის შემწეობით კარგი ურთიერთობა შეექმნა რუსეთთანაც. 1786 წ. მან ერეკლე მეფეს მოციქულად ციციშვილი¹ გამოუგზავნა, წინადადება მისცა, — კავშირი შეეკრა მასთან, პირდებოდა: შენს სამფლობელოზე მდებარე აზერბაიჯანის პროვინციებს შემოგიერთებ ისე, როგორც ახლა ერევანი გიჭირავსო და სთხოვა — დახმარება გაეწია რუსეთთან მშვიდობიანობის ხელშეკრულების დადებაში. საფიქრებელია, ერეკლემ ეს წინადადება უარყო. (ცვია, 1769—1771 წლ. წერილები საქართველოს შესახებ გვ. 21, წერილი გარსევან ჭავჭავაძისა).² ამას, ეტყობა, შედეგად მოჰყვა 1795 წლ. საქართველოს აოხრება ალა-მაჰმად-ხანის მიერ. ბაღდადის ფაშის შეკითხვაზე, ალა-მაჰმად-ხანმა უპასუხა: საქართველო მიტომ დავსაჯე, რომ ეს ქვეყანა ყოველთვის სპარსეთს ეკუთვნოდა და ახლა კი ურჩობა გამოიჩინაო. (ცვია, საქმე № 299 გვ. 63—4, წერილი რუსეთის ელჩის კოჩუბეისა 1796 წ. 11—25 ივნისს). იმის ცნობაც არის, რომ სტამბოლში ხუთი ლეკი ჩასულა ანაპის გზით, მათ განუცხადებიათ: ალა-მაჰმად-ხანი გვთხოვს, საქონელი დავამზადოთ მისი ჯარისთვისო და თხოულობენ რჩევას, როგორ მოვიქცეთო. (იქვე).

¹ ზაქარია (ბუტკ. II, გვ. 301).

² ამ წერილის დედანი დაბეჭდილია ცაგარლის გამოცემაში (II № 78) რუსული მისი თარგმანი (№ 39).

1782 წლამდე ერეკლე მეფეს არც ოსმალეთთან აქვს გამწვავებული ურთიერთობა. 1762 წ. ახალციხის ფაშა ეკითხება დათურბანის ხანს—რა მიზნით წასულა და რას აკეთებს თეიმურაზ მეფე რუსეთში? 1781 წ. ალექსანდრე ბატონიშვილი მიდის ახალციხეში ერეკლეს წინააღმდეგ დახმარების გამოსათხვად, მაგრამ მალე ბრუნდება უშედეგოდ (იხ. ზემოთ). სამაგიეროდ, 1782 წლიდან და განსაკუთრებით 1783 წლიდან, ე. ი. ამ წლის ტრაქტატის დადების შემდეგ ერეკლე მეფესა და ეკატერინე II-ეს შორის, ოსმალეთის ურთიერთობა ერეკლესთან მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს. ეს ურთიერთობა გამოიხატება როგორც ოსმალეთის საომრად მზადებაში და ფაქტიურ აქტივობაში, ისე სხვადასხვა მეზობელ ხალხის წაქეზებაში ერეკლეს წინააღმდეგ.

1785 წლ. 23 მარტს ახალციხიდან ჯარი გადმოვიდა საქართველოში, ააოხრა სოფ. დურნუკი, დაატყვევა 200 კაცი, მოკლა 20 და გარეკა ორი სოფლის საქონელი. (ც ვ ი ა, 1785 წ., შეკვრა 121, გვ. 50).

იმავე მარტის 28-ს ერეკლე მეფეს ტაბახმელასთან დაეცა 1000 ოსმალთა და ლეკის ჯარი. მეფემ ისინი დაამარცხა. 16 აპრილს ხელახლავ გადმოვიდნენ 1500 ლეკის და 500 ოსმალოს ჯარი, დაარბიეს სამი სოფელი, დაატყვევეს 600 კაცი, მოკლეს პოლკოვნიკი დიასამიძე. მოხდა ბრძოლა ქართველებსა და ამ ჯარს შორის. ეს ბრძოლა დამთავრდა რუსის ჯარის სამი როტის მონაწილეობით და სეკუნდ-მაიორის სვენენბერგის მეთაურობით ქართველების სრული გამარჯვებით. ერეკლე მეფის სიტყვით, ამ დამარცხებას¹ სულეიმან ფაშა შეუჩერებია, როგორც ეტყობა, ცოტა ხნით. (იქვე, გვ. 16—17).

1785—6 წლ. კავკასიის ლინჩის (ხაზის) მთავარმართველს პავლე პოტიომკინს სულეიმან ფაშისათვის საჩუქრები გაუგზავნია და უთხოვნია აელაგმნა როგორმე ლეკების თარეში საქართველოში. ამის პასუხად სულეიმან ფაშა ამგვარად იმართლებს თავს: ჩვენც დიდად მოწადინებული ვართ აქაურ ხალხთა შორის ერთობა და მშვიდობიანობა იყოს. ლეკების მიერ თბილისის სოფლების აოხრება და რუსის ჯართან შეტაკება გავიგეთ, მაგრამ ლეკები არავის ემორჩილებიან, იმათ, სანამ ჩვენთან მოვიდოდნენ, ქარი და იალი (?) უნდა გამოიარონ, შემდეგ კახეთს, და ქართლზე უნდა გადმოვიდნენ, თუ ერეკლე ვერ აჩერებს მათ, ვერ აბრუნებს, მე როგორ შემიძლია შევაჩერო, მით უმეტეს, ლეკები ჩვენი სარწმუნოების არიან და იმათ-

¹ ბუტკოვის სიტყვით, ეს დამარცხება ოსმალებს მოუვიდათ მხოლოდ რუსის ჯარისაგან (II გვ. 162), ჩვენი საბუთებიდან ეს არა ჩანს.



თან ჩხუბი და ომი ჩვენ არ შეგვეფერის, თორემ ორ დიდ სახელმწიფოს შორის, რომელნიც შერიგებული არიან და ზავის პირობა აქვთ შეკრული, ჩვენ არ შეგვიძლია ეს შერიგება და პირობა მოვშალოთ. მაგრამ ერეკლე მეფე ამ მშვიდობიანობას ეწინააღმდეგება. მან ალი ოსმალის მამულიდან ასი რაიათი აყარა და თბილისისაკენ გადაასახლა. თორემ ჩვენი მხრით მშვიდობიანობა არც აქამდე დარღვეულა და არც მომავალში დაირღვევა. (იქვე, 1785, მარტი, შეკვრა 113)¹.

ბურნაშევის ცნობით, ოსმალეთს უბრძანებია სულეიმან ფაშისათვის, დაარბიოს საქართველო: 1) რომ საქართველო იმდენად დააღარბიოს, რომ მას არ შეეძლოს გამოკვება არა თუ (ახალი რუსის) დიდძალი ჯარისა, არამედ იმისიც, რომელიც ახლა საქართველოში იმყოფება, 2) შეაშინოს მეზობელი მხარეები, რომ მათ არ მოინდომონ საქართველოს მაგალითით რუსეთის მფარველობა ეძიონ. (იქვე, 1785 წლ. შეკვრა 113, გვ. 385/7). ბურნაშევის წერილიც გაუგზავნია ერთი ქართველი აზნაურის საშუალებით სულეიმან ფაშისათვის, მაგრამ სულეიმან ფაშას ამ აზნაურისათვის განუცხადებია, რომ მას არ სურს რაიმე ურთიერთობა იქონიოს რუსეთთან და რომ მას საქმე აქვს მხოლოდ ერეკლე მეფესთანო. (იქვე).

1785 წ. ოქტომბრის 27 სულეიმან ფაშამ აიღო ვახანის ციხე,² რის შესატყობად ერეკლე მეფემ გაუგზავნა რუსეთის მთავრობას არქიმანდრიტი გაიოზი და გაატანა წერილი (იქვე, „საბუთები ქართულ ენაზე“ 1785 ნოემბერი, შეკვრა 113, გვ. 656).

1786 წ. ივლისის 31-ის წერილით ერეკლე მეფე ატყობინებს პავლე პოტიომკინს, რომ მან აზრუმის ფაშისაგან მიიღო წერილი, რომელზედაც მან წინასწარი პასუხი უკვე გასცა, საბოლოო პასუხისათვის კი დაუდვა ერთი თვე. (იქვე, 1786 შეკვრა 114, გვ. 467)³.

1787 წ. თებერვლის 25 გარსევან ქაჯკავაძე ატყობინებს რუსის მთავრობას, რომ ოსმალეთი საზღვრებზე აშენებს ციხეებს. (იქვე, 1787 წ. „ქართული წერილები“ აღწ. 194 გვ. 16). 1787 სექტემბ-

¹ წერილი ქართულად არის დაწერილი, მინაწერი აქვს რუსულად—Марта-12 дня 1785 года. ეს თარიღი მცდარი უნდა იყოს, რადგან რუსის ჯარებთან შეტაკება ლეკებს მოუხდათ 16 აპრილს, ასე რომ 12 მარტისათვის სულეიმან ფაშა ვერ მოიხსენებდა რუსის ჯარის და ლეკების შეტაკებას.

² ბუტკოვის სიტყვით (II გვ. 183) ვახანის ციხე აიღო ომარ-ხანმა სულეიმან ფაშის დახმარებით. მასვე აქვს ვახანის ციხის აღება დათარიღებული 1785 წ. 27 ოქტომბრით.

³ საფიქრებელია, ეს ვადა მიტომ დაუდვა ერეკლე მეფემ, რომ ელოდა ფაშის წერილის გამო ინსტრუქციას რუსეთიდან.



რის 22 ხონთქრის დესპანმა ქაპია ბეგმა განაცხადა, რომ თუ მთელი შალეთსა და რუსეთს შორის ახლა ზავია, მაგრამ ორივე მხარე შესაფერ დროს უცდის, რომ ომი დაიწყონო. (იქვე, საქმე 1786 წლ. „ქართული წერილები“ გვ. 5 წერილი ერეკლე მეფისა). იმავე წერილში ერეკლე მეფე იტყობინება, რომ ხონთქარმა ქაპია ბეგის პირით წინადადება მომცა, თუ საქართველოში რუსეთის ჯარი აღარ იქნება, დიდ წყალობას მოგცემო, დალისტანს დაეყენებ და, რაც ზარალი ჩვენგან და ჩვენის მიზეზით მოგცემიათ, სრულიად ავინაზლაურებო, მაგრამო, უმატებს ერეკლე, ამაზე მტკიცე უარი განვუცხადებო. 1796 წ. იანვრის 6/19) რუსეთის სტამბოლელი ელჩი კოჩუბეი იტყობინებს რუსეთის მთავრობას, რომ ახალციხის ფაშამ გაყიდა 300 დატყვევებული ქართველი ბავშვი. (იქვე, საქმე № 299, გვ. 61, 62).

იმავე წლის იანვრის 12/25 იგივე კოჩუბეი იტყობინება, რომ ახალციხის ფაშამ მოახსენა პორტას, რომ რუსის ჯარები ასწორებენ საქართველოში ანანურით მომავალ გზას და რომ ყველაფრის დაწვრილებით შესატყობად მან გაგზავნა ჯაშუში. (იქვე, გვ. 63, 64).

ოსმალეთის მტრული განწყობილება ერეკლეს წინააღმდეგ გამოიხატებოდა არა მარტო მის საოპარ მზადებასა და მოქმედებაში, რომელიც მოკლედ ჩამოთვლილია ზემოთ, არამედ უფრო ინტენსიური ხასიათი ჰქონდა ოსმალეთის მიერ ერეკლეს წინააღმდეგ მეზობელ მფლობელების წაქეზებას. ამის შესახებ აუარებელი მასალა ცვია-ში.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ 1782 წ. აზრუმის ფაშამ ფული და საჩუქრები გაუგზავნა აზერბაიჯანის ხანებსა და ჩრდილოეთის მფლობელებს და შეუთვალა შეერთებულიყვნენ და ერთად დასცემოდნენ საქართველოს. დროც იყო ამისათვის დანიშნული, მაგრამ რაღაც მიზეზით, რუსეთის ადგილობრივი მოხელეების სიტყვით კი—საქმეში მათი ჩარევის გამო, ეს განზრახვა ჩაშლილა. (იხ. ზემოთ).

1785 წ. ერეკლე მეფეს მტრები სამი მხრიდან ემუქრებოდნენ: ახალციხის ფაშა, ქარელები და დალისტნელები. (ცვია, 1785 წელი „ქართული საქმეები“, შეკვრა 111, გვ. 715, წერილი ერეკლე მეფისა).

1785 წ. 28 მარტის ბრძოლაში ოსმალეთის ჯარში იყო 1000 ლეკი და ოსმალო. როცა ერეკლეს მიერ დამარცხებული ჯარი დბრუნდა ახალციხეში, ფაშა დაემუქრა: მე თქვენ ჯამაგირსაც მოვიტყობთ და სურსათსაც, თუ საქართველოს არ დაამარცხებთო. მაშინ ხელახლა დაბრუნდნენ 1500 ლეკის და 500 ოსმალოს ჯარისკაცი. (იქვე, 1785 წ. ქართ. საქმ. შეკვრა 121, გვ. 16, 17—წერილი ერეკლე მეფისა 25 აპრილს, გვ. 50, 51. წერილი ვარს. ქავეჭავაძისა 26 ივნისს).



იმავე წერილში ერეკლე მეფე ატყობინებს: ოსმალეთმა გაახშირა აზერბაიჯანის ხანებთან მიწერ-მოწერა; წინადადება მისცა შვედეთს და შვედეთის ძალით დაეცნენ საქართველოს. ხანები ყველანი თანახმანი არიან ოსმალეთის წინადადება აასრულონ, გარდა განჯელი (შუშის)¹ იბრაჰიმ-ხანისა; მაგრამ ოსმალეთი იბრაჰიმ-ხანსაც აქეზებს ჰაჯების ქადაგებით სარწმუნოების წინადადზე. მათი ამოძრავება ამ ზაფხულსაა მოსალოდნელი.

1785 ივნისის 26, გარსევან ჭავჭავაძე ატყობინებს (მიმართვა არა აქვს; საფიქრებელია, რუსის მთავრობას), რომ ხონთქარმა ერეკლე მეფეზე გასალაშქრებლად წერილები და საჩუქრები გაუგზავნა უცმის, შამხალს, ხუნძანის ხანს, ფათხალი-ხანს, შამახის ახმედ-ხანს, ურუმის ხანს და იბრაჰიმ-ხანს. ამ ახლო ხანში ქარეულები დაეცნენ ყაზახს და გარეკეს 700 სული საქონელიო. (იქვე, შეკვრა 121, გვ. 54, 55).

1785 ივლისის 8, ოსმალეთი აქეზებს სპარსეთს და დაღისტანს საქართველოს წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ დაეცნენ საქართველოს, სანამ რუსები მიეშველებოდნენ. (იქვე, 1785 აგვისტო, შეკვრა 113, გვ. 313, წერილი ერეკლე მეფისა).

1785 წ. აგვისტოს 19, ბურნაშევის სიტყვით, ოსმალებმა შეყარეს 4000 კაცისაღან შემდგარი ჯარი დაღისტნელებისა, ფული გაუგზავნეს აზერბაიჯანლების ხანებს, რომ ააოხრონ საქართველო იმდენად, რომ მას არ შეეძლოს რუსის ჯარის გამოკვება, ახალციხის ფაშამ ყველაფერი ეს თვითონ უნდა იკისროს, რადგან თუ ოსმალეთსა და რუსეთს შორის ამის თაობაზე უთანხმოება ატყდა, ოსმალეთის მთავრობა მას, ახალციხის ფაშას, არ დაეხმარება. აზერბაიჯანის ყველა ხანი, გარდა ერევნისა, შვედთდნენ, რომ გაელაშქრნათ ერეკლეს წინააღმდეგ. სულეიმან ფაშას იმედი აქვს ერევნის ხანიც გადაიბიროს თავისკენ. (იქვე, 1785, შეკვრა 113, გვ. 385—387).

1785 ოქტომბრის 15, მიუხედავად ზავისა ოსმალეთსა და რუსეთს შორის, ოსმალეთი ფულს უგზავნის დაღისტნელებს და ეს უკანასკნელნი ეცემიან და არბევენ საქართველოს. (იქვე 1785 შეკვ. 121, გვ. 58, გარსევან ჭავჭავაძის წერილი 15 ოქტომბრის თარიღით).

1785 ოქტომბრის 18, პ. პოტიომკინის შეკითხვაზე ერეკლე სწერს, რომ იგი და ბურნაშევი ვერ შეებნენ ომარ-ხანს, რადგან მაშინ მტერი ოთხი მხრიდან აწვებოდა საქართველოს: სულეიმან ფაშა,

¹ იმ დროს შუშის იბრაჰიმ-ხანი ერეკლესთან ერთად ფლობდა განჯის ხანოს.

ომარ-ხანი და ორი მხრით ლეკები, ამასთანავე, ომარ-ხანმა შემოი-
თვალა ერეკლეს: თქვენ საწინააღმდეგოდ არ მოვდივარო, მტრად
მერე ახტალა აილო და გაბრუნდაო. (იქვე, 1785, შეკვრა 113, ნომბე-
რი, გვ. 558 ერეკლე მეფის წერილი).

1786 თებერვლის 19. სულეიმან ფაშამ მიიღო 44 ათასი ოქრო
ხონთქრისაგან, რომ დაერიგებინა აზერბაიჯანის ხანებისა და დალის-
ტნის მფლობელებისათვის. ერეკლეს ერთგულმა ლეკებმა შეატყობი-
ნეს მას, რომ დალისტანი იყრებო, რომ ერთი მხრით აზერბაიჯანს,
მეორე მხრით დალისტანს უნდათ დაეცნენ საქართველოსო. (იქვე, 1786
ავვისტო-სექტემბერი, შეკვრა 114, გვ. 472, ერეკლე მეფის წერილი).

1787 მაისის 29 ხონთქარმა ფული გაუგზავნა აზერბაიჯანის
ხანებს და დალისტანს, რომ დასცემოდნენ საქართველოს. (იქვე,
1787, გვ. 24, ერეკლე მეფის წერილი).

1787 ივლისის 8. ხონთქარმა ფული და საჩუქრები გაუგზავნა
აზერბაიჯანის და დალისტნის მფლობელებს, რომ დასცემოდნენ სა-
ქართველოს. (იქვე, 1787, შეკვრა 121, გვ. 366, ერეკლე მეფის წე-
რილი).

1796 წლ. იანვრის 12/25 ანაპის გზით სტამბოლში ჩასულან-
ხუთი ლეკი (იხ. ზემოთ), ანაპის ფაშის ჩუგოდარის მეთაურობით,
რომელთაც ჩამოუტანიათ წერილები თავიანთ მფლობელებისაგან. ამ
ლეკებს შორის უფროსია ჰაჯი მუჰამედ, წარმომადგენელი აკუმის
ყადისა, რომელსაც ჰყავს 20 ათასი ლეკი ქვეშევრდომი. იმათ განუ-
ცხადებიათ, რომ ალა-მაჰმად-ხანმა გამოუგზავნა ლეკების მფლობელებს
წერილები და მოუწოდებდა შეთანხმებულებს ერთმანეთში და
დაემზადებინათ საქონელი ალა-მაჰმად-ხანის ჯარისათვის. ლეკები
თხოულობდნენ რჩევას, როგორ მოვიქცეთო. ამაზე ჯერჯერობით
პორტას პასუხი არ მიუცია. (იქვე, საქმე № 299, გვ. 63—64, წე-
რილი რუსეთის სტამბოლელ ელჩის კოჩუბეისა).

საფიქრებელია, ამ ცნობებიდან ზოგი განმეორებითია, ე. ი.
რამდენიმე ცნობა ერთსა და იმავე ფაქტს ეხება. მაგრამ ერთი
მაინც უდავოა. მთელ იმ ხანაში, რომელსაც ჩვენი საბუთები ეხება,
ოსმალეთი მუდამ აქეზებდა აზერბაიჯანს და დალისტანს საქართვე-
ლოს წინააღმდეგ და ამ მეზობელი ხალხების საშუალებით უნდოდა
თავის საწაღელს სწეოდა.

ამავე დროს ოსმალეთი წინადადებას აძლევდა ერეკლე მეფეს
მშვიდობიანობა დამყარებულებო მათს შორის. თანაც ამ წინადადე-
ბას დართული ჰქონდა მოთხოვნა, რომ საქართველოს კავშირი გაე-
წყვიტნა რუსეთთან და მიეღო ოსმალეთის მფარველობა. (იხ. ზემოთ

არზრუმის ფაშის წერილი 1786 წლ. შეკვრა 114, გვ. 417 და ხონთქრის დესპანის ქაპია ბეგის განცხადება 1786 წლ. "ქართ. წერილები", გვ. 5), ხანკი ამგვარ კატეგორიულ პირობას ლეთი არ თხოულობდა, უნდოდა თითქოს შეთანხმებოდა ერეკლეს, როგორც თავისუფალ მეფეს, და მოითხოვდა მხოლოდ მისთვის, ე. ი. ოსმალეთისათვის, უზრუნველყოფის პირობებს. ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც უნდა დადებულიყო ერეკლე მეფესა და სულეიმან ფაშას შორის. (სულეიმანს, ბურნაშევის სიტყვით, მინდობილი ჰქონდა საქართველოს, აზერბაიჯანის და დაღისტნის საქმეები (1785 საქმე, შეკვრა 113, გვ. 385, 7), მაგრამ ოსმალეთი თავის გამოსავალს მაინც ინარჩუნებდა. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, საქართველოს წინააღმდეგ ზომების მიღების დროს, თუ ეს ზომები გამოიწვევდნენ რუსეთის უკმაყოფილებას, სულეიმანს თავის-თავზე უნდა მიეღო ისინი და ოსმალეთის მთავრობა ამ შემთხვევაში მას, სულეიმანს, მხარს არ დაუჭერდა. (იხ. ბურნაშევის წერილი, იქვე). ვისი ინიციატივით დაიწყო ამ ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკება, ჩვენი საბუთებიდან არა ჩანს. რუსეთის მოხელის ლაშქაროვის 1786 წლის 14 დეკემბრის მოხსენებიდან ჩანს (ცაგარ. II რუსულ. № 38), რომ იგი შედგენილი უნდა ყოფილიყო იმავე წლის ზაფხულში.

პირველი ცნობა ამ პროექტის შესახებ მოთავსებულია გარსევან ქავეკვაძის წერილში, რომლითაც იგი ატყობინებს ოსმალეთის დიდ ვეზირს იმ მიზეზებს, რომლებმაც აიძულა ერეკლე მიემართა რუსეთის მთავრობისათვის და ამასთანავე უგზავნის სულეიმანთან დადებულ ხელშეკრულების პროექტს. (ცვია, 1769—71 "ქართ. საქმეები", გვ. 19).

იმავე 1786 წლ. 15 სექტემბერს გარსევან ქავეკვაძეს წარუდგენია ეს პროექტი რუსის მთავრობისათვის. (იქვე, გვ. 20).

თვით პროექტი შეიცავს შემდეგ მუხლებს:

1. მისი დიდებულების და ათამანის პორტას საშუალ მანამდინ მშვიდობა არის, ჩვენი მხრიდან ხონთქარის რაითის არაფერი მტრობა და ზიანი არ მიეცემა რა.

2. რუსეთის დიდებული ხელმწიფის სამი ათასი კაცი რომ ჩვენის მტრის პასუხის მისაცემად უბოძებია, საბოლოოდ ამ რიცხვიდან უნაკლოდ უნდა გვეყვანდეს და ამ სამი ათასზე მეტი რუსის ჯარს არ მოვიყვანთ.

3. ვინც ჩვენს საფარველს ქვეშ მყოფ ქვეყნებზედ მოინდომებს მტრობას, ამ სამი ათასის რუსის ჯარით და ჩვენი ჯარით პასუხს გაცევით. სულეიმან ფაშის მის სიმაღლესთან მიცემული პირობა¹.

¹ ამის რუსული თარგმანი მცირედის განხზავებით მოქცეულია ლაშქაროვის 1786 წლ. 14 დეკემბრის მოხსენებაში (იხ. ზემოთ). როგორც ტექსტის რედაქციიდან ჩანს, ეს პროექტი შედგენილი უნდა იყოს ქართველების მიერ.



1. დალისტანის ჯარი თავის ქვეყანაში არ დააყენოს და თავისის ჯარით საქართველოს უმტროს, არც ცხადად და არც რულად და არც იმ მხარეს საქართველოს ტყვე არ მიყიდოს და არც გაასყიდინოს.

2. სულეიმან ფაშამ სიტყვით და საქმით ცხადად და ფარულად ჩვენს მეზობლებთან და მტრებთან არა გვიმტეროს რა.

3. ხონთაქრის ჯარი ჩვენს საზღვრებზედ არსად დააყენოს.

იმავე წლის 22 სექტემბერს ერეკლე მეფე ატყობინებს თ-დ პოტიომკინს, რომ ქვეყნის საჭიროებამ გვაიძულა მშვიდობის პირობა დაგვედო ოსმალეთთან, რისთვისაც ჩვენ გავუგზავნეთ ბურნაშევის დამოწმებით და შეკითხვით წერილი (ხელშეკრულების პროექტი) ახალციხის ფაშას. მისი პასუხი ჯერჯერობით არ მოგვსვლია. (ც ვ ი ა, 1786 წ. „ქართ. წერილები“ გვ. 5)¹.

როგორც ამ წერილში, ისე შემდეგაც ერეკლე მეფეს არ სჯერა, რომ სულეიმან ფაშას გულწრფელად სურს მშვიდობიანობის დამყარება ოსმალეთსა და საქართველოს შორის. იგი მუდამ იმეორებს: სულეიმანი მეგობრობას გვითვლის, მაგრამ ამასთანავე აქეზებს დალისტანის და აზერბაიჯანის ხალხს, დაეცნენ საქართველოსო. (ც ვ ი ა, იქვე, აღწ. 194, გვ. 24 და აგრეთვე 1787 ივლისი, შეკვრა 121, გვ. 366, 1787). ასეც მოხდა. როსტომ ჯიშმიტაშვილის სიტყვით, ხონთაქარმა არ დაამტკიცა ეს ხელშეკრულება, პირიქით, უბრძანა ექვს ფაშას დასცემოდნენ საქართველოსო. (იქვე, „ქართ. წერილები“ 1788—91 წლ.—წერილი როსტომ ჯიშმიტაშვილისა უთარილო, ერეკლე მეფის მიერ დამოწმებული, გვ. 12).

ამგვარ ურთიერთობის დროსაც სულეიმან ფაშა განაგრძობდა წვრილმან თხოვნებით მიემართნა ერეკლე მეფისათვის: 1786 წ. (ც ვ ი ა, 1787 წ. ქართ. საქმეები, აღწ. 194 გვ. 14) იგი სთხოვს ერეკლე მეფეს, დაიცვას ვინმე კონტუაშვილი მებატონე ავალიანისაგან. ამასვე სთხოვს ერეკლე მეფეს (შუშის) იბრაჰიმ-ხანი. (10 აპრილის თარიღით, იქვე, გვ. 26).

რაც შეეხება ერეკლე მეფის დანარჩენ მეზობლებს: აზერბაიჯანს, ლეკებს, ქარელებს და ჩრდილოეთის ხალხს, თუმცა ისინი

¹ ამ წერილის შინაარსიც მოყვანილია ლაშქაროვის მოხსენებაში, მხოლოდ ლაშქაროვის მოხსენება დამყარებულია ქავჭავაძის ინფორმაციაზე. ერეკლეს წერილი ქართულ ორიგინალში დათარიღებულია ჩღპზ, ე. მ. 1787 წ., შეცთომა უნდა იყოს, რადგან შეუძლებელია ასეთი დიდი მნიშვნელობის აქტი, ისიც ბურნაშევის მონაწილეობით შედგებოდა, ერეკლეს არ გაეგზავნოს რუსის მთავრობისათვის ერთი წლის განმავლობაში. ამას ადასტურებს ისიც, რომ ეს წერილი მოთავსებულია 1786 წლ. ქალაქებში.



ეცემოდნენ და არბევდნენ საქართველოს, მაგრამ ეს უფრო ლეთის და არა მათი ინიციატივით ხდებოდა. ამისი არა ერთი მადასტურებელი ფაქტი მოყვანილია ზემოთ. გავიხსენოთ თუ გინდ ფეთხალი-ხანის მოლაპარაკება რუსეთის წარმომადგენელ ბატირევეთან ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ, სულეიმან ფაშის მიერ მრავალჯერი გადმოგზავნა ლეკების ჯარისა საქართველოს წინააღმდეგ და ის მრავალი საჩუქარი და ფული, რომელსაც ოსმალეთი უგზავნიდა აზერბაიჯანს და დაღისტანს, რომ დასცემოდნენ საქართველოს. ამიტომ იყო, რომ ერეკლე მეფე და გარსევან ჭავჭავაძე საომარ დახმარებასთან ერთად თხოულობდნენ სესხს, რომ შეძლება ჰქონოდათ დაეკმაყოფილებინათ ეს ხალხი იმავე საშუალებით, რა საშუალებითაც მოქმედებდა ოსმალეთი. მეორე მხრივ, ცხადია, საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებაში მეზობლები ხელმძღვანელობდნენ ნადავლის იმედითაც, რაც ჩანს ფეთხალი-ხანის სიტყვებიდან (იხ. ზემოთ). ისე კი, თავის-თავად, ამ მეზობლებს არ შეეძლოთ გამკლავებოდნენ ერეკლე მეფეს, რადგან ისინი არ წარმოადგენდნენ საკმაოდ გაერთიანებულ ძლიერ ძალას. ამას ხშირად იმეორებენ, როგორც ერეკლე მეფე, ისე მისი წარმომადგენელი გარსევან ჭავჭავაძე (იხ. ქვემოთ). და თუ იყო ისეთი შემთხვევა, როცა მეზობელ ხალხს სურდა დასცემოდა საქართველოს, იგი უსათუოდ ეძებდა ოსმალეთის დახმარებას. არის ცნობა, რომ ხუნზახის ხანს ორჯერ გაუგზავნია კაცი სულეიმან ფაშასთან და შეუტყობინებია, რომ იგი მზადაა სულეიმანთან ერთად დაეცეს საქართველოსო. (ცვია, 1785 წ., შეკვრა 113, გვ. 385, 7 წერილი ბურნაშევისა).

არის მეორე ცნობაც: სელიმ აღასის სიტყვით, ალა-მაჰმად-ხანთან ჩამოვიდა შუშის იბრაჰიმ ხანის დესპანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ლეკების უმმა (უცმი?) ხანის საშუალებით შეერიგებინა იბრაჰიმ-ხანი ალა-მაჰმად-ხანთან იმ პირობით, რომ ალა-მაჰმად-ხანს არ დაერბია მისი სახანო, ხოლო იბრაჰიმ-ხანი მიაშველებდა ალა-მაჰმად-ხანს 5000 მეომარს. (იქვე, № 299, გვ. 64, 63 წერილი კოჩუბეისა 1796 წ. იანვრის 12/25). საფიქრებელია, ეს მიშველება საქართველოს წინააღმდეგ იქნებოდა ალა-მაჰმად-ხანის მიერ გამოყენებული.

რა პოლიტიკას აწარმოებდა იმერეთთან ოსმალეთი სოლომონ I-ის მეფობის დროს, ჩვენი საბუთებიდან არა ჩანს. არის მხოლოდ ცნობა, რომ 1782 ოსმალეთმა გამოგზავნა ქიაჰიმბაში, რომელმაც დაიწყო ფოთსა და ანაკლიაში ციხეების შენება. (ცვია, 1782 შეკვრა 121, გვ. 34. წერილი სოლომონისა ეკატერინე II-სადმი).



1784 წლ. ქალაქებში არის ორი ცნობა ერთი და იმავე საგნის შესახებ: 1) უცნობი პირი ატყობინებს სტამბოლიდან მხედის: ოსმალეთი ამზადებს 12.000 ჯარს და მათთან ერთად შარვაშიძე, აბაშიძე და სხვანი ემზადებიან დაეცენ იმერეთსო (იქვე, 1784, შეკვრა 111, გვ. 288); 2) ლევან აბაშიძის შვილი სწერს დადიანს სტამბოლიდან: ოსმალეთი აგროვებს დიდ ჯარს საქართველოს წინააღმდეგო, დადიანმა ეს წერილი გაუგზავნა დავით მეფეს. უკანასკნელმა კი გადასცა ბურნაშევს და მოითხოვა დახმარება. (იქვე გვ. 50). როგორც ეტყობა, ამ მზადებას რეალური შედეგი არ მოყოლია.

1784 წლ. სულეიმან ფაშა უგზავნის დავით მეფეს სამ წერილს. უწოდებს მას ხან ძმას, ხან შვილს; წინადადებას აძლევს, იმოქმედონ ორივემ თანხმობით, უცდის, რომ დავითი გაუგზავნის მას წერილს (საფიქრებელია, ოსმალეთის მფარველობის გამოთხოვის შესახებ), რომ დავითმაც მიიღოს ისეთივე ფირმანი, როგორც მიიღო სოლომონ I-მა; სთხოვს აგრეთვე გაუგზავნოს მას „გონიერი“ კაცი, რომ ყველაფერზე მოელაპარაკოს. ამ წერილებს მინაწერები აქვს რუსულად, პირველს: „პირველი წერილი მიღებულია თურმან ალა ჩონოდარ იმზის ხელით, როლის—არ ახსოვს, მხოლოდ სოლომონის გარდაცვალების შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია“. მეორეს: „მეორე წერილი მიღებულია უბრალო ოსმალის ხელით მარტის უკანასკნელ რიცხვებში“; მესამეს: „მესამე წერილი მიღებულია გლეხი ბუქუსას ხელით 8 ივნისს“. (იქვე, 1784 წ. შეკვრა 111 გვ. 423, 430, 431)¹.

ეტყობა, დავით გიორგის ძეს არ გაუგზავნია არც წერილი ფირმანის გამოსათხოვად, არც „გონიერი“ კაცი, რადგან იქვე (გვ. 432) მოთავსებულია ვიღაც ომანის წერილი, რომელშიაც იგი ატყობინებს დავით მეფეს, რომ „მან გადასცა წერილი ბატონს. ბატონმაც იგი სიამოვნებით მიიღო, მაგრამ უკმაყოფილება განაცხადა, რომ დავითმა აქამდე კაცი არ გაუგზავნაო“. ამ წერილს რუსულადვე მინაწერი აქვს: „მიღებულია თურმან ალას ხელით, რომელიც ახალციხეში დაბრუნდაო“. საფიქრებელია, ყველა ეს მინაწერი ეკუთვნის ბურნაშევს.

1785 წ. სულეიმან ფაშის სახელით სელიმ ალა ჰპირდება დავით მეფეს, თუ უკანასკნელი გაუგზავნის ხონთქარს მფარველობის თხოვნას, ხონთქარი საკმაო ჯარს გამოუგზავნის დავით არჩილის ძის

¹ თუმცა ყველა ეს წერილი 1784 წლ. შეკვრაშია, მაგრამ ცხადია, მეორე წერილი არ შეიძლება მიღებული ყოფილიყო 1784 წლის მარტში, რადგან დავით გიორგის ძე მხოლოდ ამ წლის 23 აპრილს გამეფდა.



წინააღმდეგ და ტახტზედაც დაამკვიდრებს. (იქვე, 1785 წ., ^{გვერდი 113} 113, გვ. 385—387—წერილი ბურნაშევისა აგვისტოს 19-ს). ^{საქართველოს}

დავით მეფე უგზავნის სულეიმან ფაშას საჩუქრად ერთ ულაცს და ერთ შევარდენს. (იქვე).

ბურნაშევის სიტყვით, დავით მეფისა და დავით არჩილის ძის ბრძოლის დროს ოსმალეთი სულეიმან ფაშის პირით აქეზებს ორივე მხარეს და პირდება ორივეს დახმარებას. (ცვია, 1785 შეკვრა 113, ოქტომბერი, გვ. 385—387).

ზემოთმოყვანილი ცნობები ადასტურებს, რომ სულეიმან ფაშა დიდ დახმარებას უწყევდა დავით გიორგის ძეს. მეორე მხრივ, არის ცნობები, რომ იგი დახმარებას არ აკლებდა არც დავით ბატონიშვილს და მის მომხრეებს. ამის დამადასტურებელია შემდეგი ცნობები:

1785 მაისის 23. დავით არჩილის ძის ბატონიშვილის მომხრე ბერი წულუკიძისაგან სულეიმან ფაშას მიუღია ტყვეები—განჯელი ურიები. (იქვე, გვ. 253—359).

აბაშიძის და ერისთავის წერილებიდან ჩანს, რომ სულეიმან ფაშას არათუ მიწერ-მოწერა ჰქონია დავით ბატონიშვილთან და მის მომხრეებთან, არამედ დახმარებასაც დაჰპირებია, რასაკვირველია, დავით გიორგის ძის წინააღმდეგ. (იქვე, 1785 წ. ოქტომბერი, შეკვრა 113, გვ. 385—387).

1786 წ. ოსმალეთი აძლევს თავის და ლეკების ჯარს წულუკიძეს და წერეთელს დავით მეფის წინააღმდეგ (იქვე, 1786 წ. შეკვრა 114, გვ. 150 წერილი მეფე დავით გიორგის ძის პავლე პოტიომკინს).

როგორც ეტყობა, ოსმალეთის ამგვარი პოლიტიკა შემდეგაც გრძელდებოდა. როცა საქართველოს რუსეთთან ურთიერთობას შევხებით, დავინახავთ, რომ იმერეთის მეფეები თავიანთ უთანხმოების დროს მუდამ უწყენებენ ოსმალეთის ჩარევას ამა თუ იმ მხარეზე. ბოლოს, როცა სოლომონ II გამეფდა და დავით გიორგის ძესთან პირობა შეკრა, თავდებად ორივე მხარეს ერეკლე მეფესთან ერთად დაუდგა სულეიმან ფაშაც, მაგრამ აქაც ოსმალეთმა თავის ჩვეულებას არ უღალატა. როგორც სოლომონ II-ის 1794 წ. ნოემბრის წერილიდან ჩანს, იმ წლის ბრძოლაში ახალციხის ფაშა დახმარებას უწყევდა არა სოლომონ II-ეს, არამედ დავით გიორგის ძეს, რომელმაც პირობა დაარღვია.



არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მეფეებსაც არ განუხრებელი ჩინოს ერთგვარი აქტივობა და უფრო კი განზრახვები სპარსეთის და ოსმალეთის წინააღმდეგ. აქტივობა მხოლოდ ერეკლე მეფემ გამოიჩინა: მან დაიპყრო განჯა და ერევანი და ხარკიც დაადგა მათ, მთელი აზერბაიჯანი კი მანამდე სპარსეთის ვაჟლენისა და მფარველობის ქვეშ იყო, თუმცა, როგორც ჩვენი საბუთებიდან ჩანს, იქ უფრო ხშირად და უფრო ინტენსიურად ოსმალეთი მოქმედებდა. უკმაყოფილება ერეკლე მეფის ამგვარ მოქმედებაზე ცხადად გამოთქმულია დარუბანდის ხანის ფეთხალი-ხანის მოლაპარაკებაში რუსეთის წარმომადგენელ ბატირეევთან და მისივე მოხსენებაში ეკატერინე II სადმი. (იხ. ზემოთ).

განჯის და ერევნის დაპყრობას ერეკლე მეფის მიერ სპარსეთის მთავრობა, ეტყობა, დიდად არ დაუფიქრებია. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ალა-მაჰმად-ხანის მოლაპარაკებაში ერეკლე მეფესთან პირველი სრულიად არ იხსენიებს განჯის და ერევნის უკანონოდ დაკერას. პირიქით, ამ ფაქტზე იგი მიუთითებს, როგორც ერთგვარ პრეცედენტზე ერეკლე მეფისათვის საქართველოს მოსაზღვრე სახანოების გადასაცემად. (იხ. ზემოთ).

ოსმალეთის საწინააღმდეგოდ კი საქართველოს მეფეები მხოლოდ თავიანთ განზრახვებს ატყობინებენ რუსეთის მთავრობას.

1782 სოლომონ II სთხოვს რუსეთის მთავრობას დაენმაროს მას ფოთის და ბათუმის დაბრუნებაში. (ცვია, 1782 წლ. საქმ. შეკვრა 121, გვ. 2).

1783 წ. დადებულ ტრაქტატის მეოთხე სებარატიულ მუხლში რუსეთის მთავრობა კისრულობდა, დახმარება გაეწია ერეკლე მეფისათვის, რომ უკანასკნელს დაებრუნებინა ის მხარეები და ადგილები, რომლებიც ძველადვე ეკუთვნოდა ქართლ-კახეთის სამეფოებს. თუ რა იგულისხმებოდა ამ ბუნდოვან სიტყვებში, ეს ჩანს ერეკლე მეფის 1782 წლ. წერილიდან. (ცვია, 1782 წ., შეკვრა 121, გვ. 20, 21). ამ წერილში ერეკლე მეფე თხოულობს, დაუბრუნდეს მას ახალციხე, რადგან ეს მხარე საქართველოს ნაწილია და იქაური მოსახლეობა ქართულად ლაპარაკობსო. იგივე თხოვნა, მხოლოდ შევსებული და უფრო განმარტებული, განმეორებულია ერეკლე მეფის დესპანის სულხან თუმანიშვილის წერილში გრაფ ბეზბოროდკოსადმი („ქართ. წერილები“ 1788—1791 წლ. გვ. 2). იქ ნათქვამია: რუსეთსა და ოტომანს შორის ხელშეკრულობის დროს ერეკლე მეფე თხოულობს, შეტანილ იქნას, როგორც ამას ტრაქტატი ჰგულისხმობს, რომ საათაბაგო, რომელიც ახლა უკირავს ოსმალეთს, დაუბრუნდეს სა-

ქართველოს: სამცხე და ჯავახეთი — ქართლ-კახეთს, ხოლო აქავე
ქობულეთი — იმერეთს, რადგან ძველადვე ისინი ამ სამეფოებს ეკუთ-
ვნოდნენო. ამ წერილის რუსული თარგმანი დაბეჭდილია ცაგარლის
მიერ (ტ. II, № 46). როგორც ეტყობა, საქართველოს მეფეების
სურვილებისა და თავის ვალდებულებათა ასასრულებლად რუსის
მთავრობა არამც თუ ოდნავადაც არა ცდილა, არამედ ყურადღებაც
არ მიუქცევია, ისინი დარჩენილან ყველასათვის საიდუმლოდ. ყოველ
შემთხვევაში, სულეიმან ფაშის იმ წერილში, რომელიც მან გაუგზავნა
პავლე პოტიომკინს თავის მოქმედების შესახებ (ცვია, 1785 მარტი.
შეკვრა 113 გვ. იხ. ზემოთ), იგი არაფერს ამბობს ერეკლეს ან სო-
ლომონის პრეტენზიების შესახებ. ამას კი, საფიქრებელია, მოიხსე-
ნიებდა, თუ კი მას ეცოდინებოდა საქართველოს მეფეების განზრა-
ხვანი.

საქართველოს მიწმებისა და მთავრების ურთიერთობა რუსეთთან

ბუნებრივია, რომ რუსეთთან ურთიერთობის შესახები ცნობე-
ბი მოსკოვის და ლენინგრადის არქივებში მეტად ბევრი იქნება,
თვით ის ფაქტი, რომ ყველა შემოსხნებული ცნობა მოთავსებუ-
ლია საქართველოს და რუსეთის ოფიციალური პირების წერილებში,
მოწმობს ამგვარ ურთიერთობას, მაგრამ აქაც განირჩევა ორი ხანა:
1762—67 წლები და 1782¹ წლიდან მოყოლებული. რამდენადაც
პირველ ხანაში ეს ურთიერთობა შენელებული ჩანს (იხ. შემოთ),
იმდენად 1782 წლიდან, ნამეტურ 1783 წლიდან, ე. ი. 1783 წლ.
ტრაქტატის დადების შემდეგ, იგი გაცხოველებულია. ჩვენ შემოთ
მოვიხსენიეთ ყველა ის ცნობა, რომელიც შენახულია პირველი ხანის
შესახებ, მეორე ხანის შესახებ კი მოვიხსენიეთ მხოლოდ ზოგიერთი:
იმერეთის მეფის თავადებისა და სამღვდელთების თხოვნა 1784 წ.,
რომ მფარველობა გაუწიოს რუსეთმა ახლად ამორჩეულ მეფეს და-
ვით გიორგის ძეს; იმერეთის მეფისა და ერეკლეს 1784—5 წლების
წერილები, რომლითაც ისინი ატყობინებენ რუსეთის მთავრობას
იმერეთის ამბებს, მეზობლების და ნამეტურ ახალციხის ფაშის ორპი-
რულ მოქმედებას და სხვ. მაგრამ, გარდა შემოსხნებული ცნობები-
სა, არის კიდევ აუარებელი საბუთი, რომლებიც შეეხება საქარ-
თველოს რუსეთთან ურთიერთობას. ამ საბუთებში, ისე როგორც
შემომოყვანილ წერილებში, საქართველოს მეფეები და მთავრები
ითხოვენ მფარველობას და როცა ამ მფარველობას ჰპირდებიან,
თხოვლობენ დახმარებას ჯარით და ფულის სესხებით.

გარდა ამგვარი წერილებისა, არის ისეთებიც, რომლებიც არ
ეხება ამ საკითხს, ასე მაგალითად:

1. მადლობას უთვლიან:

ა) მეფე სოლომონ I გენერალ ანშეფს²—რომ მას ებოძა ან-
დრია პირველწოდებულის ორდენი, ერეკლე მეფე—თ-დ პოტიომკინს,

¹ ცნობები 1768—1781 წლ. ჩვენ მიერ განხილულ საბუთებში არ არის.

² უნდა იყოს—რომან ვორონცოვი (იხ. კი დ-ის საქმე № 1762 № 1, გვ. 2).

რომ მას ებოძა ლენტი და ვარსკვლავი, ხოლო გიორგი შვილს—ალექსანდრე ნეველის ორდენი. ეს ორი უკანასკნელი ნიშანი ჩამოუტანია კაპიტან ბავდატ სოლოლაშვილს. (ცვია, 1782 წ. შეკვრა 121 გვ. 1, 25, 1769—71 წ. საქ. საქმ. გვ. 22).

ბ) სოლომონ I და ერეკლე თ-დს (პოტიომკინს), რომ რუსის მთავრობამ გამოგზავნა დოქტორი რეინგესი და კაპიტანი ზაგატოგოვი. ამასთანავე სოლომონი პირდება, რომ იგი ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩინს დოქტორ რეინგესს იმერეთში მოგზაურობის დროს (იქვე, გვ. 25, 4, 5).

გ) ერეკლე მეფე ეკატერინე II-ს, რომ მას შეატყობინეს ტახტის მემკვიდრის პავლეს ასულის მარიამის დაბადება. (იქვე, 1787 ქართ. საქმ. აღწ. 194, გვ. 19).

დ) ერეკლე მეფე თ-დს (პოტიომკინს), რომ იგი მფარველობას უწევს მის შვილებს. (იქვე, 1786 საქართ. საქმეები გვ. 2).

2. უგზავნიან საჩუქრებს:

ა) სოლომონ I გენერალ ანშეტს (რომან ვორონცოვი) თავის ხმალს, რომელსაც აგარიანების მრავალი სისხლი დაუქცევიაო. (იქვე, 1782, შეკვრა 121, გვ. 1).

ბ) ერეკლე მეფე და დარეჯან დედოფალი (პ. პოტიომკინს)—ცოლის შერთვის გამო. (იქვე, 1785, ნომბერი, შეკვრა 113 გვ. 553, 555).

3. სოლომონ მეფე სთხოვს თ-დ პოტიომკინს გამოუგზავნოს მას ოსტატები ზარბაზნებისა და საეკლესიო ზარების ჩამოსასხმელად, აგრეთვე დაუნიშნოს სახარჯო ფული ასტრახანის თერგის პოლკის ეფიმ მაკაროვს. (იქვე, 1782, შეკვრა 121, გვ. 8).

4. ერეკლე მეფე სთხოვს (პ. პოტიომკინს), მისცეს ნება მის მიერ გაგზავნილ თბილისელ სომეხს გრიგოლ ქეთხუდაშვილს, შეიძინოს ყოველწლივ ასტრახანში არტილერიისა და სხვა სამხედრო საჭიროებისათვის 1500 ფუთი გავლინული (прокатный) რკინა, რომ წამოიღოს ბაქოთი. (იქვე, 1785 წ. ნომბერი, შეკვრა 113, გვ. 554).

5. ერეკლე მეფე რეკომენდაციას უკეთებს თ-დ პოტიომკინის წინაშე ქართველ არქიმანდრიტს ანტონის, რომელიც გამოუგზავნია იერუსალიმის პატრიარქს რუსეთის გზით უშიშროებისათვის ღალის ასაღებად. (იქვე, 1787 საქ. საქმეები, გვ. 24—25).

6. დავით ბაგრატიონი სთხოვს თ-დს (პოტიომკინს), სამსახურში მიიღოს იგი (იქვე 1788—91 საქ. საქმეები, გვ. 6).

7. ბოლოს, კერძო წერილიც არის მოთავსებული ამ საქმეებში: ერეკლე მეფე და დარეჯან დედოფალი კურთხევას უთვლიან თავის



შვილებს ალავერდის მიტროპოლიტს ანტონის და პოლკოვნიკს რიანს. დარეჯანი ჰპირდება მირიანს, ვიშუამდგომლებ შენი თხოვნის შესახებო. (იქვე, საქ. საქმ. 1786 წ. ნოემბერი). რაში მდგომარეობდა ეს საქმე, რომელზედაც შუამდგომლობას პირდება დარეჯან დედოფალი მირიანს, არა ჩანს.

როგორც მოვიხსენიეთ, მფარველობისა და დახმარების შესახებ წერილები ჩვენ საბუთებში უამრავია.

1782 წ. დეკემბრის 21-ს ერეკლე მეფე უგზავნის რუსეთის მთავრობას „სათხოვარ პუნქტებს“, რომელსაც დართული აქვს მისივე წერილის ასლი 1771. წ. დეკემბრის 30-ს თარიღით. ასლი დამოწმებულია თვით ერეკლე მეფის მიერ შემდეგი წარწერით: „მის დიდებულების არზის კოპია, დაიწერა ქალაქსა თბილისსა დეკემბრის 30 დღეს, წელსა 1771 ამ თარიღის კოპია. ერეკლე“. 1771 წლის წერილი დაბეჭდილი აქვს ცაგარელს ქართულად. (Грамоты № 64) და მისი თარგმანი რუსულად (იქვე, ტ. I № 143), ხოლო 1782 წერილის მხოლოდ რუსული თარგმანი (ტ. II № 16), ცვია ში კი 1782 წლ. წერილის თვით დედანია დაცული. (შეკვრა 121, გვ. 27).

1782 წ. „სათხოვარ პუნქტებში“ ერეკლე თხოულობს, რომ როცა რუსეთს ოსმალეთან ან სპარსეთთან ომი არ ექნება, მათ ხელი არ უნდა ჰქონდეთ საქართველოზეო. ქართლი ყოველთვის ჩემი წინაპრების სამეფო იყო, ამბობს ერეკლე, ნადირ შაჰიმ აოხრებული ქვეყანა დატოვა, მე და ჩემმა მამამ იგი აღვადგინეთ, ოსმალები და სპარსელები რამდენჯერმე დავამარცხეთ, ერევანი და განჯა დავიპყარიო. თხოულობს, რომ მას და მის ოჯახს არ დაეკარგოს ამდენი შრომით აღორძინებული ქვეყანა და რომ ისეთ ჭკუაზედ ხელაღებულ კაცს, როგორც ალექსანდრე ბატონიშვილია¹, არ შეეძლოს არეულობა მოახდინოსო. თუ რუსეთს ოსმალეთთან ომი ექნება, ახალციხე და ყარსი უნდა დაბრუნებულ იქნეს; თუ რუსეთს სპარსეთთან ომი ექნება, კახეთის წართმეული ადგილები უნდა დაგვიბრუნდეს, და თუ ომი არ იქნა, საჭიროა გამოიგზავნოს ორი რეგულარული პოლკი ჯამაგირითო, სურსათს კი პირდება თვით ერეკლე²

¹ იგულისხმება ბაქარის ძე (იხ. ზემოთ).

² ღირსე წერილი როგორც 1771 წლის, ისე 1782 წლის ერთსა და იმავე თხოვნას შეიცავს და, საფიქრებელია, რომ იგინი გამოწვეული არიან: 1771 წ. წერილი ტოტლებენის და სუხოტინის მოქმედებით საქართველოში, 1782 წლ. წერილი კი ალექსანდრე ბატონიშვილის მოქმედების და მომავალი ტრაქტატის დადების გამო.

ერეკლე მეფე უთუოდ ფიქრობდა, თუ იგი შევიდოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ, ადვილი არ ექნებოდა რუსის გენერლების უხეშ მოქმედებას საქართველოში და არც ალექსანდრე ბატონიშვილისებურ პრეტენზიებს.



იმავე 1782 წ. დეკემბრის 21-ის ფარილით მეფე ერეკლე, ეტყობა თ-დ პოტიომკინის შეკითხვაზე, ატყობინებს მას¹, რომ იგი ყოველგვარად გულახდილად აცნობებდა უმაღლეს კარს, რა საქმეც კი მასა ჰქონდა. ახლა მტრისაგან შევიწროვებული იძულებული იყო მიემართნა რომის კეისრისათვის დახმარების მისაღებად, მით უმეტეს, რომ კეისარი მეგობრულ განწყობილებაში იყო ხელმწიფესთან. ამასთანავე უგზავნის კეისარისადმი გაგზავნილი წერილის და დესპანისათვის შედგენილი ინსტრუქციის ასლებს. სამივე ეს საბუთი დაბეჭდილია ცაგარლის მიერ. (რუს. ტ. II, 11, 12, 17), მხოლოდ ცვიაში შენახულია თვით ქართული ორიგინალები. 1782 წლ. შეკვრა 121, გვ. 17, 29, 30).

1783 წ. ივლისში დაიდვა ტრაქტატი ერეკლესა და ეკატერინეს შორის. ამ ტრაქტატით გამოწვეული წერილები მეფისა და ქაე-ქავაძისა მეტად ბევრია მოსკოვის ცვია-ში, მხოლოდ, რადგან უმთავრესი მომენტები ამ საკითხისა უკვე საკმაოდ გაშუქებულია ჩვენს მწერლობაში (ხელთუფლიშვილი, ავალიშვილი, ცაგარელი და აკად. ჯავახიშვილი), ჩვენ მხოლოდ ზოგადად შევეხებით ამ წერილების შინაარსს.

1783 წლ. ტრაქტატით რუსეთი პირდებოდა:

1. დაიცვას ერეკლეს სამფლობელო და ერეკლეს მტრები ჩარიცხოს თავის მტრებად (არტ. 2, 6); ოსმალეთთან მომავალი ზავის შეკვრის დროს, დაებრუნოს ერეკლეს ოსმალების მიერ წართმეული მხარეები (არტ. 2, 6, სეპარატ. არტ. 4, ივულისხმიება ახალციხის და ჯავახეთის რაიონები). ამ მიზნების მისაღწევად რუსეთს უნდა გამოეგზავნა ორი ქვეითი სრული ბატალიონი და 4 ზარბაზანი მუდმივად საქართველოში სამყოფებლად და მიეცა ნება კავკასიის ლინის მთავარსარდლისათვის—დახმარება გაეწია ომის დროს ერეკლესათვის (სეპარ. 2, 3 მუხლები). ერეკლეს შემდეგი თხოვნები სულ მხოლოდ ამ ორ საკითხზე და სესხის მიცემაზე იყო. ჯარი მართლაც გამოუგზავნეს, მაგრამ, ეტყობა, არა სრული კომპლექტი, რადგან ერეკლე მუდამ თხოულობს იმის შევსებას. ზარბაზნები და მისი მოწყობილობა არა სრულად ყოფილა გამოგზავნილი. სესხზე არავითარი დაპირება და პასუხი არ გამოუგზავნია რუსეთის მთავრობას; რაც შეეხება კავკასიის ლინის მთავარ სარდლებს, ისინი პეტერბურგიდან ხელახალი კატეგორიული ნების დაურთველად

¹ თ-დ პოტიომკინს მასშინ დავალებული ჰქონდა ეკატერინე II-საგან საქართველოს საქმეები, რის გამო ერეკლე მეფე დიდ კმაყოფილებას და მადლობას უცხადებს პოტიომკინს. (ცვია, იქვე, გვ. 24).

არ უწევდნენ ერეკლეს დახმარებას. ეს ნებართვა კი პეტროპოლისიდან არ მოდიოდა.

1784 წ. 15 თებერვალს, ერეკლე მეფე სწერს მის უდიდეს აღმატებულებას (თ-დ პოტიომკინს), განჯა კახეთის საკუთრებაა, წინანდელ შაჰებმა იგი მას ჩამოაცალეს, მაგრამ მან, იბრაჰიმ-ხანთან შეთანხმებით, იქ წესიერება დაამყარა. ახლა, როცა დაისმება საკითხი იბრაჰიმ-ხანის მთავრელობაში მიღებისა, საქართველოს უფლებანიუნდა იყოს მიღებული მხედველობაში. (ცვია, 1784 შეკვრა 111, მარტი გვ. 165). არის ცნობა, რომ თ-დ პოტიომკინმა აღძრა შუამდგომლობა, რომ განჯა შემოიერთებოდა საქართველოს (ცავრუს. ტ. II № 25), მაგრამ რა გზას დაადგა რუსეთის მთავრობა საბოლოოდ ამ საკითხში, არა ჩანს.

1784 წლის აპრილის ქალაქდებში ცნობაა, რომ ეოეკლეს დაუწესებია ფოსტა თბილისიდან ჩიმიდე¹ და შემდეგი ნუსხა დაუდგენია მგზავრათათვის: თბილისიდან სტეფან-წმინდამდე 13 მ., დუშეთიდან ცხაოტამდე—4 მ., ცხაოტიდან კობამდე—4 მ., კობიდან სტეფან-წმინდამდე 2 მ., სტეფან-წმინდიდან—ჩიმიდე—3 მ. (იქვე გვ. 249).

1784 წ. მაისის 10-ს ერეკლე მეფე სწერს ანტონ კათალიკოსს და მირიანს: ვარსევან ჭავჭავაძესთან ერთად ყოველი ღონე იღონონ, რომ იყოს გამოტანილი რეზოლუცია იმ თხოვნის შესახებ, რომელიც მან გაუგზავნა თ-დ პოტიომკინს. (იქვე 1787 ქართული წერილები“ აღწ. 194 გვ. 22, 23). საფიქრებელია, აქ ივულისსება ერეკლეს წერილი თ-დ პოტიომკინისადმი განჯის შესახებ. (იხ. ზემოთ).

1784 წ. მაისის 24-ს ერეკლე მეფე სწერს ტამარას, ჩემ უზრუნველსაყოფად საჭიროა დამეხმაროთ ჯარით და სესხითო. (იქვე, შეკვრა 111, გვ. 396).

1784 წ. ერეკლე მეფე სწერს მიხეილ ნიკოლოზის ძე ლეონტიევს:² ჩვენი შვილების ამბავი დიდიხანია არ მოგვსვლია, ამიტომ ახლა ვაგზავნით ზაზა სოლოღაშვილს და გთხოვთ დაუყონებლივ გაისტუმროთ პეტერბურგსო.

ამასთანავე ატყობინებს: როგორც ბურნაშევისაგან უკვე მოგხსენდათ და ჩვენც მოგახსენეთ, მტერი უკვე დაგვიახლოვდა, მისი

¹ ჩიმი—ოსების სოფელი ქალ. ორჯონიკიძესა (ვლადიკავკავი) და სადგურ ბალთას შუა.

² ამგვარი შინაარსის წერილი ერეკლე მეფეს შეეძლო გაეგზავნა ან პავლე პოტიომკინისათვის, ან მისი მოადგილისათვის. ბუტკოვის წიგნების საძიებელში აღნიშნულია ორი გენერალ-მაიორი ლეონტიევი: ერთი მიხაილ ნიკოლაევიჩი, მეორე სახელის აღუნიშნველად. უკანასკნელი, როგორც ეტყობა, პ. პოტიომკინის მოადგილეა (ბუტკ. III, გვ. 180). ამიტომ, საფიქრებელია, ორივე ეს ლეონტიევი ერთი და იგივე პირია.

წინა ჯარი ჩვენ ქვეყანაში ჩამოვიდა და ამიტომ ვთხოვთ, დახმარება აღარ დაგვიანოთ, ორი ცხენოსანი პოლკი გამოგზავნოთ გორც ვათეალისწინებულია „ტრაქტატიზიო“. (იქვე, 1784 ოქტომბერი, შეკვრა 113, გვ. 401).

1785 წ. ერეკლე მეფეს გაუგზავნია ჯარი განჯაში იბრაჰიმ ხანის მოთხოვნით, მაგრამ შემდეგ დაუბრუნებია, რომ ოსმალეთი დამეზობელი ხანები არ ჩარეულიყვნენ. ამავე დროს იბრაჰიმ ხანს უკისრნია განჯის „საქმის“ მოგვარება. (იქვე, 1785, შეკვრა 121, გვ. 16, 17, ერეკლე მეფის წერილი 25 აპრილის).

1785 წლ. ქალაქებში ქავჭავაძის წერილია: დიდი ხელმწიფის დაუხმარებლად დალისტნელებს არ შეუძლიათ დიდი ძალა შეკრიბონ, ითხოვს, ტრაქტატის ძალით ერეკლეს დაეხმარონ ჯარით და სესხით და გასცენ განკარგულება, ჰქონდეს კავკასიის ლინიის მთავარმართებელს უფლება საჭირო შემთხვევაში გაგზავნოს ჯარი საქართველოში პეტერბურგიდან წინასწარი ნების გამოუკითხავად. (იქვე, 1785, ოქტომბერი 15, შეკვრა 121, გვ. 143—148).

1785 წ. ოქტომბრის 14 ერეკლე მეფე მადლობას უთვლის პ. პოტიომკინს, რომ მან თანაგრძნობა გამოუტყხადა მას საქართველოს მდგომარეობის შესახებ. (იქვე, 1785, ნოემბერი, შეკვრა 113, გვ. 552).

1785 წ. ერეკლე მეფე მწუხარებით აღნიშნავს, რომ მას იმედი არა აქვს თავის ქვეშევრდომი ქართველებისა, განსაკუთრებით ქართლებს; ბევრ მათგანს ურთიერთობა აქვთ სულეიმან ფაშასთან და თუ რუსეთიდან მალე დახმარება არ მომივიდა, არ შემეძლება აღმოვფხვრა სრულად ამგვარი მდგომარეობა.

არქიმიანდრიტ გაიოზს კი განუცხადა, რომ უახლოესი მისი პირები უსაყვედურებენ მას რუსეთთან კავშირის შეკვრას და სთვლიან მას ახლანდელი მდგომარეობის შემქნელად. (იქვე, შეკვრა 113, ოქტომბერი, გვ. 385—387, წერილი ბურნაშევისა, აგვისტოს 19).

1785 წ. ერეკლე მეფე სწერს მის მაღალ უწარჩინებულესებას (Его Высочайшему превосходительству), ოსმალეთმა სპაოსეთი და დალისტანი უნდა აღძრას, ისინი ჩქარობენ, რაც შეიძლება მალე წარმოანთხიონ თავიანთი გესლი, და ითხოვს, აღთქმული მოწყალება მალე მოვიდესო. (მინაწერი აქვს რუსულად 1 июня 8, 1785 вь Тифлисе, იქვე, 1785 შეკვრა 113, გვ. 313).

1785 წ. ერეკლე მეფე სთხოვს თ-დ პოტიომკინს, ყურადღება მიექციოს ასეთ ძნელ დროს მისი შვილების და მინისტრების მოხსენებებს. (იქვე, 1785, შეკვრა 121, გვ. 56 წერილი 8 აგვისტოსი).

1785 წ. ერეკლე მეფე იწერება: უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დავკარგე განჯა, შამქორი და თვით შინაური მაჰმადიანები



განდგომას იჩენნო. ახალციხის ფაშა, თუმცა ზავზე ჰმართავს მკობელს პარაკებას, მაგრამ ეს სულ სიცრუეა. კავშირს კრავენ ახალციხის ფაშა, დაღისტანი, იბრაჰიმ-ხანი და ხოის-ხანი, ჩვენს ვაჭრებს იჭერენ და ცარცვავენ. ჩვენ ამას ყველაფერს გატყობინებთ, მაგრამ პასუხს არ ვლებულობთ. არქიმანდრიტი გაიოზი და მათორი გაბრიელ გოლეგოვი¹ გამოგზავნილ იყვნენ უმაღლეს კარზე, იმათგან არაფერი ისმის, არც ჩვენი შვილებისაგან და არც ჩვენი მინისტრისაგან. ბოძებული არტილერია აქამდე არ მივიღია. თუ ამ ზაფხულზედაც არ მივიღეო დახმარება, ჩვენ კეთილდღეობას ბოლო მოვღებო. (იქვე, 1785, „ქართული წერილები“, თარგმანებით, გვ. 20, 21). თუმცა ეს წერილი 1787 წლ. ქალაღდებშია, მაგრამ იგი უთუოდ 1785 წლის უნდა იყოს, რადგან შედგენილია „სამი წლის“ შემდეგ 1783 წლ. ტრაქტატისა. ამავე აზრის მოხსენება გარსევან ჭავჭავაძისა კი მოთავსებულია 1785 წლ. საქმეებში. (იხ. ქვემოთ).

1785 წ. (თარიღი არა აქვს) გარსევან ჭავჭავაძის მოხსენება: „საქართველოს დაკლება მტრობით მეზობლებთან იმ ჟამის შემდგომად, ოდეს საფარველს ქვეშ რუსეთისას შევიდა, ესე არს“.

1. განჯელები უკუღვნენ, ხარჯს აღარ აძლევენ მეფეს. მაჰმად ხანი, რომელიც წინათ განჯის ხანად იჯდა, მომკვდარა, მის მაგიერ რაიბეგი მოუყვანიათ.
 2. ერევნის ხანიც შფოთავს, თუმცა ჯერ არა გამოცხადებულად. ჩანს, დამოყვრებია ხოის ამად-ხანს და ხარჯიც ორი წელიწადია არ მოუტია.
 3. ეგრეთვე შამდინალა (ლა), ქურთების უფროსი, უარს ამბობს აღთქმული ხარჯის მოცემასზედ და მორჩილებაზედ.
 4. აგრეთვე აირუმი, მისი სინალლის მცირე პროვინცია, ერევნის მახლობელი და ოსმალეთის მესაზღვრე, არ ემორჩილება მეფეს.
 5. თვით საქართველოში მყოფნი მკვიდრნი მაჰმადიანნი, რომლებიც აქამდე ყოველითურთ ერთგულნი და მორჩილნი იყვნენ, შფოთვენ, რადგან ურჩობის გზები აღმოუჩნდათ, შემოხსენებულნი საქმეები დიდი ძალის დაკლებაა საქართველოსთვის.
 6. ახალციხის ფაშისაგან რამდენი სიკვდილით და დატყვევებით, პირუტყვის წარტყვევნით და აოხრებით საქართველოს დაკლება.
- შემოხსენებულნი ხალხი თვინიერ ახალციხის ფაშისა, მონანი და მორჩილნი იყვნენ მათის სიმალლისა, ახლაც შეუძლია მეფეს მა-

¹ ბუტკოვის სიტყვით, გაბრიელ გოლეგოვი (გალეგოსი) არტილერიის კაპიტანი თ-დ პოტიომკინმა 1784 წ. დააბრუნა საქართველოში (II გვ. 132). ჩანს, იგი ხელახლავ გაუგზავნია ერეკლეს პეტერბურგში.

თი დამორჩილება, მაგრამ იმათ ჰყავთ უდიდესი განმადლიერებელი (დამხმარე), რომელთ იმედით შვრებიან ამას. ასეთია ახალციხის ფაშა, რომელიც განცხადებულად მოქმედებს, მას მოყიდული ჰყავს დალისტნის და ქარის ხალხი. ყველა ამათი დამშვიდება, პასუხის გაცემა თვინიერ რუსეთის შემწეობისა, შეუძლებელია.

ვითხოვ, მიეწეროს სტამბოლში მყოფ რუსეთის ელჩს, აუკრძალოს ოსმალეთმა ახალციხის ფაშას საქართველოსადმი მტრობა, და თუ ეს შესაძლებელი არ არის, მოგვეცეს შემწეობა ჯარით, რომ ამ ზამთარს ქარზედ გავილაშქროთ, ამით ჩვენი დანარჩენი მეზობლები დაინახავენ, რომ ჩვენც გვყავს დიდებული მფარველი და ისინიც თავის საზღვარზედ დადგებიან.

უმაბლესად ვითხოვ მებრძანოს, შემწეობა გვებოძება თუ არა, თუ ჩვენი თავი ჩვენვე უნდა დავიცვათ. (იქვე, 1785, შეკვრა 121, გვ. 2).

1786 წ. ივლისის 31-ის წერილით ერეკლე მეფე უგზავნის რა აზრუმის ფაშის წერილის და მისი პასუხის ასლებს (იხ. ზემოთ) სთხოვს მის მაღალ მსვლელობას (პ. პოტიომკინს), საკმაო ჯარი დააყენოს ვლადიკავკაეში, რომ დროზედ შეეძლოს მას სათანადო პასუხი გასცეს აზრუმის ფაშას. გზავნის გიორგი ჩოლოყაშვილს. (იქვე, 1786, შეკვრა 114, გვ. 467).

1786 წ. აგვისტოს 6-ს ერეკლე მეფე, ატყობინებს რა მის მაღალ მსვლელობას (პ. პოტიომკინს), რომ ოსმალეთი უგზავნის აზერბაიჯანის და დალისტნის ხანებს ფულსა და საჩუქრებს (იხ. ზემოთ), სწერს: შაჰაბაზის შემდეგ ასეთი გასაჭირი საქართველოს არასოდეს დადგომია. ამას ნუ ინებებთ, რომ პეტერბურგიდან კიდეც ამბავს (ნებას) მოუცადოთ. როგორც პირობების (ტრაქტატის) წიგნში წერია, ისე უნდა აღსრულდეს, ნურავის ათქმევინებთ, რომ დიდი ეკატერინეს დროს რუსეთის შეერთების მიზეზით საქართველო დაიქცაო. თუ საქართველოს დაქცევით რუსეთს რაიმე შესამატი ექნება და ხელმწიფის სათნოა, როგორც თქვენი ნება იქნეს, ისე მოიქეცით. გათიცებ ოთხსა ცხოველს, სწორედ შემატყობინე, რომ ამდენს ქრისტიანეს ამ ერთის დაწერილით (ტრაქტატით) არა ევნოს რა. რაც შარშან და შარშანწინ დააკლდათ, ისიც საკმაოა ამ შეწუხებულისა და მცირე ერისათვის. როდესაც სნეულია კაცი, მაშინ დაიკვნესებს, ამიტომ ამისთანა ლაპარაკისათვის ნუ დამემდურებით, რა ვქნა, მე ბევრის იმედი მქონდა თქვენგან და კიდევაც მაქვს. მაშვისთან მივიდე, ვის გამოფუცხადო ჩემი ტკივილი?! ოსმალეთთან მივიდე, შემიწყნარებენ? დალისტნელებთან მივიდე, მიმიღებენ?

პროვიანტის, იქნება, თქვენ მოგხსენდათ, აქ არ იშოვებოდა ტოტლებენის ექვსი ათასი ჯარი მხოლოდ ქცხინვალის ხეობაში ნახა, ისინი თავისი ფასით ყიდულობდნენ; მე თავდები ვარ, რამდენი ჯარიც აქ იქნება, პროვიანტი საკმაო ექნება. (იქვე, 1786 წ. აღწ. 194 გვ. 472).

1786 წ. სექტემბრის 22 წერილით ერეკლე მეფე, უგზავნის რა თავადს (გრ. პოტიომკინს) სულეიმან ფაშასთან დასაადებ ხელშეკრულების პროექტს (იხ. ზემოთ), სწერს:

თუ ეს პირობა დადებული იქნება, მაშინ ტრაქტატის მიერ დაპირებული სამი ათასი ქვეითი, ხუთასი ცხენოსანი ჯარი საკმაო დანარჩენ მეზობელთა მოსაგებლად, მხოლოდ ეს ჯარი მუდამ უნაკლულად უნდა იმყოფებოდენ საქართველოში.

თუ ეს პირობა ვერ დაიდო, მაშინ ზემოხსენებული რიცხვი ჯარისა საკმაო არ იქნება, ახალციხის ფაშამ პირველი კაცის ქაპია ბეგის პირით წინადადება მომცა ოსმალეთს, მიგვედლებოდი. (იხ. ზემოთ). ბეგს მოწყალებასაც დამპირდა, მაგრამ ამაზედ მე უარი ვუთხარი.

ამიტომაც, რომ გთხოვთ, რათა, ტრაქტატის თანახმად, მიეცეს ბრძანება ჩვენ საზღვარზე მდგომარე ჯარის მთავარსარდალს კარზედ მოუხსენებლად მოგვეცეს დახმარება, როცა ჩვენ განსაცდელი მოგველის.

გარსევან ჭავჭავაძისაგან მივიღე ცნობა, რომ მისი მოხსენება მიღებულია, მაგრამ რადგან აქამდე რეზოლუცია ამის შესახებ შეჩერებულია, მე შევიქენი მტერთაგან საცინი რუსეთის მფარველობის მიღების გამო და ჩემი მტრებიც მეტად გაკაღნიერდნენ. (ცვია, 1786, „ქართული წერილები“, გვ. 5)¹.

1786 წ. სექტემბრის 24 გიორგი ბატონიშვილის წერილია გრიგოლ ალექსის ძე პოტიომკინისადმი. სთხოვს—არ მოაკლოს მფარველობა. (იქვე, 1786 „ქართ. საქმ.“ გვ. 4)

1786 წ. ნოემბერი (რიცხვი არა აქვს) ერეკლე მეფე და დარეჯან დედოფალი ავალებენ შვილებს, ანტონს და მირიანს, შეიტყონ ლევ ალექსანდრეს ძის საშუალებით² პოტიომკინისაგან, რა შედეგი მოყვა მათ თხოვნას. (იქვე, 1787 წ. აღწ. 194, გვ. 34). რომელ თხოვნას ეხება ეს წერილი, გამოურკვეველია.

¹ ამგვარივე თხოვნა გადაუცია გარს. ჭავჭავაძეს ოსტრმანის მიერ გაგზავნილ ლაშქარაშვილისათვის (ლაშქაროვი) და იმასაც მოყვანილი აქვს თავის 1786 წ. დეკემბრის 14-ის რუსულ მოხსენებაში (იხ. ცაგარლის ტ. II, გვ. 38). ოსტრმანი ივანე ანდრეას ძე, კი დ-ის წევრი.

² ლევ ალექსანდრეს ძის ვინაობა გამოურკვეველია.

1786 ნოემბრის 12, გარსევან ქავჭავაძე აცნობებს თ-დ პოტიომკინს, რომ მასთან იგზავნება კურიერი არტილერიის მაიორი რიელ პავლეს ძე. (იქვე, 1786 „ქართ. საბუთ“, გვ. 3). შესაძლებელია ეს ის გაბრიელ გოლეგოვია, რომელზედაც ზემოთ არის ცნობა.

1786 წლის ქალაქებში („ქართულ საბუთებში“) წერილებია ერეკლე მეფისა (გვ. 1) და გარსევან ქავჭავაძის (გვ. 8—9), რომ ვაუშვან ქავჭავაძე რამდენიმე თვით მაინც საქართველოში.

იქვე არის უცნობი პირის თხოვნა (თ-დ პოტიომკინისადმი): გაუშვან იგი საქართველოში (გვ. 7). ეს არ უნდა იყოს გარსევან ქავჭავაძის წერილი, რადგან მას მიზეზად მოყავს თავისი მოხუცებულობა და ავადმყოფობა. ამასთანავე, თუმცა თხოვნა ქართულად არის დაწერილი, მაგრამ ხელის მოწერა არაბულია.

1787 მაისის 25, ერეკლე სთხოვს თ-დ პოტიომკინს: 1) ალაგმონ ოსმალეთი, 2) მიეცეს 3000 ჯარისკაცი, 3) მიეცეს სესხი გადასახადების აკრეფამდე, 4) თუ მტერი შემოესევა, მიეცეს ზედმეტი შემწეობა კიდევ, 5) მთავარსარდალს მიეცეს უფლება, კარის დაუკითხავად დაეხმაროს. (იქვე. 1787 აღწ. 194, გვ. 20, 21).

1787 წ. მაისის 29, ერეკლეს არ სჯერა სულეიმან ფაშის გულწრფელობა, ერეკლემ არ იცის სურვილი რუსეთისა, ამიტომ ისიც ასე მოქმედობს. (იქვე, 1787, აღწ. 194, გვ. 24).

1787 წ. ერეკლე სთხოვს ეკატერინეს, დაიცვას იგი ოსმალეთისაგან და ყურადღება მიაქციოს მის 25 თარიღის წერილს პოტიომკინისადმი. (ცვია, ქართ. საქმ. 1787 გვ. 18).

1787 წ. აგვისტოს 18-ს ერეკლე სწერს (პ. პოტიომკინს): ნუ დაკმაყოფილდებით წერილებისა და კაცების გზავნით ახალციხის ფაშასთან¹; მომეხმარეთ ჯარით, სახელდობ გამომიგზავნეთ ყაზახების ორი პოლკი—ორი, ან ორ-ნახევარი თვით, შეეცხეთ ორი ბატალიონი, რომელსაც აკლია 200 კაცი, აგრეთვე გამოგვიგზავნეთ დანარჩენი ზარბაზნები. ამას გარდა, ლეკებზე დახარჯული მაქვს 100 ათასი მანეთი. სულ ამ ფულს არ ვითხოვ, მაგრამ რაღაც დახმარება მაინც უნდა გამეწიოს. ამასთანავე ატყობინებს, რომ ახალციხეში კაცები გავგზავნე არა როგორც ამანათები, არამედ როგორც საქართველოს საქმეების მეთვალყურენი („საბუთები ქართ. ენაზე“ 1787 წ. გვ. 372).

1788 წ. მაისის 6/5 ერეკლე მეფე კურიერ სულხან თუმანიშვილის ხელით უგზავნის თ-დ პოტიომკინს წერილებს, სადაც სთხოვს:

¹ ჩვენ საბუთებში მხოლოდ ერთი პასუხია სულეიმან ფაშისა პ. პოტიომკინის წერილზე (იხ. ზემოთ). ერეკლე მეფის ამ წერილიდან ჩანს, რომ პ. პოტიომკინს კიდევ უგზავნია არა ერთი წერილი ფაშისათვის.

1. რადგან იმერეთმა, ოდიშმა და გურიამ მასთან ხელშეკრულება დასდევს, ამიტომ საჭიროა რუსეთი დაეხმაროს მას უფრო მეტი ჯარით.

2. ოსმალეთთან მომავალ ხელშეკრულებაში უნდა შეტანილი იქნას, რომ დაუბრუნდეს საათაბაგო, სახელდობრ ახალციხის პროვინცია ქართლ-კახეთს, ხოლო აჭარა—იმერეთს. თუ ეს არ მოხერხდება, ოსმალეთმა უნდა აუნახლაუროს ერეკლეს მისგან მიყენებული ზარალი.

3. ალა-მაჰმად-ხანი, რომლის დესპანი ახლა რუსეთშია, დიდი ჯარით მიუახლოვდა ქართლს და უნდა დაეცეს, ამიტომ ითხოვს, დაეხმაროს ჯარით, ან ფულით.

4. ნაწილი იმ არტილერიისა, რომელიც ეწყალობა მას, აქამდე დარჩენილია რუსეთში; ითხოვს გაუგზავნოს. (იქვე „ქართული წერილები“ 1788, 1789, 1790, 1791, გვ. 2). ცვია -ს ქალაქებში დედანია, მისი რუსული თარგმანი დაბეჭდილია ცაგარლის მიერ (ტ. II რუს. № 46), მხოლოდ თარგმანი მიმართულია ბეზბოროდკოსადმი და დათარიღებულია არა მაისის 6, არამედ მაისის 22.

ცაგარლის მიერ დაბეჭდილია თვით სულხან თუმანიშვილის მეორე უფრო ვრცელი წერილის თარგმანი, სადაც იგი თხოვნას ასე ასაბუთებს (იქვე № 47—მაისის 22. ამ წერილის დედანი ცვია-ში არ ჩანს):

1. ზავის შეკვრის დროს რუსეთმა აიძულოს ოსმალეთი არც თვითონ მან, არც სხვისი ძალით, არც განცხადებულად და არც ფარულად არ მიაყენონ ზიანი ქართლს (საქართველოს).

2. გააორკეცოს რუსეთმა საქართველოში მყოფი რუსის ჯარი და, თუ ეს არ შეიძლება, იგივე (უკვე დანიშნული) ჯარი შეიყვანოს ქართლში იმ პირობით, რომ სურსათს ერეკლე მისცემს საგეგმო ფასით (по справедливым ценам), სანამ აოხრებული ხალხი მოლონიერდება, შემდეგ კი ფასი დაკლებული იქნება.

3. თუ კი სპარსეთის აზერბაიჯანში მისი უმაღლესობის წინააღმდეგ ვინმე ბოროტებას განიზრახავს, რუსეთმა და ოსმალეთმა დაუყონებლივ იგი უნდა ააცილოს.

4. მის უმაღლესობას შეურკვეველი რწმენა აქვს, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა ზავის შეკვრის დროს მას დაუბრუნდება ყველა ის ზარალი, რომელიც მას მიაყენეს ოსმალეთმა და სულეიმან ფაშამ.

5. მისი უმაღლესობა თხოულობს ფულით დახმარებას, რადგან ზოგიერთა სოფლები დაკარგა და ხალხიც მეტად აოხრებულია, რისთვისაც მან მისცა ხალხს გადასახადების შეღავათი სამი წლის ვადით.

6. ოსმალეთი ყოველ ღონეს ხმარობს დაიპყროს, ან ააოხროს ქართლი.

თუ რაიმე სხვა გზას გამოიხატავთ ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად, ნუ აყოვნებთ, რომ საქართველომაც საჭირო ღონე იღონოს.

არავითარი პასუხი ან განკარგულება ამ თხოვნების შესახებ ჩვენ საბუთებში არა ჩანს, მხოლოდ 1793 წ. 30/V რუსეთის სამხედრო საბჭომ გამოიტანა შემდეგი დადგენილება. (ცავარ. რუსულ. II, № 59).

საბჭომ წაიკითხა მეფე ერეკლეს წერილი მისი შვილი მირიანისადმი, სადაც იგი თხოულობს ალა-მაჰმად ხანისაგან დაცვას და დარჩენილი არტილერიის გაგზავნას. საბჭომ გაითვალისწინა, რომ მეფე ერეკლე ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის და რომ მისი, ერეკლეს, და ალა-მაჰმად-ხანის საქმეები ოსმალეთს არ ეხება, ხანი კი რუსეთთან განწყობილებას არ იჩენს, პირიქით, ძალით ძლიერდება სპარსეთში, დაიჭირა უკვე ისპაანი და ავიწროებს ჩვენდამი კეთილგანწყობილ ქრისტიანებს, დაადგინა: გაუგზავნოს მიწერილობა გუდოვიჩს, როგორც სპარსეთის მოსაზღვრე მხარის უფროსს, რომ მან, თუ კი ალა-მაჰმად-ხანი ნამდვილად ზრახავს დაეცეს ერეკლეს სამფლობელოს, დააიმედოს უკანასკნელი ხელმწიფის მფარველობაში და სათანადოდ შეაგონოს ალა-მაჰმად-ხანს, რომ იგი, გუდოვიჩი, ამგვარ მის მოქმედებას გულგრილად ვერ შეხვდება, და ამიტომაც გუდოვიჩმა ღონე იღონოს, როგორც იგი დაინახავს საჭიროდ ადგილობრივი პირობების მიხედვით, წააქეზოს მეზობელი ხანები—საერთო ძალით წინააღმდეგობა გაუწიონ მათ მოპირდაპირეს და მასთანავე დაეხმაროს, რამდენადაც შეიძლება, მათ და თვით მეფეს, ერიდოს ბევრ ხარჯს და დავიდარაბას. ამასთანავე საბჭომ დაინახა საჭიროდ, მიეცეს ნება გუდოვიჩს, გაუგზავნოს ერეკლეს არტილერიის დარჩენილი ნაწილი, თუ კი ნაწილი აღთქმისამებრ ერგება ერეკლეს.¹

სინამდვილეში კი არც ეს ბუნდოვანი განკარგულება ასრულებულა, გუდოვიჩს არავითარი დახმარება არ გაუწევია ერეკლესათვის და არც დარჩენილი არტილერია გაუგზავნია.

რუსეთის მთავრობის გულგრილობა და გუდოვიჩის უმოქმედობა 1783 წლ. ტრაქტატის აღსრულებაში უფრო ნათლად ჩანს მეორე საბუთში, გუდოვიჩის წერილში, რომელიც მიუწერია მას ახალი

¹ ანხ. ნ. ბერძენიშვილის ცნობით ეს არტილერია ერეკლესი იყო, მის მიერ რუსეთში შეკვეთილი.



უფროსის რუმინანცევისადმი 1795 წელს 2 ოქტომბრის შემდეგ. წერილის მთავარი მომენტები გუდოვიჩს აქვს მიწერილი ეკატერინე II-სადმი (ცაგარ. რუს. II № 68, 82, 89, 90) და ზუბოვისადმი (იქვე № 84), მაგრამ რუმინანცევისადმი მიწერილში არის ისეთი დეტალები, რომლებიც ზემოაღნიშნულ წერილებში არ არის. რუმინანცევისადმი გაგზავნილი წერილი დატულია ცვი ან არქივში. (საქმე № 288, გვ. 67—74) და აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა.

ალა-მაჰმად-ხანი, —წერს გუდოვიჩი, —ლიუტფალის დამარცხების შემდეგ, შეუდგა საქართველოზე გალაშქრებას, შეშინებულმა ერეკლემ, რომელსაც მხოლოდ შუშის ხანი იბრაჰიმი უჭერდა მხარს, დახმარება მოხოვა, მაგრამ მე ნება არა მქონდა და ეს მოვახსენე ხელმწიფეს 7 მაისს, ერეკლეს კი ვურჩიე კავშირი შეკრას აზერბაიჯანის ხანებთან და საზღვრები გაამაგროს.

ავვისტოს დამლევს კიდევ მოხოვეს ერეკლემ და სოლომონმა ჯარი, რადგან ალა-მაჰმად-ხანი მეტად ემზადება საქართველოზე გასალაშქრებლად. მე ხელახლა ვურჩიე ერეკლეს: მიიღოს ზომები საზღვრების დასაცავად და რომ სოლომონი ვალდებულია მიეშველოს მას საზღვრების დაცვაში, როგორც იგი დაეხმარა სოლომონს ტახტის დაჭერაში. ეს ყველაფერი მოვახსენე ხელმწიფეს 2 ავვისტოს და გამოვითხოვე ბრძანება. 12 ენკენისთვეს მივიღე მეფე ერეკლესა და სოლომონისაგან 29 ავვისტოს გამოგზავნილი წერილი, სადაც ისინი მატყობინებდნენ, რომ ალა-მაჰმად-ხანს ნამდვილად უნდა დააქციოს საქართველო, უკვე აიღო განჯა, ალყა შემოარტყა ერევანს და რომ ორივე ისინი ქართლის საზღვარზე არიან, მაგრამ ცოტა ჯარი ჰყავთ, თხოულობდნენ ჯარს, რაზედაც მე ნუგეში მივეცი (ინიძრჲა), ვურჩიე სოლომონის და შუშის ხანის ჯარებთან შეერთებული ძალით წინ აღუდგეს ალა-მაჰმად-ხანს, მივწერე ავარიის ხანს, რომელსაც აზრად ჰქონდა ლეკებით დაცემოდა საქართველოს, შეჩერებულიყო და კიდევაც შეჩერდა. ყველაფერი ეს მოვახსენე ხელმწიფეს 13 ენკენისთვეს და დაუმატე, რომ ალა-მაჰმად-ხანმა შეაშინა არა თუ ხანები, არამედ ერეკლე მეფეც, გარდა შუშის ხანისა, და რომ ერეკლეს არასაიმედო განკარგულებების მიხედვით საქართველო მართლაც შეიძლება საშიშროებაში ჩავარდეს. 23 ენკენისთვეს დარეჯან დედოფლის წერილი მივიღე, რომ 10 ენკენისთვეს ალა-მაჰმად-ხანმა თბილისს ალყა შემოარტყა, რომ იგი, დედოფალი, თბილისიდან გავიდა და რომ ერეკლე და სოლომონი თბილისის კარზე დგანან და ძლიერ თხოულობდა, მივშველებოდი ჯარით. ვინც ის წერილი მოიტანა, იმან მითხრა: ალა-მაჰმად-ხანის მოახლოების დროს ქართველებმა ძლიერ ცოტა წინააღმდეგობა გა-

უწიეს, დაიხიეს უკან, თუმცა ადგილის მდებარეობა მათ ხელს უწყობდა და შეეძლოთ მცირე დაცივთაც შეეჩერებინათ მტერი. ერეკლემ ამით არ ისარგებლა, იმერეთის ჯარის უმეტესმა ნაწილმა კი, როცა დაინახეს, ომი არ მოისურვეს, წავიდნენ ცარცვა დაუწყეს იმათ, ვინც დედოფალს გამოყვა თბილისიდან. ალა-მაჰმადხანმა გადასწყვიტა თბილისში შესვლა მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაიგო ქართველების შინაური არეულობა და უთანხმოება. ქართველების ჯარში იყო არა უმეტეს 1500 კაცისა. არა თუ ქვეშევრდომები არ ამოუდგნენ, არამედ ზოგიერთნი ბატონიშვილიც წავიდნენ; რადგან ნება არ მქონდა ჯარი გამეგზავნაო, — უმატებს გულდოვიჩი, — მე იმავე დღეს მოვახსენე ხელმწიფეს, ისიც მოვახსენეო, რომ იმედი არ მაქვს ასეთ მდგომარეობაში თბილისი გადარჩეს დალუპვას-მეთქი.

27 ენკენისთვის მივიღე ერეკლე მეფის წერილი 14 ენკენისთვის გამოგზავნილი. შწერს: ალა-მაჰმად-ხანმა 10 ენკენისთვის აიღო თბილისი და მე იძულებული ვიყავ წავსულიყავ მთებშიო. მთხოვდა ჯარს 10-12 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მოლაპარაკება დავიწყო ალა-მაჰმად-ხანთან, რომელიც ამის შესახებ წინადადებას იძლევაო.

მე დაეუსახელე ყველა ის შეცდომა, რაც სდევდა მის მიერ გაცემულ განკარგულებებს და თბილისის დაცვის საქმეს და დავარწმუნე, — იმედი მაქვს მალე მივიღებ ბრძანებას ჯარის გამოგზავნისას-მეთქი. ვუორჩიე ალა-მაჰმად-ხანთან (საბოლოო) პირობას ნუ დასდებ, არამედ ეცადე დრო მოიგო-მეთქი. ეს ყველაფერი მოვახსენე ხელმწიფეს 28 ენკენისთვის. 1 ოქტომბერს მივიღე უმაღლესი ბრძანება, რომ გავგზავნო ორი ბატალიონი რამდენიმე ზარბაზნით და, თუ საჭირო იქნება, ოთხი ბატალიონიც ისე, რომ ჯარი ტყუილ-უბრალოდ არ დაშავდეს¹. მას შემდეგ გარემოება გამოიცვალა. თბილისი და მისი უმეტესი ნაწილი უკვე ალა-მაჰმად-ხანის ხელშია, რაზედაც გამოქცეული თბილისელები თვითონ ჩივიან, რომ მათ თვითონ შეეძლოთ დაეცვათ თბილისი, მაგრამ ამისი ბრძანება არ იყოო. გაგზავნილმა ობერკვარტირმეისტერმა კი მაცნობა, გზა ყოვლად უხერხულია, რამდენიმე ადგილას 5 ვერსის სიგრძეზე ზარბაზნები უნდა დაირღვეს და ისე ხელით უნდა გადაიტანონო, პროვიანტის შოვნა ახლა, რაკი

¹ აქ უთუოდ იგულისხმება ის რესკრიპტი, რომელიც განუხილავს უმაღლეს საბჭოს სექტემბრის 3-ს და რომელზედაც არის მითითება იმავე საბჭოს დადგენილებაში 18 ოქტომბრის თარიღით. (ცაგ. რუს. № 91).

ქართლის უმეტესი ნაწილი ალა-მაჰმად-ხანის ხელშია, — შეუძლებელია ამ მდგომარეობაში ჯარის გაგზავნა უბრალო დივერსია იქნება. შევეცდეთ ერთხელ ვერცხვს, შეუძლია მას თუ არა პროვიანტის და ფურაჯის მოგროვება ჯარისათვის. დაგვეზარება თუ არა გზების შეკეთებაში, რამდენი შეიარაღებული ხალხი შეგროვდა მასთან და დაიწყო თუ არა მან მოლაპარაკება ალა-მაჰმად-ხანთან? როცა ამის პასუხს მივიღებ, თუ ჯარს რაიმე საშიშროება არ მოელის, ყოველ ღონეს ვიღონებ გავგზავნო ნაბრძანები ჯარები და არტილერია, აგრეთვე ამ საქმეში მონაწილეობა მივალებინო ხანებს, ამიტომ ხელმწიფეს მოვახსენე, — ინებებს თუ არა იგი, რომ გაზაფხულის დამდევსავე გავგზავნო მცირე ჯარი მთებით საქართველოში და უმეტესი წილი, ანუ 12 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 30 ესკადრონი დრაგუნი, 10 საველე არტილერიის იარაღი გავგზავნო სპარსეთისაკენ, კასპიის ზღვის ნაპირებით. მაშინ საქართველოში მცირე ჯარიც საკმაო იქნება. ხანებიც მაშინ ჩვენ მოგვეზარებიან.

გუდოვიჩს აქ გამოუტოვებია, რომ 13 სექტემბრის მოხსენებაში ხელმწიფისადმი იგი ატყობინებდა საქართველოს საშიშროებაში ყოფნას, მაგრამ ამასთანავე ადასტურებდა, რომ ნოემბრამდე მთებზე გადასვლა თუმცა ძნელია, მაგრამ შესაძლებელიაო. (ცავ. რუს. II, № 82).

მეორე მოხსენებაში კი, რომელიც აღნიშნულია ამ წერილში და გამოქვეყნებულია ცაგარლ. Грамоты-ში ტ. II, № 90), იგი სრულიად შეუძლებლად თვლიდა ჯარის გაგზავნას მომავალ გაზაფხულამდე, გზების უხეირობისა და ცუდი ამინდების გამო. ყველა ეს მოტივი და გაფრთხილებანი მეტის-მეტად ცუდ და არასერიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებენ, რაც მტკიცდება იმითაც, რომ იმავე 1795 წლ. დეკემბერში გუდოვიჩს, საფიქრებელია, პეტერბურგიდან, ახალი განკარგულების თანახმად, გამოუგზავნია ორი ბატალიონი, რომელსაც სრულიად დაუბრკოლებლივ გადმოულახავს კავკასიის მთები, თუმცა ამ ხნის განმავლობაში გზებიც არ შეკეთებულა და ბუნებასაც თავისი სიმკაცრე არ შეუხუსტებია. (ცავ. რუს. № № 96, 100.).

ამგვარად, ერთი მხრივ პეტერბურგის მთავრობის მუდმივი მიყრუება ერეკლეს თხოვნებისა და გუდოვიჩის მოხსენებებისა, მეორე მხრივ ამ უკანასკნელის მიერ აუსრულებლობა თუნდაც სამხედრო საბჭოს 1793 წლის დადგენილებისა იყო იმის მიზეზი, რომ ერეკლე მეფემ ტრაქტატის ძალით მოთხოვნილი დახმარება ვერ მიიღო და იგი იძულებული იყო მხოლოდ თავისი და სოლომონ მეფის



ჯარებით შებრძოლებოდა, როგორც რიცხვით, ისე ტექნიკით. ტად ძლიერ მტერს. ამას დაემატა, როგორც ჩანს, ის გარემოება, რომ ზოგიერთი ბატონიშვილი, უკმაყოფილონი ერეკლე მეფის ასეთი უშედეგო რუსული ორიენტაციით, გულგრილად შეხედნენ ამ უპედურობას და უფრო თავის-თავზე ფიქრობდნენ, ვიდრე სამეფოს დაცვაზე.

რაც შეეხება თბილისიდან გაქცეული მოქალაქეების სიტყვებს, რომ ერეკლე მეფემ სათანადო უნარი ვერ გამოიჩინა და საკირო განკარგულებანი ვერ გასცაო, ამგვარი ცნობის სიყალბე მტკიცდება მათივე ტრაბახით, თითქოს თვით მათ, მოქალაქეებს, შეეძლოთ ალა-მაჰმად-ხანთან გამკლავება, მხოლოდ ეს ვერ მოახერხეს, იმიტომ რომ ამის შესახებ ბრძანება არ იყო გამოსული ერეკლესაგანო.

უნდა ითქვას, რომ თბილისელ მოქალაქეთა ტრაბახობაზე მხოლოდ რუმინანცევისადმი მიწერილ წერილშია ნათქვამი, წინათ კი, არც 23 სექტემბრის, არც 28 სექტემბრის მოხსენებაში (ცაგ. რუს. № № 89, 90), სადაც გუდოვიჩი დაწვრილებით წერდა ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღებაზე და ერეკლე მეფის „არა სათანადო“ განკარგულებაზე, ამაზე სატყვაც არ არის დაძრული; პირიქით, იმ წერილებში გუდოვიჩი თბილისის მოქალაქეებს ბრალს სდებდა, რომ ისინი მის მაგიერ, რომ ერეკლეს მოხმარებოდნენ, გარბოდნენ თბილისიდან. ამიტომ საფიქრებელია, ეს ნაწილი რუმინანცევისადმი გაგზავნილი წერილისა, გუდოვიჩის მიერაა შეთხზული, რომ გაემართლებინა თავისი მოქმედება და ეჩვენებინა რუსის მთავრობისათვის, რომ ერეკლე მეფეს დაუხმარებლადაც შეეძლო ალა-მაჰმად-ხანის მოგერიება, თუ კი ის სათანადო ზომებს მიიღებდაო.¹

¹ ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ქართველები თავის უნის რუსეთის უახლოეს წარმომადგენელზე, გუდოვიჩზე, იყრიდნენ. დავით ბატონიშვილის სიტყვით (იხ. მისი და მისი ძმების ისტორია, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, გვ. 46), ქართველები გუდოვიჩის უმოქმედობას ხსნიდნენ მით, რომ იგი ალა-მაჰმად-ხანისაგან საჩუქრებს ღებულობდა და ამიტომ არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდაო. გუდოვიჩის ანგარება თვით რუსეთის საზოგადოებაშიაც იყო ცნობილი. აი როგორ აზასიათებს მას უცნობი პირის ერთი ხელთნაწერი, დაცული მოსკოვის საისტორიო მუზეუმის (ყოფ. ალექსანდრე III-ის მუზეუმი) არქივში (№ 378/144 № 52720 „რუმინანცევის კრებული“):

„სიტუტუცე, სიტუნწე, გაუმადარი ანგარება გუდოვიჩების გვარის ზედრია... პოტიომკინის შემდეგ ხაზზე უწესობის და ყოველგვარ არაკეთილის... აღმადგენლად შეიძლება დასახელებულ იქნას გუდოვიჩი. გუდოვიჩს განაგებდნენ ლაბა და ტიტოვი. პირველი მისი ჭკუა იყო და განაგებდა ყველაფერს, მეორე აკმაყოფილებდა (ატკაბობდა) მის სურვილებს. გუდოვიჩი ცხოვრობდა პირუტყვივით და უწვავდა ცარცვა-გლეჯა“.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ სოლომონ I-ის თხოვნა რუსეთისადმი, დახმარებოდნენ მას ფოთის და ბათუმის დაბრუნებაში.

აგრეთვე იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის, თავადებისა და სამღვდლოების წერილები, რომლებშიაც ისინი ერთგულებას უცხადებენ რუსეთის მთავრობას, სთხოვენ მფარველობას და დახმარებას. ამასთანავე გზავნიან დესპანებს, რომლებიც ჩავიდნენ პეტერბურგში 1784 წლის დეკემბრის ოციან რიცხვებში.

დესპანები მიღებულ იქნენ ეკატერინე II-ის მიერ 29 დეკემბერს. (ცაგ. რუს. № 31). ძათი მოქმედების შესახებ მხოლოდ შემდეგი ცნობაა:

1785 წ. ივლისის 8-ს ზურაბ წერეთელი ვრცელ წერილობით მოხსენებას უკეთებს თ-დ პოტიომკინს იმის შესახებ, თუ რა სარგებლობა შეუძლია ნახოს რუსეთმა, თუ იგი თავის მფარველობის ქვეშ მიიღებს იმერეთს, გაუწევს დახმარებას ოსმალეთისაგან განთავისუფლებაში, და რა ზომებია ამისათვის საჭირო. დედანი დაწერილია ქართულად. (ცვია, შიკვრა 12, გვ. 52, 53).¹

მიუხედავად დესპანების გაგზავნისა და, უნდა ვიფიქროთ, მათ მიერ გადადგმული ნაბიჯებისა, რუსეთის მთავრობას არავითარი აღთქმა არ მიუტია არა თუ დახმარებისა, არამედ მფარველობისაც, მან მხოლოდ წინადადება მისცა დავით მეფეს, ყველა საქმეზე მიწერ-მოწერა იქონიეთ თ-დ პოტიომკინთანო. (ცაგ. რუს. № 35). ამიტომაც დესპანები იძულებულნი გახდნენ ხელცარიელი დაბრუნებულიყვნენ პეტერბურგიდან, თითქმის ორი წლის განმავლობაში იქ ყოფნის შემდეგ.

1786 წ. თებერვლის 19. მეფე დავით გიორგის ძე ატყობინებს პ. პოტიომკინს, რომ მან დაამარცხა ახალციხიდან გადმოსული ოსმალებისა და მოწინააღმდეგე ქართველების შეერთებული ჯარი (იხ. ზემოთ) და დასძინს: მრავალჯერ მოგახსენეთ და ვიცოდით, რომ ახალციხის ფაშა ამ საქმეს (ე. ი. მის წინააღმდეგ) ცდილობდა და კიდევაც ეცდებოდა. მაგრამ თქვენ არ დამიჯერეთ. მე ეს ჩემი ქვეყანა მისთვის შეგავედრეთ და ამას ვეცადე, რომ ურჯულოთაგან პირველისებრი აოხრება არ შემოსულიყო. თუ ასე დიდხანს იყოვნდით, არ მოველოდი. ქრისტიანე ხელმწიფობა ჩვენზედ მისთვის ვინებეთ, რომ ურჯულოთაგან განთავისუფლებას (მოველოდით), თორემ, თუ თქვენის წყალობის მოიმედე არ ვიყვნეთ, ჩვენ თავს არ დავზო-

¹ მოკლე ამონაწერი ამ მოხსენებიდან მოყვანილი აქვს ბუტკოვს (ტ. II, გვ. 139) და აქედან პროფ. სვ. ჯანაშიას თავის გამოკვლევაში: „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“.

გავდით და ჩვენის სისხლით გავირჯებოდით. მარტო ჩვენგან ხვანთ-
ქრის წინააღმდეგობა არ შეიძლება. თუ შემწეობა და ჩვენი ქვეყნის
შეწევნა გნებავთ, დრო და ჟამი ახლა არის. თუ საჩქაროდ არ მო-
გვაშველეთ ჯარი, ჩვენ ქვეყანას (შემდეგი) შეწევნა ვერ უშველის,
ამისი ვალი ჩვენ აღარ დაგვედება. (ცვია, 1786 თებერვალი და
მარტი, შეკვრა 114, გვ. 150).

1786 წ. აპრილის 28. იმერეთის მეფის დესპანები კათალიკოსი
მაქსიმე, ზურაბ წერეთელი და მდივანი დავით (კვინიხიძე) ატყობი-
ნებენ გრიგოლ ალექსანდრეს ძეს თ-დ პატიომკინს, რომ ისინი
უცდიდნენ ორი თვე მოსკოვში, ახლა უცდიან ასტრახანში სამი
თვე პოლკოვნიკ სვიმონოვს, რომელიც დანიშნულია მათთან ერთად
წავიდეს საქართველოში. იგი კი არა ჩანს, უიმისოდ და უწერილოდ
მეზობელ მტრების გამო ყოვლად შეუძლებელია დავით მეფეს გამო-
ვეცხადოთო. (იქვე, „ქართული საბუთები“ 1786 წლ. გვ. 27). იმავე
თარიღით, იგივე პირები ზემოხსენებული შინაარსის წერილს უგზავ-
ნიან ნოვგოროდის და პეტერბურგის მიტროპოლიტს გაბრიელს და
სთხოვენ შუამდგომლობას—დააჩქაროს ხელმწიფის კარმა სვიმონოვის
გამოგზავნა. (იქვე, გვ. 29).

1787 წ. მარტი. მაქსიმე კათალიკოსი ატყობინებს თ-დ პოტიო-
მკინს, რომ მან ზამთრის გამო ვერ შესძლო მთებით გადასულიყო
საქართველოში, სთხოვს მისცეს ნება, დარჩეს რუსეთში, მით უმეტეს,
რომ დახმარება ჯერ არ გამოსულაო. (იქვე, 1781 საქ. საქმ. გვ. 27,
დედანი რუსულადაა დაწერილი, ხელის მოწერა ქართულად).

1787 წ. აგვისტოს 9. ნოვგოროდის მიტროპოლიტი გაბრიელი
სთხოვს თ-დ პოტიომკინს, დააკმაყოფილოს მაქსიმე კათალიკოსის
თხოვნა (იქვე გვ. 28).

1787 წ.-მაისის 29. იმერეთის მეფე დავითი სწერს პავლე პო-
ტიომკინს: წერილების მიუღებლობა არა თუ ძლიერ მაწუხებს მე
თვითონ, არამედ აძლევს მეზობლებს საბაბს, ნიშნი მომიგონ—რუ-
სეთის ქვეშევრდომობა მიიღე, მფარველობას კი არ ლებულობო.
სთხოვს მომავლისათვის დახმარებას, რისთვისაც უგზავნის „უპირა-
ტეს მდივანს და მწიგნობართუხუცესს კნიაზს ბესარიონ ზაქარიას
ძეს გაბაონელიძეს“. აქამდე ვერ გამოვგზავნე, რადგან დიგორელებს
გზა შეკრული ჰქონდათო. (იქვე, 1787, შეკვრა 121, გვ. 388).

1787 წ. ივლისის 12. აფხაზეთის და იმერეთის კათალიკოსი მაქ-
სიმე სწერს პავლე სერგის ძე პოტიომკინს: იმერეთის მეფის დავი-
თის დესპანი „უპირატესი“ მდივანი ბესარიონ ზაქარიას ძე, რომელიც
იყო მასთან, პავლე ზაქარიას (?) ძესთან, ეკატერინოდარში, ახლა



მოზღოკშია და ორივე თხოულობენ, მოკლე დროში, აცნობოს მათ
სად შეიძლება მისი ნახვა, რადგან იმათ ისეთი საიდუმლო საქმე
აქვთ, რომ სხვას ვერავის გაუმხელენ. (იქვე, 1787, შეკვრა 121, გვ-
386). დედანი რუსულია.

1788 წ. იანვრის 3. ბესარიონ ზაქარიას ძე (გაბაშვილი) სწერს
მის უბრწყინვალესობას (თ-დ პოტიომკინს): თქვენის განკარგულებით
ამდენი ხანია ვიციდი აქ, კრემენჩუკში, კათალიკოსი კი მოზღოკშია,
არ ვიცი, რა მივწერო მეფეს, ან პატრიარქს. ითხოვს, მიეცეს მას
იმედი, რომ რუსეთი დაეხმარება იმერეთს. (იქვე, „ქართული წერი-
ლები“ 1788—91, გვ. 43). წერილი რუსულადაა დაწერილი, ხელმო-
წერა ქართულად.

1789 წ. დავით გიორგის ძე გაძევებულ იქნა იმერეთიდან,
მეფედ აირჩიეს დავით არჩილის ძე, სოლომონ II-ის სახელით. რო-
გორც პროფ. ბარამიძის გამოკვლევებიდან ჩანს, სოლომონ II-ს გაუ-
ხლებია ბესარიონ გაბაშვილის რწმუნება. (უნივერსიტ. „შრომ.“, ტ. I).

1789 დეკემბრის 5 ბესარიონ გაბაშვილი მოახსენებს თ-დ პო-
ტიომკინს, თუ რა და რა ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ
იმერეთის მფარველობაში მიღებამ სარგებლობა მოუტანოს რუსეთს
(ქართ. წერილ. 1788—1791 წლები, გვ. 48). ეს მოხსენება დედანია,
ქართულად დაწერილი და ბესარიონის მიერ ხელმოწერილი. იგი
განსხვავდება როგორც სტილით, წესე ცოტაოდნად რედაქციით
პროფ. ბარამიძის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტისაგან.

1794 წ. ნოემბერი 29. მეფე სოლომონ II სთხოვს კავკასიის
ლინიის მთავარმართებელს გუდოვიჩს, ნება მისცეს, გაგზავნოს მან
დესპანი პეტერბურგს (უთუოდ ბესარიონ გაბაშვილის გარდაცვალების
გამო), რადგან მას უთანხმოება აქვს ბიძა დავითთან და ზოგიერთ
მეზობლებთანო. (ც ვ ი ა, № 228, გვ. 63—65).

ამის საპასუხოდ, როგორც რუმიანცევისადმი გუდოვიჩის 1795
წლის 28 თებერვლის წერილიდან ჩანს, გუდოვიჩს მიუწერია სო-
ლომონისათვის, რომ ამის უფლება მას არა აქვს, შემდეგ კი სათა-
ნადო დროს ამას მოახსენებს უმაღლეს კარს და, როცა ამის უფლე-
ბას მივიღებ, შეგატყობინებთო. გარდა ამისა, გუდოვიჩს მოუწერია
ერეკლე მეფისათვის, რომ რუსეთის ხელმწიფის 1772 წლ. ბრძანე-
ბის თანახმად, მან იმერეთში მშვიდობიანობა უნდა დაიცვასო (იხ-
ზემოთ). მიუწერია აგრეთვე შამხალისათვის, — ლეკებს ნება არ მის-
ცეთ იმერეთს დაეცნენო. (იქვე, გვ. 61, 62).

ამგვარ მდგომარეობაში იყო იმერეთის და რუსეთის ურთიერთო-
ბა. კიდევ მეტიც შეიძლება ითქვას. როგორც ვიცით, ქუჩუყაინარ-

ჯის ზავით, რომელიც რუსეთმა შეკრა ოსმალეთთან 1774 წ., იმერეთი, გურია და სამეგრელო ოსმალეთს დაუთმო რუსთ ხელმწიფემ და პირობა მისცა, შენს საქმეებში არ გავერევით. ოსმალეთმა მხოლოდ ის დაივალა, რომ ქრისტიანებს არ შეავიწროებს და ქალვაჟის ხარკს ამ მხარეებს არ გამოართმევსო. (ცაგ. რუს. 1, № 89). ამისდა მიუხედავად, ბურნაშევი დანიშნული იყო არა მარტო ერეკლე მეფესთან, არამედ იმერეთის მეფესა და მთავრებთანაც და იგი უშუალოდ ერეოდა იმერეთის საქმეებში. ეს გარემოება კი უთუოდ ამწვავებდა ოსმალეთის ურთიერთობას იმერეთთან.

შემდეგ კი ისე მოდუნებულა იმერეთის საქმეებისადმი ინტერესი რუსეთში, რომ სოლომონ II-ის 1795 წლ. თხოვნაზე—ნება მიეცათ დესპანი გაეგზავნა რუსეთში, გუდოციჩი ატყობინებს: თქვენსურვილს მე ვერ შევასრულებ, ამის უფლება არ მაქვსო, მაგრამ, როცა დრო მექნება, შევატყობინებ მთავრობასაო. ახალი დესპანის გაგზავნა კი საჭირო იყო: ბესარიონ გაბაშვილი 1791 წ. გარდაიცვალა და იმერეთშიაც მეფესა და მთავრებს შორის დიდმა არეულებამ იჩინა თავი.

6 ა რ ე ბ ი

როგორც მოვიხსენიეთ, კიდ-ის იმ დიდ ყდიან შეკვრაში, რომელსაც აწერია „ქართული საქმეები 1762—76 წლ. № 4“, და რომლის მთელი ნუსხაც შევადგინეთ (იხ. დამატება I), მოქცეულია 1767 წლ. შემდეგი წლების საქმეები. ესენი არიან: ფიცხელაურის გვ. 193, დეკანოზი იაკოვლევის — გვ. 214, ანდრონიკაშვილის — გვ. 226, დავითაშვილის — გვ. 224, ნიკოლაძის — გვ. 221 და დოლოენჯი-შვილი — გვ. 22, მომავალმა მკვლევარმა რომ იცოდეს, რა ცნობებია მთელ შეკვრაში, მოგეყავს ამ საქმეების შინაარსიც.

1. ფიცხელაურმა 1769 წ. აღძრა შუამდგომლობა, მიეცეს მას სამსახურის შემდეგი ხარისხი¹, შესაფერი ჯამაგირით; წარადგინა ატესტატები ყიზლარის კომენდანტების, — გენერალ პოტაპოვის და პოლკოვნიკ კოპიტოვის მიერ მოცემული. 1770 წლიდან 1771 წლის 20 მარტამდე ფიცხელაური გენერალ ტოტლებენის მოთხოვნით ყიზლარში ყოფილა დაპატიმრებული. მხოლოდ იმ დროის კომენდანტმა ნეიმჩმა არ იცოდა, რა მიზეზით და რა პირობებით ყოფილა დაპატიმრებული. ტოტლებენისავე მოთხოვნით იგი უნდა გაეგზავნათ ასტრახანის გუბერნატორთან, მაგრამ იგი წაიყვანა როგორც თარჯიმანი ტოტლებენის შემდეგ დანიშნულმა გენერალ სუხოტინმა და ამიტომ ყაზანის გუბერნატორმა, რომელსაც გადაეცა ფიცხელაურის საქმე გამოსაკვლევად, ეს მინდობილობა ვერ შეასრულა. 1775 წ. ასტრახანის გუბერნატორი თხოულობს განმარტებას, როგორ უნდა დააკმაყოფილოს ფიცხელაურის თხოვნა ჯამაგირის მიცემის შესახებ, ალბათ იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი დაპატიმრებული იყო.

2. დეკანოზი იაკოვლევი ყიზლარში მსახურობდა. 1771 წ. ერეკლე მეფემ სთხოვა ყიზლარის კომენდანტს, გაეგზავნა მასთან იაკოვლევი წერილების და საბუთების მთარგმნელად. იაკოვლევი ჯერ უარზე იდგა, მიზეზად მოყავდა ქართული ენისა და ქართული ჩვეულებების უცოდინარობა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა იმ პირობით, რომ სანამ იგი საქართველოში იქნებოდა, მას შეუნარჩუნებდნენ ადგილს ყიზლარში.

¹ ტექსტში — чин.

3. ანდრონიკაშვილი გაგზავნილი ყოფილა რუსეთში მეფე ერეკლესაგან. კიდ-ი 1772 წ. შეეკითხა ზარაფხანას, რა წონის იყო ის მედალი, რომელიც მოიჭრა ანდრონიკაშვილისთვისო? ზარაფხანამ მიუგო, ამგვარი მედალის მოჭრის შესახებ ზარაფხანაში ბრძანება არ აღმოჩნდაო.

ფიცხელაურის, იაკოვლევის და ანდრონიკაშვილის შესახებ ზოგიერთი ცნობა მოთავსებულია ცაგარლის მიერ გამოცემულ Грамоты-ში.

4. დავითაშვილის შესახებ 1772 წ. ასტრახანის გუბერნატორი ატყობინებს კიდ-ს: დავითაშვილმა ფოსტის მოხელე მოკლა, რადგან უკანასკნელმა ზედმეტი ცხენი არ მისცაო, მაგრამ იგი ვერ დავიჭირე, რადგან სოლომონ მეფისგან არის კურირებად გამოგზავნილიო. რითი გათავდა ეს საქმე, არ ჩანს.

5. ნიკოლაძის შესახებ 1772 წ. ექსპედიციის შეკითხვაზე კიდ-ი უპასუხებს: ნიკოლაძე გუსართა ესკადრონების მოსკოვის ლეგიონის ვახმისტრია, კაპიტანი ლვოვის კურიერიო, მასთან, ე. ი. კიდ-თან არის და უცდის, როდის დააბრუნებენ უკანვეო.

6. დოლენჯიშვილი თ-დი 1773 წ. გაგზავნილი ყოფილა მეფე ერეკლეს, მეფე სოლომონის და კაპიტან ლვოვის მიერ რუსეთის მთავრობასთან მეფე ერეკლეს და მეფე სოლომონის ხელშეკრულების წარსადგენად. ამიტომ მას ყიზლარიდან მიეცა ერთი ზედმეტი სამგზავრო ურემი.

1767—1762 წლ. ზემოთმოხსენებული ცნობების შესავსებად რომ მომიხდა სხვადასხვა დროის საბუთების გადასინჯვა, სხვათა შორის, შემდეგ საინტერესო საბუთებს წავაწყდი:

7. 1704 წლ. ორი სიგელი, მიცემული პეტრე დიდის მიერ იმერეთის ნამეთარ არჩილისა და მის შვილის ალექსანდრესადმი. პეტრე უწოდებს მათ „ერთგულ ქვეშევრდომებს“ და უწყალობებს ქვემო-ნოვგოროდის მაზრაში პირველი სიგელით 20 სოფელს 130 ხლის წიგნებით—495 კომლით და 186 წლის წიგნებით—1722 კომლით; მეორე სიგელით 350 სოფელს 185—187 წლების წიგნებით—1907 კომლით. (ცვია, 1704, № 29). ორივე ეს საბუთი დაბეჭდილი აღმოჩნდა ესაძის მონოგრაფიაში: Первый фельдцеймистер Александр Арчилович, царевич Грузинский.

8. ქართველი ხალხის მალალ წოდებათა თხოვნა 1726 წლ. ეკატერინე I-სადმი ბაქარ ბატონიშვილის დაბრუნების შესახებ. (კიდო, 1726, № 1 გვ. 168). თხოვნაში ისინი ამბობენ, ჩვენ ვახტანგთან და ბაქართან შეფიცულნი ვიყავით და ერთგულად ვემ-

სახურებოდით. როცა ხელმწიფემ მათი ხლება ბრძანა, ჩვენ ვთხოვეთ, ბაქარი დარჩენილიყო, მან ჯერ მოისურვა, მაგრამ მერე წასვლა არჩია და შეგვპირდა, ხელმწიფე უსათუოდ დახმარებას მალე გავვიწვეს, ისე ქრისტიანე ხალხს არ დატოვებსო და მალე მოვალე, თქვენ კი ქვეყანა შეინახეთო. ჩვენც ასე მოვიქცეთ, მაგრამ ბაქარი არ მოდის და არც არაფერი შეწევნა გამოსულა. ვთხოვეთ ბაქარი გამოგზავნოთ, რომ უსჯულომ რამდენიმე ასი წლის საქრისტიანო არ წაახდინოსო.

9. ეკატერინე I-ის წერილები: ვახტანგ მეფისადმი 1726 წლისა, ვახტანგის მეუღლის რუსუდანისადმი 1726, და 1727 წლებისა.

